*დანართი №5*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
**შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

**წევრები:**

1. ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ანა კოკოჩაშვილი - ახვლედიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ქეთვან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 405843663 |

### II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი თბილისი, ლისი, ლაპლაპას მიწა |
| საფოსტო ინდექსი | 0186 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://gmus.edu.ge/ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | info@gmus.edu.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 595 54 88 22 / 591 01 71 11 / 595 333 335 |

### III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 2 26 0000678756, 05.06.2026 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2026, 25-26 ივნისი |

### IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1. | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული | **ქალაქი თბილისი, ლისი, ლაპლაპას მიწა, 1 შენობა-ნაგებობა.** |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული | **ქალაქი თბილისი, ლისი, ლაპლაპას მიწა, 1 შენობა-ნაგებობა.** |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული | **ქალაქი თბილისი, ლისი, ლაპლაპას მიწა, 1 შენობა-ნაგებობა.** |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2026 წლის 05 ივნისის **MES 2 26 0000678756** ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს: (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); წევრები - ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ანა კოკოჩაშვილი - ახვლედიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება **შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლაში** (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) (ს/კ: **405843663)**

ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს, 2026 წლის, 25-26 ივნისს ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განსაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები და გამართა ორი ონლაინ სამუშაო შეხვედრა. ასევე შეთანხმდა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გასაუბრებების განრიგი, რომელიც წინასწარ მიეწოდა დაწესებულებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნობრივი ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ კათედრის ხელმძღვანელებსა და შესაბამის მასწავლებლებს. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო პროცესში და მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების განხილვა-რევიზიაში.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში. დაწესებულებამ უზრუნველყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის ხელშეწყობა და შესაბამისი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენა. შეხვედრების დასრულებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები და წინასწარი დაკვირვებები.

**საერთო ჯამში, შეფასების პროცესი წარიმართა ორგანიზებულად და კონსტრუქციულ გარემოში, რაც უზრუნველყოფდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების განხორციელებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი დებულებისა და შეფასების მეთოდოლოგიის პრინციპების თანახმად, ავტორიზაციის მაძიებელი (ახლად დაფუძნებული) დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ექსპერტთა ჯგუფის ფოკუსს წარმოადგენს არა სკოლის წარსული ფაქტობრივი გამოცდილება (რაც ობიექტური მიზეზების გამო ვერ იარსებებს), არამედ დაწესებულების ინსტიტუციური მზაობა და შემუშავებული სისტემების ქმედითუნარიანობა (ვალიდურობა). მეთოდოლოგია ადგენს, რომ თუ სკოლის შიდა ნორმატიული აქტები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულყოფილად, მდგრადად და კანონმდებლობასთან თავსებადად აწესრიგებს შესაბამის პროცესებს, ინდიკატორი მიიჩნევა დაკმაყოფილებულად, ხოლო აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული იმპლემენტაციის ხარისხი ხდება შემდგომი მუდმივი მონიტორინგის საგანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას ფაქტობრივად არ ახორციელებს და ოპერირებას გეგმავს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ამ სფეროში არსებული სამართლებრივი მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და პროცედურული მზაობის ადეკვატურობა.**

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები**

**I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| **მოსწავლეთა რაოდენობა: 700** | **ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒** | **აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | **ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐** | **შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის** თვითშეფასების დოკუმენტში თავდაპირველად მითითებული იყო, რომ დაწესებულების მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 576 მოსწავლეს. თუმცა, ავტორიზაციის პროცესის მიმდინარეობისას დადგინდა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში დაფიქსირდა ტექნიკური/ფორმალური შეცდომა და რეალური დაგეგმილი ზღვრული რაოდენობა უნდა ყოფილიყო 700 მოსწავლე.<br>აღნიშნულის გათვალისწინებით, მაძიებელმა სკოლამ მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს. გაკეთებული მიმართვის ფარგლებში, სკოლა ითხოვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის კორექტირებას და მის განსაზღვრას 700 მოსწავლით, ნაცვლად 576-ისა.<br>ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება, გაიზიარა სკოლის განმარტება და დაეთანხმა თვითშეფასების დოკუმენტში დაშვებული შეცდომის კორექტირებას, რაც ადასტურებს მოთხოვნის დასაბუთებულობას და მის შესაბამისობას მოქმედ რეგულაციებთან. |

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N1*** | **სკოლის ფილოსოფია** | ***ხარვეზი*** |
| *ინდიკატორი N* | | |
| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***ხარვეზი*** |
| *ინდიკატორი N...* | | |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***ხარვეზი*** |
| *ინდიკატორი N....* | | |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი** | ***ხარვეზი*** |

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| *ინდიკატორი N3.4.1.1.* | **უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა** | • **სკოლამ უზრუნველყოს** უფლებამოსილ ორგანოსთან მიმართვის გაკეთება, რათა მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა - შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა, რათა სრულად იქნეს თავიდან აცილებული მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები;<br>• **სკოლამ უზრუნველყოს** შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ აკრედიტებული ორგანოს დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა;<br>• **სკოლამ უზრუნველყოს** საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სრულყოფილი შემუშავება და მისი შეთანხმება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა. |
| *ინდიკატორი N3.5.1.1.* | **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და** | **სკოლამ უზრუნველყოს** წინარე იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „კესეფზერგ ინვესტმენტთან“ **ძირითადი იჯარის ხელშეკრულების საბოლოო რედაქციით გაფორმება** 12 წლის ვადით და აღნიშნული უფლების **რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში** არაუგვიანეს 2026 წლის 31 აგვისტოსა. |

| | | |
|---|---|---|
| | **დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** | |
| ***ინდიკატორი N3.6.2.3*** | **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში** | • სკოლამ, ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებისთანავე, უზრუნველყოს საკუთარი პროფილის შექმნა და გააქტიურება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge) არაუგვიანეს 2026 წლის 31 აგვისტოსა, მოსწავლეთა და პერსონალის ბაზების ოფიციალური და დროული ადმინისტრირებისთვის. |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი N....* | | |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| ***ინდიკატორი N ...*** | | |

**V. რჩევა**

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N1*** | **სკოლის ფილოსოფია** | ***რჩევა*** |
| ***ინდიკატორი N...*** | | |
| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| ***ინდიკატორი N ...*** | | |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| ***ინდიკატორი N...*** | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი №2*** | **სასკოლო კურიკულუმი** | ***რჩევა*** |

| | | |
|---|---|---|
| **ინდიკატორი №2.1.2.2.** | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>• სასურველია, **დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში და ეს რაოდენობა შესაბამისი იქნება მოსწავლეთა ასაკისა და მზაობის.<br>• სასურველია. **საბაზო და საშუალო საფეხურებზე** კურიკულუმებში დეტალურად ჩანდეს, თუ რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით დამუშავდება;·<br>• სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს;<br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>მიზანშეწონილი იქნება, **დაწყებით საფეხურზე: საგან ,,მე და საზოგადოების"** III-IV კლასების კურიკულუმებში თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br>სასურველია, **დაწყებით საფეხურზე საგან ,,ჩვენი საქართველოს"** V-VI კლასების კურიკულმებში სავალდებულო თემები გადაიხედოს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. არსებულ კურიკულუმში ჩაემატოს შემოქმედებითი დავალებების იდეები. კურიკულუმში წარმოდგენილ სვეტს ,,მოსწავლეთა პერფომანსს" მიეცეს შესაბამისი განმარტება, მასში არსებული აქტივობების შინაარსი ვერ ანაცვლებს შემოქმედებითი დავალების იდეას.<br>მიზანშეწონილი იქნება, **საბაზო და საშუალო საფეხურებზე** გეოგრაფიის VII -VIII- IX- X კლასების, ისტორიის VII -VIII -IX- X -XI -XII კლასების, საქართველოს იტორიის X- XI- XII კლასების, სამოქალაქო განათლების VII, X კლასების კურიკულუმებში ჩასწორდეს ცნებები და მასში მისაღწევი შედეგები მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br>მიზანშეწონილი იქნება, **საბაზო და საშუალო საფეხურებზე** გეოგრაფიის IX -X კლასების, ისტორიის VII- VIII- IX - XI -XII კლასების, საქართველოს იტორიის XII კლასის, სამოქალაქო განათლების VII-VIII- IX -X კლასების კურიკულუმებში სავალდებულო თემები ჩასწორდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br>• სასურველია, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება |

| | | |
|---|---|---|
| | | • ·სასურველია, კათედრაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემუშავდეს კურიკულუმის ერთი ფორმა, რომელიც მარტივად წასაკითხი, აღსაქმელი და დასანერგი იქნება სამუშაო პროცესში. აისახოს ესგ-ის შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები (ცნებები) და შესაბამისი შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეა/პირობა.<br><br>**ესთეტიკური აღზრდა:**<br>სასურველია, **დაწყებით საფეხურზე,** V-VI კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოებში არსებული სამიზნე ცნებების დასახელებები შესაბამისობაში მოვიდეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის სტანდარტთან.<br>სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმებისთვის **სამივე საფეხურზე** შემუშავდეს ერთიანი ჩარჩო დოკუმენტი.<br><br>**კომპიუტერული ტექნოლოგიები:**<br>მომდევნო სასწავლო წლის **დაწყებითი საფეხურის** საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.<br>**დაწყებითი საფეხური:**<br>• სასურველია, ქართული ენის საგნობრივი კურიკულუმებისთვის შემუშავდეს ერთიანი ჩარჩო (მაგ. მე-3 კლასის კურიკულუმი განსხვავებულია), თემაში აისახოს ყველა სამიზნე ცნება. შემოქმედებითი დავალების პირობა და კრიტერიუმები ურთიერთშესაბამისობაში იყოს, კრიტერიუმები - მკაფიო, ადვილად აღქმადი.<br>• სასურველია, „მე და საზოგადოების“ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები ჩასწორდეს 2023 წლის ესგ-ის სტანდარტის მიხედვით.<br><br>**მათემატიკა:**<br>• სასურველია, **საბაზო და საშუალო საფეხურების მათემატიკის კურიკულუმებში** გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში (მაგალითად: დაწყებითი |

| | | |
|---|---|---|
| | | საფეხურის კონკრეტულ კლასში განსაზღვრული იყოს მათემატიკური კომპლექსური დავალებების ოპტიმალური რაოდენობა)<br>• სასწავლო თემების ფარგლებში, მაქსიმალურად დამუშავდეს შესაბამისი სამიზნე ცნებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გრძელვადიან პერიოდზე საგნობრივი საკითხებთან მიმართებით ეფექტური ხედვა.<br>• სასურველია, თითოეულ მათემატიკურ სამიზნე ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები და ქვეცნებები |
| **ინდიკატორი №2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | **დაწყებითი საფეხური:**<br>სასურველია, ყველა საგნობრივი მიმართულებით, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.<br>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>• საბაზო და საშუალო საფეხურებზე, ბიოლოგიის მე-10 და მე-11 კლასების კურიკულუმებში, სასწავლო რესურსებში კონკრეტულად მიეთითოს მასალა შესაბამისი ბმულების სახით, რომლებიც იხსნება. მნიშვნელოვანია, დამატებით ელექტრონული რესურსის გამოყენება. |
| **ინდიკატორი №2.1.2.4.** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>• სასურველია **საბაზო და საშუალო საფეხურებზე** კურიკულუმებში შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის დროს გაითვალისწინონ საგანთა შორის ინტეგრირება, რაც უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს გახდის შემოქმედებით პროდუქტს<br>**ტექნოლოგიები:**<br>სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, (რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. |
| **ინდიკატორი №2.1.2.5** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>• სასურველია, **სამივე საფეხურზე** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ჩამოყალიბდეს საგნების მიხედვით სამიზნე ცნებებთან მიმართებით.<br>სასურველია, კურიკულუმს თან ახლდეს შესაბამისი შემოქმედებითი პროდუქტის/პროდუქტების შეფასების რუბრიკა, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. საბაზო და საშუალო საფეხურებზე დაკონკრეტდეს შეფასების რუბრიკები და არ იყოს ზოგადი სახით წარმოდგენილი. |

| | | |
|---|---|---|
| | | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>სასურველია, სამივე საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, საგნების მიხედვით მორგებული იყოს სამიზნე ცნებებს.<br>**მათემატიკა:**<br>• **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** სასურველია შემუშავდეს მათემატიკის გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე (მაგ: *მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა*) ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.<br>• მიზანშეწონილი იქნება, შეფასების ინდიკატორები დეტალურად დამუშავდეს თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში და ასახავდეს, თუ როგორ ავლენს მოსწავლე მათემატიკურ მსჯელობას, მოდელირებასა და პრობლემის გადაჭრის უნარს კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.<br><br>**ტექნოლოგიები:**<br>სასურველია, კათედრამ ცალკე შეიმუშაოს ტექნოლოგიების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასება სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის (პროგრამირება, ციკლის ცნება...). ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა.<br>მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინება, თუ რას ამოწმებს დავალება და შემუშავდეს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის.<br>**დაწყებითი საფეხური:**<br>სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმებში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით. |
| **ინდიკატორი №2.2.1.1.** | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **დაწყებითი საფეხური:**<br>სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენიც რეალურად განხორციელდება. |

| | | |
|---|---|---|
| **ინდიკატორი №2.2.1.3.** | **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** | **დაწყებითი საფეხური:**<br><br>სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმებში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.<br><br>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>• სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურებზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და დაკონკრეტდეს საკითხთან მიმართებით.<br>• შემუშავდეს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს.<br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>• **საბაზო და საშუალო საფეხურებზე** სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ამასთან, დაკონკრეტდეს საკითხთან მიმართებით. |
| **ინდიკატორი №2.2.2.1** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>• სასურველია, დაწყებით საფეხურზე, საგან „ჩვენი საქართველოს“ V-VI კლასების კურიკულუმებში მიეთითოს ძირითადი რესურსის გრიფირებული სახელმძღვანელოს დასახელება.<br>• კურიკულუმის სტრუქტურაში სასურველია სრულყოფილად იკითხებოდეს, ძირითადი სახელმძღვანელოს სრული დასახელება გამომცემლობა, ავტორები და შესაბამისობაში იყოს იმ რესურსებთან, რომლებიც მუშავდება.<br>**მათემატიკა**:<br>• **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** სასწავლო პროცესის კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვისთვის, სასურველია დამხმარე რესურსებთან (მაგ: დამატებითი სავარჯიშოების კრებულები, ციფრული პლატფორმები, ვიზუალური მასალები) მიმართებით კათედრამ შეიქმნას ერთიანი, მოქნილი მექანიზმი. ეს მექანიზმი საშუალებას მისცემს პედაგოგს, კათედრასთან შეთანხმებითა და სტანდარტის მოთხოვნების |

| | | |
|---|---|---|
| | | გათვალისწინებით, შეარჩიოს და სასწავლო პრაქტიკაში გამოიყენოს მრავალფეროვანი დამხმარე მასალები.<br>**დაწყებითი საფეხური:**<br>სასურველია, საგნობრივი კურიკულუმები გამდიდრდეს მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსებით. |
| **ინდიკატორი №2.2.2.3** | **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** | **კომპიუტერული ტექნოლოგიები:**<br>სკოლამ შეიმუშაოს ციფრული განვითარების გეგმა, რათა უკეთ განისაზღვროს ტექნოლოგის გამოყენების ხედვა სკოლის მასშტაბით, სასწავლო პროცესში ინტეგრირებული ციფრული რესურსის გამოყენებისთვის. ასვე შემუშავდეს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები და განრიგი სხვა საგნებისთვის. |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

**სკოლის მისია:**

„გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ მისიაა ქართველის, საქართველოს მოქალაქის აღზრდა, რომლისთვისაც მთავარია ეროვნული ღირებულებების შესწავლა, გააზრება, ერთგულება და ცხოვრების პრინციპად ქცევა; ამავე დროს - მოსწავლის მსოფლიო კულტურის მემკვიდრედ ჩამოყალიბება.

ჩვენ ვიცით და გვწამს, რომ ქართულმა სკოლამ უნდა აღზარდოს ახალგაზრდა, რომელიც აღჭურვილი იქნება აზროვნების კულტურით, თანამედროვე ცოდნით, პიროვნული და პროფესიული წარმატებისთვის აუცილებელი უნარებითა და ღირებულებებით.

ჩვენ გვსურს, მოსწავლემ დროის სამივე განზომილებაში (წარსული - საიდან მოდის, აწმყო - სად არის, მომავალი - საით მიდის) შეიცნოს თავისი თავი და გაიაზროს პიროვნებად ჩამოყალიბებისა და განვითარების დინამიკა.

**სკოლის ხედვა**

გია მურღულიას უნივერსალური სკოლა ეფუძნება მსოფლიო და ქართული საუკეთესო პედაგოგიკური აზროვნების გამოცდილებას და ქმნის თავის საკუთარ, საავტორო ხედვასა და საგანმანათლებლო კულტურას.

სკოლა აცხადებს, რომ არსებით ამოცანად ისახავს ისეთი ქართული სკოლის შექმნას, რომელიც განათლების ხარისხით კონკურენციას გაუწევს საუკეთესო საერთაშორისო ანალოგებს.

რატომ „უნივერსალური“?

სკოლა აცხადებს, რომ მის მიზანს წარმოადგენს:

1. მოსწავლის ყოველმხრივი (ინტელექტუალური, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური) განვითარება;
2. სწავლებისა და აღზრდის ჰარმონიული თანაფარდობის დაცვა;
3. დასავლური და აღმოსავლური ღირებულებების სინთეზი სასწავლო და აღმზრდელობით პროცესში;
4. მოსწავლის ფიქრის, მეტყველებისა და ქცევის მიზანმიმართული ჩამოყალიბება და დახვეწა.

**სკოლის ღირებულებებია:**

- **თავისუფლება და პასუხისმგებლობა** - ჩვენ გვჯერა, რომ განათლება ადამიანს აძლევს თავისუფლებას, ხოლო თავისუფლება მოითხოვს პასუხისმგებლობას საკუთარი თავის, სხვა ადამიანის, საზოგადოების, ქვეყნისა და მომავლის წინაშე.
- **აღიარება** - ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნაა პიროვნების განუმეორებლობის აღიარება.
- **ღირსება** - სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ღირსება ხელშეუხებელია.
- **დაფასება** - ჩვენთან დაფასებული და მხარდაჭერილია უკეთესი სწავლისა და სწავლების ყველა მცდელობა და ინიციატივა,
- **განვითარება** - ჩვენ ვაღიარებთ და ვიცავთ პრინციპს: "აჯობე შენ თავს - არც ერთი დღე განვითარების გარეშე!"
- **გამბედაობა** - გამოწვევა ჩვენთვის განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა; ჩვენ გვიზიდავს სიახლეები.
- **სინერგია** - ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის სოციალური და ინტელექტუალური სინერგიის ძალა.
- **აზროვნება** - ის, რაც არის ყველგან და ყოველთვის ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში, ეს აზროვნების კულტურაა.
- **კვლევა** - ჩვენ გვეგმავთ, ვმოქმედებთ და ვვითარდებით მხოლოდ კვალიფიციური კვლევით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- **შემოქმედება** - ჩვენ ვსწავლობთ და ვასწავლით „შექმნას“, ვავითარებთ „შექმნისკენ“ სწრაფვას, რადგან გვჯერა, რომ ადამიანი უნდა იყოს საზოგადოებრივი ფასეულობების, პროგრესის, საყოველთაო კეთილდღეობისა და პირადი ბედნიერების შემოქმედი.
- **ბედნიერება** - ჩვენი სკოლა მოსწავლეებისა და მასწავლებლების ბედნიერების ადგილია; ურთიერთობებთან და მიღწევებთან ერთად, ეს არის სწავლისა და სწავლების პროცესით მიღებული სიამოვნება და განცდილი სიხარული.
- **ზრუნვა** - ჩვენს სკოლაში მოსწავლეები ზრუნავენ ერთმანეთზე, მასწავლებლები - მოსწავლეებსა და კოლეგებზე, ადმინისტრაცია - სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრზე და ყველა ერთად - სკოლის გარემოსა და ღირებულებებზე.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებითი საფუძვლები შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ასახავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც ეროვნული მიზნებით არის განსაზღვრული. მისიაში გამოკვეთილია ეროვნული იდენტობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და ღირებულებების მნიშვნელობა, რაც გამოიხატება ქართველი მოქალაქის აღზრდის, ეროვნული ღირებულებების შესწავლის, გააზრებისა და ცხოვრებისეულ პრინციპებად ქცევის მიზანში. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია ეროვნული მიზნების იმ მიმართულებასთან, რომელიც პასუხისმგებლიანი, აქტიური და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

ამასთანავე, სკოლის მისია ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და მოიცავს ინტელექტუალური, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული მიზნების პრინციპს, რომლის მიხედვითაც სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებასა და მისი პიროვნული პოტენციალის სრულ რეალიზებას.

სკოლის ხედვაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აზროვნების კულტურის, თანამედროვე ცოდნის, პიროვნული და პროფესიული წარმატებისთვის აუცილებელი უნარების განვითარებას, აგრეთვე მოსწავლის ფიქრის, მეტყველებისა და ქცევის მიზანმიმართულ ჩამოყალიბებას. ეს მიმართულებები თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მოთხოვნებთან, რომლებიც კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისა და უწყვეტი განვითარების უნარის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლა ეროვნული ღირებულებების დაცვასა და მსოფლიო კულტურის მემკვიდრედ მოსწავლის ჩამოყალიბებას ერთიან საგანმანათლებლო პროცესად განიხილავს. დასავლური და აღმოსავლური ღირებულებების სინთეზი, მსოფლიო და ქართული პედაგოგიკური გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან კონკურენტუნარიანობისკენ სწრაფვა შეესაბამება ეროვნული მიზნების იმ მიმართულებებს, რომლებიც კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას, გლობალურ ცნობიერებასა და თანამედროვე სამყაროში ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას უკავშირდება.

შესაბამისად, სკოლის მისია და ხედვა ქმნის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელებისთვის შესაბამის საფუძველს და ორიენტირებულია ისეთი პიროვნების აღზრდაზე, რომელიც აცნობიერებს საკუთარ ეროვნულ იდენტობას, იზიარებს დემოკრატიულ და ჰუმანურ ღირებულებებს, ფლობს თანამედროვე ცოდნასა და უნარებს და მზად არის პიროვნული, პროფესიული და საზოგადოებრივი განვითარებისათვის
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განსაზღვრავს დაწესებულების როლს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერი და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის. მისიაში ხაზგასმულია მოსწავლის ინტელექტუალური, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა, პიროვნული და პროფესიული წარმატებისთვის აუცილებელი უნარების ჩამოყალიბება, საკუთარი თავის შეცნობა და განვითარების დინამიკის გააზრება, რაც ადასტურებს სკოლის ორიენტაციას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებაზე.
სკოლის მიერ დეკლარირებული ღირებულებები, მათ შორის ღირსება, აღიარება, ზრუნვა, დაფასება, განვითარება და ბედნიერება, ქმნის ისეთი სასკოლო გარემოს საფუძველს, სადაც დაცულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ღირსება, აღიარებულია პიროვნების უნიკალურობა და მხარდაჭერილია თითოეული მოსწავლისა და თანამშრომლის განვითარება. აღნიშნული ღირებულებები ხელს უწყობს უსაფრთხო, ინკლუზიური და კეთილგანწყობილი გარემოს ფორმირებას, რომელიც ორიენტირებულია ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობასა და კეთილდღეობაზე.
ამასთანავე, სკოლის ხედვა, რომელიც ეფუძნება მსოფლიო და ქართული პედაგოგიკური გამოცდილების საუკეთესო პრაქტიკებსა და საკუთარი საგანმანათლებლო კულტურის განვითარებას, სკოლას განიხილავს არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებად, არამედ სოციო-კულტურულ სივრცედ, სადაც თანაბრად მნიშვნელოვანია სწავლება, აღზრდა, კულტურული ღირებულებების გაზიარება, სოციალური ურთიერთობები და საზოგადოების საერთო განვითარება. შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ადასტურებს, რომ სკოლა საკუთარ როლს განსაზღვრავს როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო, მხარდამჭერ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებასა და გადახედვას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, მათ შორის, ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მონაწილეობით. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ფორმირების, დოკუმენტების გაზიარების, უკუკავშირის მიღებისა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების მექანიზმები, რაც ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს თანამონაწილეობითი დაგეგმვის მნიშვნელობა და შესაბამისი პროცედურები გაწერილი აქვს შიდა რეგულაციებით.

ამასთანავე, სკოლა ამჟამად დაფუძნებისა და ფუნქციონირების დაწყების ეტაპზე იმყოფება, რის გამოც სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი ჯერ კიდევ სრულად არ არის ფორმირებული. შესაბამისად, მისია, ხედვა და ღირებულებები საწყის ეტაპზე შემუშავებულია სკოლის დირექციის წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული გარემოება თავად მეთოდოლოგიითაც არის გათვალისწინებული, რომლის მიხედვითაც, სკოლის ამოქმედებისა და სასკოლო საზოგადოების ფორმირების შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვასა და მათში ცვლილებების შეტანას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე ინდიკატორთან მიმართებით იკვეთება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები, თუმცა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობა, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, სრულად ვერ განხორციელდა. სკოლა გეგმავს აღნიშნული დოკუმენტების გადახედვასა და მათ სრულფასოვან განხილვას სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის მონაწილეობით სკოლის ფუნქციონირების პირველივე წელს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მექანიზმებსა და პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები ექვემდებარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის გაზიარებას, მიღებული უკუკავშირის განხილვასა და გათვალისწინებას, ხოლო საბოლოოდ დამტკიცებული დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სასკოლო საზოგადოებისათვის. გაზიარების მიზნით განსაზღვრულია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი, მათ შორის ელექტრონული ფოსტა, ღია შეხვედრები, საჯარო განხილვები, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და სხვა საინფორმაციო საშუალებები.

ამასთანავე, სკოლა ამჟამად ფუნქციონირების საწყის ეტაპზე იმყოფება და სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი სრულად ჯერ არ არის ფორმირებული. შესაბამისად, მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფართო მასშტაბით გაზიარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრთან ამ ეტაპზე სრულად ვერ განხორციელდა. თუმცა, მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სკოლის ამოქმედებისა და სასკოლო საზოგადოების ფორმირების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული დოკუმენტების განხილვა, გადახედვა და გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებთან, შესაბამისი უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინების საფუძველზე.

შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით შეიძლება აღინიშნოს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მკაფიო მექანიზმები და პროცედურები, რომელთა პრაქტიკული განხორციელება დაგეგმილია სასკოლო საზოგადოების სრულად ფორმირების შემდგომ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული განცხადებები განთავსდება სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, აისახება სხვადასხვა ბეჭდურ და მნიშვნელოვან დოკუმენტებში, ასევე გაჟღერდება სკოლის მიერ ორგანიზებულ ოფიციალურ შეხვედრებსა და ღონისძიებებზე. გარდა ამისა, მათი გაზიარებისათვის განსაზღვრულია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები, მათ შორის ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები და სხვა საინფორმაციო საშუალებები.

ამასთანავე, სკოლა ფუნქციონირების საწყის ეტაპზე იმყოფება და სასკოლო საზოგადოების ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. შესაბამისად, მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობის ყველა მექანიზმი ამ ეტაპზე სრულად დანერგილი არ არის. თუმცა,

სკოლას განსაზღვრული აქვს აღნიშნული დოკუმენტების საჯაროობის უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმები და პროცედურები, რომელთა პრაქტიკული განხორციელება დაგეგმილია სკოლის ამოქმედებისა და სრულფასოვანი ფუნქციონირების პროცესში.
შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით შეიძლება აღინიშნოს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხოლო მათი სრულმასშტაბიანი რეალიზება დაკავშირებულია სკოლის ფუნქციონირებისა და სასკოლო საზოგადოების სრულად ფორმირების შემდგომ ეტაპთან.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის შესაბამის, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

სკოლის სახელწოდება სრულად შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესაბამის, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინოლოგიას. დაწესებულების სახელწოდებაა „შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლა“, რაც შეესაბამება კერძო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს. აღნიშნული დადასტურებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერით.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- შპს გია მურღულიას უნივესალური სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის ფილოსოფია;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია წარმოადგენს სკოლის მართვის სისტემის მნიშვნელოვან შიდა დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს როგორც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის სტრუქტურას, ისე მისი განხორციელების პრინციპებსა და ჩართულ მხარეებს.

მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა არის ციკლური და სისტემური პროცესი, რომელიც მოიცავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრას, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებას, სამოქმედო გეგმის შემუშავებას, მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელებას. ამით უზრუნველყოფილია სკოლის განვითარების უწყვეტობა და ადაპტირება როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებთან.

დოკუმენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს **სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას**, რაც გამოიხატება სამუშაო ჯგუფის ფორმირებაში, სადაც ერთიანდებიან დირექციის წარმომადგენლები, ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობლები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვას და ქმნის თანამონაწილეობით მართვის პრინციპზე დაფუძნებულ სისტემას.

მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის განსაზღვრული **პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები**, რომლებიც მოიცავს:

- სასკოლო საზოგადოებისგან ინფორმაციისა და უკუკავშირის შეგროვებას;
- სტრატეგიული დოკუმენტების პროექტების გაზიარებას;
- მიღებული მოსაზრებების განხილვასა და გათვალისწინებას;
- საბოლოო გადაწყვეტილებების სამუშაო ჯგუფისა და დირექტორის დონეზე დამტკიცებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასევე **გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს**. სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტების საჯაროობას, ინფორმაციის სისტემურ გაზიარებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშების მომზადებასა და გამოქვეყნებას.

მეთოდოლოგია აღწერს სტრატეგიული დაგეგმვის სრულ ციკლს, რომელიც იწყება ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით (მათ შორის SWOT ანალიზის გამოყენებით), გრძელდება სტრატეგიული მიზნების ფორმირებით და სრულდება შესრულების მონიტორინგითა და შეფასებით. ეს პროცესი უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაგეგმვას, არამედ მისი რეალიზაციის ხარისხის კონტროლს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი დებულება, რომლის მიხედვითაც, სკოლის დაფუძნების ეტაპზე მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება ხდება დირექტორატის მიერ, ხოლო სასკოლო საზოგადოების სრულად ფორმირების შემდეგ გათვალისწინებულია მათი გადახედვა და სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველყოფა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას შემუშავებული აქვს **2026-2033 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა**, რომელიც დამტკიცებულია შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ დირექტორის **2026 წლის 14 აპრილის N2-03 ბრძანებით**. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს, სტრატეგიულ მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს.

სტრატეგიული გეგმა შვიდწლიან პერიოდს მოიცავს და წარმოადგენს ციკლურ დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს, გარემოებების ცვლილებების შესაბამისად პერიოდულ გადახედვასა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელებას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება ობიექტური ანალიზის საფუძველზე და შესაძლებელია მისი გარკვეული პერიოდულობით გადახედვა.

დოკუმენტი უშუალოდ ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია სკოლის მისია, ღირებულებები, ხედვა, საგანმანათლებლო ფილოსოფია და განვითარების ძირითადი პრინციპები, რაც ქმნის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრის საფუძველს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პიროვნების მრავალმხრივ განვითარებას, აზროვნების კულტურას, პასუხისმგებლობას, თავისუფლებას, შემოქმედებითობასა და ღირებულებათა სისტემის ფორმირებას.

სტრატეგიული გეგმა შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს. SWOT ანალიზისა და სკოლის ფილოსოფიის საფუძველზე განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ კონკრეტულ ამოცანებად არის გაშლილი და განსაზღვრულია მათი განხორციელების შვიდწლიანი ვადები. მაგალითად, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიმართულებით განსაზღვრულია ახალი პროგრამების შემუშავება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდა, ხოლო ადამიანური რესურსის განვითარების მიმართულებით - კადრების მოზიდვა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

შესაბამისად, წარმოდგენილი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა არის ციკლური განვითარების დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, შეიცავს მათთან შესაბამის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებსა და მათი განხორციელების მექანიზმებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს **2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების ინსტრუმენტს და განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, განხორციელების ვადებს, საჭირო რესურსებსა და შესრულების ინდიკატორებს.

დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქმედო გეგმა უშუალოდ ეფუძნება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ მიმართულებებს. მასში ასახულია სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრიორიტეტები, მათ შორის: ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება. თითოეული მიმართულება გაშლილია კონკრეტულ ამოცანებად, აქტივობებად, პასუხისმგებელ პირებად, შესრულების ვადებადა და მტკიცებულებებად.

სამოქმედო გეგმაში, მაგალითად, ადამიანური რესურსის განვითარების მიმართულებით განსაზღვრულია პერსონალის მართვის პოლიტიკის გაუმჯობესება, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, შიდასასკოლო ტრენინგების დანერგვა და პროფესიული საჭიროებების კვლევა.

ასევე, დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებას, მათ შორის მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებას, მშობელთა კმაყოფილების კვლევას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდასა და კოლეგიური ორგანოების გააქტიურებას.

ამასთანავე, სკოლა ამჟამად ფუნქციონირების საწყის ეტაპზე იმყოფება და სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, რის გამოც ყოველწლიური თვითშეფასების განხორციელება ობიექტურად შეუძლებელია. შესაბამისად, წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ძირითადად ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას, ავტორიზაციისათვის განხორციელებულ თვითანალიზსა და განვითარების პრიორიტეტებს. სკოლის ფუნქციონირების დაწყებისა და პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნება ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებიც.

შესაბამისად, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა აკმაყოფილებს ერთწლიანი დაგეგმვის მოთხოვნას და ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ განვითარების მიმართულებებს, ხოლო ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებზე დაფუძნებული დაგეგმვა განხორციელდება სკოლის საქმიანობის დაწყებისა და შესაბამისი შეფასებითი მონაცემების დაგროვების შემდგომ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი აჩვენებს, რომ დოკუმენტი სტრუქტურულად და შინაარსობრივად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. სამოქმედო გეგმა აგებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიმართულებების საფუძველზე და თითოეული სტრატეგიული მიზანი კონკრეტულ ამოცანებად, აქტივობებად და შესასრულებელ ღონისძიებებად არის გაშლილი.

დოკუმენტში თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია დირექტორზე, დირექტორის მოადგილეზე, კათედრების ხელმძღვანელებზე, მასწავლებლებზე, დამრიგებლებზე, კოლეგიურ ორგანოებზე, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორზე და სხვა პასუხისმგებელ პირებზე, რაც უზრუნველყოფს ფუნქციებისა და მოვალეობების მკაფიო განაწილებას.

სამოქმედო გეგმა ასევე შეიცავს შესრულების გაზომვად ინდიკატორებსა და მტკიცებულებებს. შესრულების შეფასების საშუალებად განსაზღვრულია ანგარიშები, კითხვარების ანალიზი, სხდომებისა და შეხვედრების ოქმები, მონიტორინგის შედეგები, პორტფოლიოები, ხელშეკრულებები, მიღება-

ჩაბარების აქტები, დოკუმენტაცია, ფოტომასალა და სხვა შესაბამისი მტკიცებულებები, რაც იძლევა დაგეგმილი აქტივობების შესრულების ხარისხისა და შედეგების შეფასების შესაძლებლობას.

დოკუმენტში აქტივობების განხორციელებისთვის განსაზღვრულია კონკრეტული დროითი ჩარჩოები სასწავლო წლის თვეების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობების ეტაპობრივ და რეალისტურ დაგეგმვას. აქტივობების განაწილება სასწავლო წლის განმავლობაში ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და დაგეგმილი ღონისძიებების დროულ შესრულებას.

გეგმაში ასევე იდენტიფიცირებულია საქმიანობების განსახორციელებლად საჭირო რესურსები. დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, ხოლო ცალკეულ მიმართულებებში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსება, გრანტები და სხვა დამატებითი შესაძლებლობები. რესურსების დაგეგმვა შესაბამისობაშია სკოლის საჭიროებებთან და დაგეგმილ აქტივობებთან.

ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა ფუნქციონირების საწყის ეტაპზე იმყოფება, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები, ვადები და რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების რეალურ შესაძლებლობებსა და განვითარების ეტაპზე, რაც მათ განხორციელებადსა და რეალისტურს ხდის.

შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები. რესურსებთან დაკავშირებით

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტი სტრატეგიულ დაგეგმვას განიხილავს, როგორც უწყვეტ და ციკლურ პროცესს, რომელიც აერთიანებს დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და შემდგომი განვითარების ეტაპებს.

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მიმდინარეობა ექვემდებარება სისტემატურ მონიტორინგს, რომლის მიზანია დაგეგმილი აქტივობების შესრულების ხარისხის, შედეგებისა და ეფექტიანობის შეფასება. მონიტორინგის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მტკიცებულება და მონაცემი, მათ შორის ანგარიშები, შესრულების ინდიკატორები, კვლევების შედეგები, უკუკავშირი და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია.

დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს შესრულების შედეგების პერიოდულ ანალიზს, მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხარისხის შეფასებას, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შეფასების შედეგები გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სამოქმედო გეგმების კორექტირებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების დაზუსტებისთვის.

მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია როგორც მონიტორინგისა და შეფასების პასუხისმგებელი პირები, ასევე ანგარიშგებისა და შედეგების განხილვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

ამასთანავე, სკოლა ამჟამად ფუნქციონირების საწყის ეტაპზე იმყოფება, რის გამოც მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების პრაქტიკული განხორციელების შედეგები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, წარმოდგენილი მეთოდოლოგია სრულად განსაზღვრავს შესაბამის პროცედურებსა და მექანიზმებს, რომლებიც სკოლის საქმიანობის დაწყების შემდგომ უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებასა და შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და განსაზღვრავს მათი განხორციელების ძირითად პროცედურებს, პასუხისმგებელ პირებსა და შედეგების გამოყენების წესს. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში სტრატეგიული განვითარებისა და წლიური სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის, შეფასებისა და უკუკავშირის ინტეგრირების საკითხები მეთოდოლოგიურ დონეზე სრულყოფილადაა მოწესრიგებული. აღნიშნული მიმართულება პირდაპირ რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით“. ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას ფაქტობრივად არ ახორციელებს და ოპერირებას გეგმავს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ავტორიზაციის მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეფასდა სკოლის სისტემური და პროცედურული მზაობა გეგმების მონიტორინგისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის დამუშავების კუთხით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია მმართველობითი პროცესების შეფასების მკაფიო სისტემა. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ თანახმად, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პერიოდულად შეაფასოს სკოლის სტრატეგიული და წლიური დაგეგმვის პროცესები. ეს მიდგომა სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, რომელიც ახლად დაფუძნებული სკოლებისგან ითხოვს წინასწარ განსაზღვრული, ვალიდური და მდგრადი შეფასების მექანიზმების არსებობას.

დოკუმენტაციით დადასტურებული მეთოდოლოგიური ჩარჩო მონიტორინგისა და უკუკავშირის მიმართულებით მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- **ინსტიტუციური მონიტორინგი:** სკოლას წინასწარ აქვს გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების პროცედურა, რაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ციკლის (PDCA) განუყოფელი ნაწილია;
- **დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:** ხარისხის მართვის სისტემა ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილებაზე, რაც გულისხმობს მათ აქტიურ მონაწილეობას შეფასების პროცესში;
- **უკუკავშირის ინსტრუმენტები:** საჭიროებებისა და პროცესების ეფექტურობის დასადგენად, მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუების ჩატარებასა და სპეციალური კითხვარების გამოყენებას, რაც შეფასების ობიექტურობის გარანტიაა;

- **რეაგირება და განვითარება:** შემოწმების შედეგად მომზადებული დასკვნის პროექტი მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს ხარვეზების გამოსწორებისა და გეგმების კორექტირებისთვის, სადაც შემოწმების ობიექტს ეძლევა შესაძლებლობა, წარადგინოს საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული ბაზა ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგის მნიშვნელობა და შექმნილი აქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ ოპერირების დაწყებისთანავე უზრუნველყოს გეგმების შესრულების კონტროლი სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით.

**ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციის პროცესს და შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი ვერ განხორციელდებოდა ინდიკატორი ვერ შეფასდება**

### 3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გამჭვირვალობისა და საჯაროობის საკითხი მეთოდოლოგიურ და სისტემურ დონეზეა გარანტირებული. ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას ფაქტობრივად არ ახორციელებს და ოპერირებას გეგმავს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეფასდა აღნიშნული მიმართულებით სკოლის ნორმატიული მზაობა, დაგეგმილი მექანიზმები და ანგარიშვალდებულების ფორმატები.
სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტის ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სასკოლო სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად პირდაპირ არის დეკლარირებული **გამჭვირვალობის უზრუნველყოფა** და **დაინტერესებული მხარეების (მათ შორის, სასკოლო საზოგადოების) ინტერესებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილება**. დოკუმენტის მიხედვით, მმართველობითი პროცესების (სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა) ფარგლებში, სკოლას მეთოდოლოგიურად უკვე გაწერილი აქვს როგორც სტრატეგიული, ისე ერთწლიანი გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის კონკრეტული მექანიზმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლა წინასწარ და გეგმაზომიერად აყალიბებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების სისტემური გაზიარებისა და საჯაროობის პლატფორმებს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის რეალურად დაწყებისა და შესაბამისი ემპირიული მონაცემების/შედეგების დაგროვების შემდგომ, შესრულების ანგარიშები და შეფასების დოკუმენტები პროაქტიულად გახდება ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის. წინასწარ შექმნილი ინსტიტუციური მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს და იძლევა საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების რეალიზების მყარ გარანტიას, მაგრამ ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციის პროცესს და შესაბამისად **სტრატეგიული განვითარებისდა სამოქმედო გეგმები არ განხორციელებულა - ინდიკატორი ვერ შეფასდება**

### 4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მიმდინარეობა ექვემდებარება პერიოდულ მონიტორინგსა და ანალიზს, რომლის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხის შესაფასებლად, გამოწვევების იდენტიფიცირებისა და საჭირო ცვლილებების დასაგეგმად. აღნიშნული მიდგომა ქმნის მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს და ხელს უწყობს სკოლის განვითარების პროცესის უწყვეტობას.
დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს გეგმების პერიოდულ გადახედვას, შესრულების შედეგების განხილვასა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც მომდევნო სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, ისე სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტების დაზუსტებისა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელების პროცესში.

ამასთანავე, სკოლა ამჟამად არ ფუნქციონირებს. შესაბამისად, ამ ეტაპზე შეუძლებელია შესრულების შედეგების გამოყენების პრაქტიკის შეფასება და შესაბამისად **ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**
**3.1. პერსონალის მართვა**
**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურა ასახავს მართვის, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და მხარდამჭერი მიმართულებების ურთიერთკავშირსა და იერარქიულ მოწყობას. ორგანიზაციული სქემა განსაზღვრავს სკოლის მართვის ორგანოებს, სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამდებობებს, რაც უზრუნველყოფს უფლებამოსილებების, პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულების სფეროების გამიჯვნას. სკოლის უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, ხოლო სკოლის მიმდინარე საქმიანობისა და სტრატეგიული განვითარების მართვას უზრუნველყოფს დირექტორი. დირექტორის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს ადმინისტრაციული, სასწავლო და მხარდამჭერი მიმართულებები, რაც ქმნის მართვის მკაფიო და იერარქიულ სისტემას.

ორგანიზაციული სტრუქტურით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი ერთეულები, მათ შორის დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მასწავლებლები, დამრიგებლები და მასწავლებლის დამხმარეები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და ხარისხის მართვას.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს კოლეგიური და მონაწილეობითი მმართველობის ორგანოები, კერძოდ: პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი, რომელთა არსებობა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დემოკრატიულობასა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას.

ადმინისტრაციული და მხარდამჭერი ფუნქციები გადანაწილებულია შესაბამის თანამდებობებზე, მათ შორის ბუღალტერზე, იურისტზე, IT მენეჯერზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერზე, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერზე, არაფორმალური განათლების მენეჯერზე, ტექნიკური სამსახურის მენეჯერზე, სამეურნეო ნაწილის გამგეზე, ბიბლიოთეკარზე, ფსიქოლოგზე, ექიმსა და სხვა თანამშრომლებზე, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების ეფექტიან განხორციელებას.

ამასთანავე, სკოლა ამჟამად პირველადი ავტორიზაციის პროცესს გადის და ფუნქციონირების საწყის ეტაპზე იმყოფება, თუმცა წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი ადასტურებს, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები, მმართველი ორგანოები და პასუხისმგებელი პირები იდენტიფიცირებულია და მათი ფუნქციები გამიჯნულია.

შესაბამისად, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, რაც ქმნის ეფექტიანი მართვის, კოორდინაციისა და პასუხისმგებლობების განაწილების საფუძველს.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის დებულებისა (დამტკიცებულია - შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის N2-01 ბრძანებით) და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (დამტკიცებულია - დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით) ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში სტრუქტურულ ერთეულებსა და პოზიციებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია სისტემურად, მკაფიოდ და მიზანმიმართულად, რაც პირდაპირ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ და უწყვეტ წარმართვას.

სკოლის მართვის მოდელი ეფუძნება მკაცრად განსაზღვრულ იერარქიულ და ფუნქციურ ვერტიკალს. სტრატეგიულ მართვასა და სადამფუძნებლო საკითხებს წარმართავს პარტნიორთა კრება, ხოლო ერთპიროვნულ ოპერატიულ მმართველობას ახორციელებს დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია როგორც ფინანსურ-ადმინისტრაციულ გამართულობაზე, ისე სახელმწიფოსა და მშობლების წინაშე. დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია

სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მოადგილე, რომელიც საგანმანათლებლო ხარისხის კონტროლის, ეროვნული სასწავლო გეგმის რეალიზაციისა და კათედრების კოორდინაციის მთავარი რგოლია.

პროცესების ეფექტურობასა და ფუნქციურ დიფერენციაციას განაპირობებს ის გარემოება, რომ დებულებით დეტალურად არის გამიჯნული თითოეული პოზიციის მოვალეობები, რაც გამორიცხავს საქმიანობათა დუბლირებას. მაგალითად, სასწავლო პროცესის მენეჯერი უშუალოდ აკადემიურ პერსონალთან მუშაობაზე, გეგმების მონიტორინგსა და შეფასების სისტემის დანერგვაზეა ფოკუსირებული, მაშინ როდესაც არაფორმალური განათლების მენეჯერი კურირებს კლუბურ მუშაობას, პროექტებსა და მოსწავლეთა თვითმმართველობას. ამასთანავე, სკოლას გამოყოფილი ჰყავს სპეციალიზებული კადრები - საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR), საერთაშორისო ურთიერთობების, IT მენეჯერები, აგრეთვე იურისტი, ფსიქოლოგი და ექიმი, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ უსაფრთხო, ტექნოლოგიურად გამართულ და ფსიქო-ემოციურად სტაბილურ გარემოს.

კოლექტიური პასუხისმგებლობისა და გუნდურობის პრინციპები რეალიზებულია პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების დონეზე. პედაგოგიური საბჭო, როგორც მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, უშუალოდ მონაწილეობს სასკოლო სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცებაში, ხოლო კათედრები უზრუნველყოფენ საგნობრივი პროგრამების კოორდინაციასა და შეფასების რუბრიკების ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, სადაც სპეციალური მასწავლებელი და ისგ ჯგუფი მიზანმიმართულად მუშაობენ სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერაზე.

საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობასა და რისკების მართვას აძლიერებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაწერილი ურთიერთჩანაცვლების მექანიზმები. დოკუმენტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციურ ჩანაცვლებას ფორსმაჟორულ სიტუაციებში, ხოლო მასწავლებლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოქმედებს მკაფიო წესი, რომელიც პროცესის შეჩერების გარეშე უზრუნველყოფს საგაკვეთილო საათის კომპენსირებას შესაბამისი პროფილის კადრით და აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- საშტატო განრიგი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- დასაქმებულთა ხელშეკრულებები;
- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის N2-01 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის დებულება;
- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული - შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სამართლებრივი მოწესრიგება კომპლექსურად არის უზრუნველყოფილი სამი ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტით: სკოლის დებულებით (ბრძანება N2-01, 14.04.2026), ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით (ბრძანება N2-05, 20.04.2026) და შინაგანაწესით (ბრძანება N2-04, 20.04.2026). ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო

საქმიანობას ფაქტობრივად არ ახორციელებს და ოპერირებას გეგმავს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა პერსონალის მართვის პროცესების მზაობა, სტრუქტურული მდგრადობა და წარმოდგენილი დოკუმენტების თავსებადობა მოქმედ კანონმდებლობასთან. წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების ნარატიული ანალიზით დასტურდება, რომ შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც მკაცრად არის დაცული დისკრიმინაციის აკრძალვის სტანდარტები და თანასწორობის პრინციპი, რაც ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის თანაბარი შრომის პირობებში თანაბარი ანაზღაურების გადახდას. სამომავლო შრომითი ურთიერთობების წარმოშობისა და პერსონალის მიღების კუთხით, წინასწარ არის გაწერილი მასწავლებელთა შერჩევის გამჭვირვალე სისტემა, რომელიც განხორციელდება შიდა და ღია კონკურსების გზით, მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების შესაბამისად. პირადი საქმეების წარმოების მზაობაზე მიუთითებს სამუშაოზე მიღებისას წარსადგენი დოკუმენტაციის მკაცრად განსაზღვრული ნუსხა, რომელიც კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მოიცავს უფლების ჩამორთმევის, ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ ცნობებს, ამასთან, განსაზღვრულია, რომ თითოეულ დასაქმებულთან გაფორმდება ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება.

სამუშაო, დასვენებისა და შვებულების დროის რეგულირების ნაწილში, დოკუმენტაცია სრულად პასუხობს შრომით სტანდარტებს: ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისათვის განსაზღვრულია კვირაში 40-საათიანი სამუშაო გრაფიკი, ხოლო ზეგანაკვეთური შრომა დარეგულირებულია მხარეთა შეთანხმებით. ზედმიწევნით არის გაწერილი შვებულებების სისტემაც, რაც ითვალისწინებს წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღეს ანაზღაურებადი, ხოლო 15 კალენდარულ დღეს ანაზღაურების გარეშე შვებულების სახით. დეკრეტული შვებულების მარეგულირებელი ჩარჩო სრულ თანხვედრაშია სახელმწიფო დახმარების სტანდარტებთან და ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებად შვებულებას განსაზღვრავს 126 კალენდარული დღით, ხოლო ბავშვის მოვლის გამო - 604 კალენდარული დღით.

სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ, შიდა წესრიგისა და უფლებების დაცვის გარანტიებს უზრუნველყოფს დისციპლინური წარმოების გამართული მოდელი. დისციპლინური დევნა და სახდელის გრადაცია ეფუძნება გონივრულობისა და პროპორციულობის პრინციპებს, ხოლო მასწავლებელთა გადაცდომებს განიხილავს კოლეგიური ორგანო - დისციპლინური კომიტეტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის, აცილების/თვითაცილების მექანიზმები, დასაქმებულის უფლება დუმილსა და მტკიცებულებათა წარდგენაზე, ასევე მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო წესით გასაჩივრების უფლება. გარდა ამისა, შინაგანაწესის მე-9 მუხლით დადგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტი, რაც ავალდებულებს პერსონალს დაიცვას ოფიციალური ელექტრონული რესურსები და კონფიდენციალურობა.

ექსპერტთა ჯგუფი ადგენს - წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის დაგეგმილი პოლიტიკა და შინაგანაწესი სრულ თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან, განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ამჟამად არ ფუნქციონირებს, შემუშავებული სამართლებრივი აქტები რეალურად უზრუნველყოფს პერსონალის მართვის გამჭვირვალე, სამართლიან და კანონშესაბამის გარემოს, რის გამოც მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში პერსონალის მართვისა და სასწავლო პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულია კომპლექსური დოკუმენტი - „პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა“ (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით). ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას ფაქტობრივად არ ახორციელებს და ოპერირებას გეგმავს მხოლოდ

ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ამ მიმართულებით სკოლის სისტემური მზაობა, პოლიტიკის ადეკვატურობა და მისი თავსებადობა ეროვნული სასწავლო გეგმის უწყვეტობის სტანდარტებთან.

წარმოდგენილი პოლიტიკის ანალიზით დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია მკაფიოდ სტრუქტურირებული და საჭიროებებზე დაფუძნებული ხედვა, რომელიც მიზნად ისახავს გაცდენების პრევენციას, აკადემიური კალენდრისა და საგაკვეთილო საათების სრულფასოვან დაცვას. დოკუმენტის მოქმედების სფერო თანაბრად ვრცელდება ყველა კატეგორიის (აკადემიურ, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ) პერსონალზე, თუმცა განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია უშუალოდ მასწავლებელთა დაგეგმილი და დაუგეგმავი გაცდენების ეფექტურ მართვაზე. პრევენციულ ნაწილში, სკოლის მზაობა გამოიხატება თითოეული თანამშრომლისთვის წინასწარ გაწერილი „სამუშაო აღწერილობებისა“ და „კრიზისული ინსტრუქციების“ არსებობით. ადმინისტრაციული რგოლის სტაბილურობისთვის დანერგილია ჯვარედინი გადამზადების მოდელი, რაც გულისხმობს თანამშრომელთა მიერ ერთმანეთის ელემენტარული ოპერაციული ფუნქციების შესწავლას ფორსმაჟორში პროცესების შეუფერხებლად წარსამართავად.

ინტერვენციული მექანიზმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მასწავლებლის გაცდენის შემთხვევაში, სისტემა გამორიცხავს გაკვეთილების გაცდენას ან სასწავლო დროის არაეფექტურ კარგვას. დაუგეგმავი გაცდენისას (მაგ: ჯანმრთელობის გაუარესება), პედაგოგი ვალდებულია დილის 08:30 საათამდე აცნობოს ხარისხის მენეჯერს ან საგნის კათედრის ხელმძღვანელს, რის შემდეგაც ამოქმედდება ჩანაცვლების მკაცრად გაწერილი იერარქია: გაკვეთილს უპირველესად ატარებს იმავე საგნის პარალელური კლასის მასწავლებელი, მისი დაკავებულობის შემთხვევაში — მონათესავე საგნობრივი ჯგუფის წევრი, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში საათი კომპენსირდება კლასის დამრიგებლის მიერ სადამრიგებლო საათის, კარიერული დაგეგმვის ან პროექტული მუშაობის ფორმატში. ყოველი ასეთი ინტერვენცია ფიქსირდება დასწრებისა და ჩანაცვლების სპეციალურ ელექტრონულ/მატერიალურ ჟურნალში. ტექნიკური და დამხმარე პერსონალის მიმართულებით, რომელიც ძირითადად მომსახურების ხელშეკრულებებითაა აყვანილი, გათვალისწინებულია სარეზერვო ცვლების ოპერატიული როტაცია, ხოლო კვების ბლოკისა და ტრანსპორტისთვის შემუშავებულია „კრიზისული გეგმა“ ალტერნატიულ მომწოდებლებთან სწრაფი კომუნიკაციისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს, მის მიერ შემუშავებული „პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა“ არის აბსოლუტურად რეალისტური, საჭიროებებზე ორიენტირებული და სრულად უზრუნველყოფს სამომავლო სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ მდგრადობას. წინასწარ განსაზღვრული რისკების მართვისა და ჩანაცვლების მექანიზმები გარანტიას იძლევა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სკოლა შეძლებს საგანმანათლებლო საქმიანობის სტაბილურ და შეუფერხებელ განხორციელებას. რის გამოც, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

### 3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვის, შერჩევისა და დასაქმების პროცედურები კომპლექსურად, სისტემურ დონეზეა დარეგულირებული დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებული სამი ძირითადი დოკუმენტით: „შინაგანაწესით“ (ბრძანება N2-04, 20.04.2026), „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა“ (ბრძანება N2-05, 20.04.2026) და „თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“ (ბრძანება N2-09, 20.04.2026). ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას არ ახორციელებს და ოპერირებას გეგმავს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა პერსონალის შერჩევის მარეგულირებელი ჩარჩოს ობიექტურობა, გამჭვირვალობა და უკვე განხორციელებული წინასწარი კონკურსების შესაბამისობა დადგენილ კრიტერიუმებთან.

დოკუმენტური ექსპერტიზითა და წარმოდგენილი მასალების ანალიზით დგინდება, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს კადრების შერჩევის მკაფიო, მრავალეტაპიანი და მერიტოკრატიული სისტემა, რომელიც ეფუძნება ღიაობისა და თანასწორობის პრინციპებს, საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების წესის მოთხოვნათა ზედმიწევნითი დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ფუნქციონირების დაწყების საორგანიზაციო ეტაპზეა, საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი და მაღალხარისხიანი სტარტისთვის ძირითადი აკადემიური და ადმინისტრაციული კადრები დაწესებულებას უკვე მოზიდული, შერჩეული და მობილიზებული ჰყავს. პერსონალის შერჩევის პროცესის რეალური ობიექტურობა და საჯაროობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმებითა და კანდიდატთა შეფასების დეტალური ინდიკატორებით. ეს მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ შერჩევა წარიმართა წინასწარ განსაზღვრული ეტაპების მიხედვით, რაც მოიცავდა ვაკანსიების საჯარო გამოცხადებას, შემოსული აპლიკაციების სკრინინგს, გასაუბრებებსა და კანდიდატების შეფასებას წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

კონკურსის მიზანმიმართულობასა და პოზიციებისადმი კადრების თავსებადობას არსებითად აძლიერებს „თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტი, რომელიც თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და პოზიციისთვის (დაწყებული დირექტორიდან, სასწავლო პროცესის მენეჯერებიდან, კათედრის თავმჯდომარეებიდან და მასწავლებლებიდან - დამხმარე და ტექნიკურ პერსონალამდე, მათ შორის ექიმამდე, ფსიქოლოგამდე და დაცვის თანამშრომლამდე) აწესებს მკაფიო, ადეკვატურ და პროფესიულ ფილტრებს. დოკუმენტში გამიჯნულია როგორც ზოგადი კომპეტენციები (ქართულ ენაზე გამართული კომუნიკაცია, გუნდურობა, პუნქტუალურობა), ისე სპეციფიკური მოთხოვნები განათლების ცენზის, სამუშაო გამოცდილებისა და იმ ნორმატიული აქტების ცოდნის კუთხით, რაც აუცილებელია კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად (მაგალითად, ბავშვთა უფლებებისა და უსაფრთხოების ნორმების ცოდნა დაცვის თანამშრომლისთვის, ან მინისტრის №174/ნ ბრძანების მოთხოვნები მასწავლებლებისა და სპეციალური მასწავლებლებისთვის). სწორედ ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდა უკვე აყვანილი ძირითადი ბირთვის ვალიდაცია, რაც გამოირიცხავს სუბიექტურობას შერჩევის პროცესში.

შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მოთხოვნათა შესაბამისად, შერჩევის პრაქტიკულ რეჟიმში მკაცრად იქნა დაცული თანასწორობის პრინციპი და გამოირიცხა ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია. ამასთანავე, სკოლამ სამუშაოზე აყვანის აუცილებელ წინაპირობად გამოიყენა კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციფიკური სამართლებრივი ფილტრები, რაც გულისხმობს შერჩეული კადრების მიერ ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ ცნობების სავალდებულო წარმოდგენას, რითაც დასაქმებამდე სრულად იქნა გადამოწმებული პერსონალის საიმედოობა და უსაფრთხოება.

ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შერჩევის სამართლებრივი ბაზა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დეტალური აღწერილობა, კომისიის ოქმები და შეფასების ფორმები ადასტურებს, რომ სკოლამ უკვე უზრუნველყო კვალიფიციური, პოზიციის შესაბამისი ძირითადი პერსონალის მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების სრული დაცვით. შესაბამისად, დაწესებულების მიერ დანერგილი და პრაქტიკულად რეალიზებული შერჩევის პოლიტიკა ქმნის მყარ გარანტიას, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას დაიწყებს სრულად დაკომპლექტებული, მაღალპროფესიული გუნდით, რის გამოც მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში პერსონალის კვალიფიკაციის თავსებადობა საკანონმდებლო და შიდაორგანიზაციულ კრიტერიუმებთან სამართლებრივად დარეგულირებულია დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-09 ბრძანებით დამტკიცებული „თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“, „შინაგანაწესითა“ და „საშტატო განრიგით“. ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას ფაქტობრივად არ ახორციელებს და ოპერირებას გეგმავს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მობილიზებული პერსონალის კვალიფიკაცია და დასაქმების სამართლებრივი საფუძვლები.

**დასკვნის პროექტის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი“,** ვინაიდან საორგანიზაციო ეტაპზე სკოლას ჯერ კიდევ არ ჰყავდა სრულად აყვანილი საჭირო პერსონალი და ზოგიერთ პოზიციაზე მიმდინარეობდა შერჩევის პროცედურა. კერძოდ, ვაკანსიები ფიქსირდებოდა ტექნოლოგიების, სპორტისა და დაწყებითი (I-IV) კლასების პედაგოგების, ასევე ექიმის, დამლაგებლის, არაფორმალური განათლების მენეჯერის, სამეურნეო ნაწილის გამგის, მასწავლებლის დამხმარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) მენეჯერის პოზიციებზე.
დაწესებულებამ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ახალი, უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ **აღნიშნული ხარვეზები სრულად აღმოფხვრილია**. სკოლამ წარმატებით დაასრულა შერჩევის პროცესი და რეალურად აიყვანა ყველა კადრი: ტექნოლოგიების, სპორტისა და დაწყებითი კლასების მასწავლებლები, ექიმი, დამლაგებელი, არაფორმალური განათლების მენეჯერი, სამეურნეო ნაწილის გამგე, მასწავლებლის დამხმარე და საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) მენეჯერი.
წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით დგინდება, რომ ახლადდასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს.
ვინაიდან ყველა ვაკანსია სასწავლო პროცესის რეალურ დაწყებამდე სრულფასოვნად შეივსო და რისკები განეიტრალდა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ **შეიცვალა პირველადი შეფასება და აღნიშნული ინდიკატორი განისაზღვრა როგორც „სრულად შესაბამისი“**.

**5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა სამართლებრივ დონეზე ორიენტირებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრებაზე. აღნიშნული საკითხი კომპლექსურად რეგულირდება სკოლის დებულებით (ბრძანება N2-01, 14.04.2026) და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით (ბრძანება N2-05, 20.04.2026). ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას ფაქტობრივად არ ახორციელებს და ოპერირებას გეგმავს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ამ მიმართულებით სკოლის სისტემური მზაობა, კოლეგიური მართვის მოდელები და გუნდური კულტურის ხელშემწყობი მექანიზმები.
წარმოდგენილი დოკუმენტების ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში პერსონალის ფართო ჩართულობასა და დემოკრატიულობის პრინციპებს. მონაწილეობითი მართვის მთავარ პლატფორმას წარმოადგენს პედაგოგიური საბჭო, რომელიც, როგორც მასწავლებელთა უმაღლესი კოლეგიური ორგანო, უზრუნველყოფს თითოეული პედაგოგის მონაწილეობას სკოლის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაში, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებასა და გრიფირებული სახელმძღვანელოებ ის ნუსხის შერჩევაში. გარდა ამისა, საგნობრივი კათედრების დონეზე სრულად არის რეალიზებული ჰორიზონტალური, გუნდური თანამშრომლობის მოდელი, სადაც მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ სასწავლო თემებს, ამუშავებენ შეფასების რუბრიკებსა და კომპლექსურ დავალებებს, ახდენენ აკადემიური შედეგების ანალიზს და აზიარებენ საუკეთესო პედაგოგიურ პრაქტიკას.
გუნდური მუშაობის პრინციპების მხარდაჭერა და ორგანიზაციულ კულტურაში ინტეგრაცია მკაფიოდ აისახება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაშიც. კერძოდ, დოკუმენტი ითვალისწინებს ახალი თანამშრომლებისთვის ინდუქციისა და ადაპტაციის სპეციალურ მრავალეტაპიან სისტემას, სადაც ადაპტაციის გეგმის შესრულება, კოლექტივში ინტეგრაცია და სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა ხორციელდება საგნობრივი კათედრების, ხარისხის მართვის ჯგუფისა და სკოლის ფსიქოლოგის ერთობლივი, გუნდური მხარდაჭერით. ამასთანავე, სკოლაში დანერგილია ჯვარედინი გადამზადების პრაქტიკა, რაც თავისთავად მოითხოვს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მუდმივ კოორდინაციას, ურთიერთჩანაცვლებადობას და საერთო მიზნების გარშემო გაერთიანებას.

ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ამ ეტაპზე ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტები და ორგანიზაციული მოწყობის მოდელი ქმნის მყარ წინაპირობას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაფუძნებული კულტურის ჩამოსაყალიბებლად. წინასწარ განსაზღვრული კოლეგიური მართვის ორგანოები და თანამშრომლობითი მექანიზმები გარანტიას იძლევა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, დაწესებულება შეძლებს ეფექტური, ერთიანი და გუნდური სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას, რის გამოც **მოცემული ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში პერსონალის პროფესიული წინსვლის მხარდაჭერა და წარმატებული გამოცდილების აღიარება-გაზიარება სამართლებრივ დონეზეა გარანტირებული. აღნიშნული მექანიზმები რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-04 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესითა“ და N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკით“. ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას არ ახორციელებს და ოპერირებას გეგმავს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ამ მიმართულებით სკოლის სისტემური მზაობა, წამახალისებელი ინსტრუმენტები და გამოცდილების გაზიარების დაგეგმილი პლატფორმები.

წარმოდგენილი დოკუმენტების ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლებისა და მათი მიღწევების საჯარო აღიარების მკაფიო სისტემა. სკოლის შინაგანაწესითა და მართვის პოლიტიკით პირდაპირ არის განსაზღვრული იმ თანამშრომლების წახალისების მექანიზმები, რომლებიც ავლენენ მაღალ პროფესიონალიზმს ან ახორციელებენ კოლეგების წარმატებულ ჩანაცვლებას კრიზისულ სიტუაციებში. წახალისების ფორმები მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ინსტრუმენტებს, კერძოდ: მადლობის გამოცხადებას, ფულად ჯილდოს (პრემიას) ან ხელფასზე დანამატის დაწესებას, რისთვისაც სკოლის ბიუჯეტში წინასწარ არის გათვალისწინებული სპეციალური „ჩანაცვლებისა და წახალისების ფონდი“.

გამოცდილების გაზიარებისა და ინსტიტუციური განვითარების კუთხით, დოკუმენტაციით დანერგილია „ცოდნის ბაზისა“ და კოლეგიური მხარდაჭერის მოდელები. წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკისა და მეთოდოლოგიური სიახლეების გაზიარება დაგეგმილია საგნობრივი კათედრებისა და კოლეგიური ორგანოების (პედაგოგიური საბჭო) ფორმატში. გარდა ამისა, ორგანიზაციული კულტურის ფარგლებში განსაზღვრულია ადმინისტრაციული პერსონალის ყოველწლიური ჯვარედინი გადამზადება და ფუნქციების ურთიერთგაზიარება, რაც ხელს უწყობს შიდა რესურსების ოპტიმიზაციას, გუნდურ მუშაობასა და ერთმანეთის საუკეთესო პრაქტიკის ათვისებას. გაცდენებისა და შესრულებული სამუშაოს ყოველთვიური სტატისტიკური ანალიზი დამატებით იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გამოვლინდეს ეფექტური მოდელები და მოხდეს მათი შემდგომი ინტეგრირება სასკოლო ცხოვრებაში.

ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ამ ეტაპზე ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს, მის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი და მართვის პოლიტიკა შეიცავს პერსონალის აღიარებისა და გამოცდილების გაზიარების ქმედით, მატერიალურად უზრუნველყოფილ მექანიზმებს. ეს მარეგულირებელი ჩარჩო იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სკოლა შეძლებს თანამშრომელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობასა და მოტივირებული სასკოლო გარემოს შექმნას, რის გამოც **მოცემული ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საშტატო განრიგი და შრომითი ხელშეკრულებები;

- სკოლის შინაგანაწესი;
- კონკურსის ჩატარების წესი;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და მათი პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირების საკითხები რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით“ და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით.

წარმოდგენილი დოკუმენტების ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ხორციელდება პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, სადაც პერსონალის შეფასება ხარისხის მართვის ციკლის განუყოფელი ნაწილია. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ თანახმად, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პერიოდულად შეაფასოს სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული სქემა პირდაპირ კავშირშია ადამიანური რესურსების მართვასა და თანამშრომელთა კარიერულ განვითარებასთან, რაც დოკუმენტის მიხედვით, ცალკე დამხმარე პროცესებადაა გამოყოფილი. პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა კვლევა ხორციელდება ხარისხის მართვის ჯგუფისა და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მჭიდრო კოორდინაციით.

შეფასებისა და საჭიროებების დადგენის პრაქტიკული ინსტრუმენტები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდებს. კერძოდ, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირს უფლებამოსილება აქვს:

- განახორციელოს პროცესში მონაწილე და კურიკულუმის განხორციელებაში ჩართულ პირთა ინტერვიუირება;
- გამოიყენოს სპეციალური კითხვარები, რომლებსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები;
- პედაგოგთა პროფესიული საჭიროებების დასადგენად და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით, განახორციელოს საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესი ორიენტირებულია განვითარებაზე და არა სადამსჯელო ღონისძიებებზე. შემოწმების შედეგად დგება დასკვნის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გამოვლენილ მიგნებებსა და ხარვეზების გამოსწორების რეკომენდაციებს. შემოწმების ობიექტს

(პერსონალს/კათედრის თავმჯდომარეს) ეძლევა შესაძლებლობა, წარადგინოს არგუმენტირებული პოზიცია, გამართოს სამუშაო შეხვედრა და შესთავაზოს საკითხის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობასა და ორმხრივ უკუკავშირს. ამ შეფასებებისა და საჭიროებათა კვლევის საფუძველზე, სკოლა გეგმავს პერსონალის პროფესიულ და კარიერულ განვითარებას, ტრენინგებსა და მოტივირების ღონისძიებებს.

ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ამ ეტაპზე ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს, მის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ქმნის სრულფასოვან, გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენისათვის. აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, დაწესებულება შეძლებს თანამშრომელთა კომპეტენციების მუდმივ მონიტორინგსა და მათ პროფესიულ მხარდაჭერას, რის გამოც მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში პერსონალის პროფესიული წინსვლისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესები მეთოდოლოგიურ დონეზეა მოწესრიგებული და ორიენტირებულია შეფასების შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა გამოვლენილი საჭიროებების კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში ტრანსფორმაციის მექანიზმები და კარიერული მხარდაჭერის სისტემური მზაობა.
წარმოდგენილი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“, დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული **„თანამშრომელთა შეფასების დოკუმენტის“ (ადამიანური რესურსის შეფასების მექანიზმი)** და სხვა შიდაორგანიზაციული ქვეპროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში პერსონალის განვითარება არ ატარებს სტიქიურ ხასიათს და იგი პირდაპირ არის მიბმული ხარისხის მართვის ციკლის დასკვნით ფაზაზე. აღნიშნული დოკუმენტაცია მკაფიოდ აწესებს, რომ პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.
კერძოდ, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირისა და დირექციის მიერ შეფასების შედეგების (მათ შორის, მასწავლებელთა და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შეფასების რუბრიკებისა და კრიტერიუმების) ანალიზის საფუძველზე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნობრივი აქტივობების (ტრენინგები, სემინარები, ვორკშოპები) დაგეგმვას.
„თანამშრომელთა შეფასების დოკუმენტისა“ და „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მიხედვით, ეს საგანმანათლებლო-მეთოდოლოგიური მხარდაჭერა სტრუქტურირებულია „კარიერული განვითარების“ დამხმარე პროცესში, რომელიც მოიცავს:

- ახალი თანამშრომლებისთვის სპეციალური ადაპტაციის გეგმის ამოქმედებასა და მათ მიზნობრივ გადამზადებას;
- კვლევისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი კოლექტიური თუ ინდივიდუალური პროფესიული საჭიროებების მიხედვით ტრენინგ-საჭიროებების დროულ დაკმაყოფილებას;
- თანამშრომელთა მოტივირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმაზომიერ ხელშეწყობას.

სისტემის ქმედითობას დამატებით ადასტურებს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მე-11 მუხლი და წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები, რომლებიც აწესებს რეკომენდაციებისა და განვითარების გეგმების შესრულების მკაცრ მონიტორინგს. შემოწმების ობიექტი (პერსონალი/სტრუქტურული ერთეული) ვალდებულია განსაზღვრულ ვადებში წარადგინოს ინფორმაცია და მტკიცებულებები განვითარების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, რაც გამოირიცხავს ფორმალურ მიდგომას და უზრუნველყოფს გამოვლენილი საჭიროებების რეალურ აღმოფხვრას.

ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული ბაზა, განსაკუთრებით კი **„თანამშრომელთა შეფასების დოკუმენტი“**, იძლევა მყარ გარანტიას, რომ პერსონალის განვითარება განხორციელდება მხოლოდ ობიექტურად დადგენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმების შესაბამისად. შესაბამისად, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, დაწესებულება მზად არის უზრუნველყოს თანამშრომელთა კომპეტენციების გეგმაზომიერი და ეფექტური ამაღლება. მაგრამ, რადგან სკოლა ამჟამად არ ფუნქციონირებს. შესაბამისად, ამ ეტაპზე შეუძლებელია **პერსონალის გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შემუშავება. შესაბამისად ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

1. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული წინსვლისა და იერარქიული თუ კვალიფიკაციური დაწინაურების საკითხები სამართლებრივ ჩარჩოშია მოქცეული. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკითა“ და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით. ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას არ ახორციელებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა პერსონალის კარიერული მხარდაჭერის სისტემური მზაობა და შიდაორგანიზაციული მექანიზმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა კარიერულ ზრდას განიხილავს როგორც სტრატეგიულ ინსტრუმენტს, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის ინსტიტუციურ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის დამხმარე პროცესების ნუსხაში „კარიერული განვითარება“ ცალკე, დამოუკიდებელ მიმართულებადაა გამოყოფილი, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, კარიერული ზრდის ხელშეწყობა მჭიდროდ უკავშირდება თანამშრომელთა შეფასების სისტემის დამკვიდრებასა და მის საფუძველზე პერსონალის მიზნობრივ განვითარებას.

სკოლის შიდა მარეგულირებელი ბაზა ითვალისწინებს კარიერული წინსვლისა და განვითარების კონკრეტულ მიმართულებებს:

- **სტატუსობრივი და პროფესიული განვითარება:** „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ პირდაპირ აწესებს, რომ შიდა შეფასების სისტემის დამკვიდრება ემსახურება თანამშრომელთა გეგმაზომიერ პროფესიულ და კარიერულ განვითარებას.
- **ახალი კადრების მხარდაჭერა და სტაჟირება:** დოკუმენტაციით განსაზღვრულია სკოლაში სტაჟირების, ახალი თანამშრომლის ადაპტაციისა და მენტორობის მექანიზმები, რაც დამწყებ პერსონალს უქმნის მყარ ბაზისს შემდგომი კარიერული დაწინაურებისთვის.
- **მასწავლებელთა კარიერული წინსვლა:** აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, სკოლის შიდა აქტები თავსებადია მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოსთან (მინისტრის №174/ნ ბრძანება), რაც მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, სკოლის ბაზაზე დაწინაურდნენ პროფესიული სტატუსების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ამ ეტაპზე საგანმანათლებლო პროცესს ფაქტობრივად არ ახორციელებს, მის მიერ შემუშავებული ნორმატიული ჩარჩო, კერძოდ, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში“ კარიერული განვითარების პროცესის დეტალური

ინტეგრირება, ქმნის სრულფასოვან გარანტიას პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობისთვის. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, დაწესებულება მზად არის პრაქტიკაში უზრუნველყოს თანამშრომელთა მოტივირება და გრძელვადიანი პროფესიული მხარდაჭერა, რის გამოც მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას არ ახორციელებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ამ მიმართულებით არსებული ნორმატიული ბაზა, დაგეგმილი მექანიზმები და უკვე აყვანილი პერსონალის მზაობა.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა“ და „თანამშრომელთა შეფასების დოკუმენტის“ (ადამიანური რესურსის შეფასების მექანიზმი) ანალიზი ცხადყოფს, რომ ახალი კადრების მხარდაჭერა და მათი სამუშაო გარემოში შესვლა წინასწარ გაწერილი პროცედურებით რეგულირდება. კერძოდ, დოკუმენტაციით პირდაპირ არის განსაზღვრული ახალი თანამშრომლის ადაპტაციისა და მენტორობის მექანიზმები, რაც მათ პროფესიულ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას ისახავს მიზნად. მექანიზმი ითვალისწინებს სპეციალური ადაპტაციის გეგმის ამოქმედებასა და ახალი კადრების მიზნობრივ გადამზადებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ეფექტური ინტეგრაცია სასკოლო სივრცეში.

ინსტიტუციური მზაობისა და დანერგილი მექანიზმების ქმედითობა დამატებით გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების ფაზაში. **სკოლის არსებულ თანამშრომლებთან გასაუბრებით დადასტურდა**, რომ მათთვის დეტალურად არის ცნობილი სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის, მენტორობისა და ადაპტაციის ის გეგმები, რომლებიც სკოლის ოპერირების დაწყებისთანავე სრულფასოვნად ამოქმედდება. თანამშრომლები ადასტურებენ, რომ შიდაორგანიზაციული კომუნიკაცია, ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და წინასწარი მოსამზადებელი ეტაპი მათ აძლევს სამუშაო გარემოსთან სრული თავსებადობისა და ინტეგრაციის განცდას.

ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული ჩარჩო, მასში ინტეგრირებული ადაპტაციის მექანიზმები და არსებულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები ცხადყოფს, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს ახალი თანამშრომლების მხარდაჭერის მნიშვნელობა. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სკოლა სრულად არის მზად პრაქტიკაში უზრუნველყოს პერსონალის კომფორტული და ეფექტური ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან, რის გამოც მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში პერსონალის შემოქმედებითი და პროფესიული ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების საკითხები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა არსებული სამართლებრივი მზაობა, წახალისების მექანიზმები და არსებული კადრების ინფორმირებულობის დონე.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა“ და „თანამშრომელთა შეფასების დოკუმენტის“ (ადამიანური რესურსის შეფასების მექანიზმი) ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა ორიენტირებულია თანამშრომელთა მოტივირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმაზომიერ ხელშეწყობაზე. დოკუმენტაციით პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ პერსონალის (მათ შორის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების) შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი და მიზანია ინიციატივის გამოჩენა, საკუთარ საქმიანობაში გაუმჯობესების შეთავაზება, პედაგოგიური ოსტატობისა და შემოქმედებითი ინიციატივის მუდმივი ზრდის სტიმულირება. შიდა მარეგულირებელი ბაზა მკაფიოდ ადგენს, რომ გამოვლენილი ინიციატივები აისახება როგორც მორალურ და მატერიალურ წახალისებაზე, ასევე დასაქმებულთა კარიერულ წინსვლასა და ხელფასების ზრდაზე.

ინსტიტუციური მექანიზმების რეალისტურობა დამატებით გადამოწმდა ავტორიზაციის მეთოდოლოგიით განსაზღვრული თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტით. სკოლის არსებულ თანამშრომლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პერსონალისთვის სრულად არის ცნობილი ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების შიდასასკოლო პოლიტიკა. თანამშრომლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის მენეჯმენტი მზად არის განიხილოს და პრაქტიკაში დანერგოს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ნებისმიერი ვალიდური იდეა თუ პროექტი, რაც მათ უქმნის მაღალ მოტივაციასა და პროფესიული თვითრეალიზაციის განცდას.

ამრიგად, წარმოდგენილი ნორმატიული ბაზა, მასში ჩადებული მატერიალური და მორალური სტიმულირების ბერკეტები და არსებულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები ცხადყოფს, რომ სკოლაში შექმნილია ჯანსაღი, ინიციატივებზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურა. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, დაწესებულება მზად არის პრაქტიკაში ეფექტურად უზრუნველყოს თანამშრომელთა განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების პროაქტიული წახალისება, რის გამოც მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - დამტკიცებულია შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით.
- თანამშრომელთა შეფასების დოკუმენტი -დამტკიცებულია შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

ინსტიტუციური მართვის თანამედროვე მოდელზე გადასვლა და ხარისხის უწყვეტი განვითარების კულტურის ფორმირება შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში ფუნდამენტურ სამართლებრივ ჩარჩოშია მოქცეული. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით". ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე საგანმანათლებლო საქმიანობას ფაქტობრივად არ ახორციელებს და ოპერირებას გეგმავს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ავტორიზაციის მოქმედი მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, შეფასდა სკოლის მმართველობითი მზაობა და ხარისხის მართვის ციკლის (PDCA) იმპლემენტაციის მექანიზმები.

წარმოდგენილი ნორმატიული ბაზისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლის მართვა ეფუძნება მკაფიოდ სტრუქტურირებულ პროცესულ მიდგომას. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის საქმიანობის ძირითადი და დამხმარე პროცესები, მათი ურთიერთკავშირი და მართვის მეთოდოლოგია. სისტემის მთავარ მამოძრავებელ ღერძს წარმოადგენს ხარისხის მართვის ციკლი - „დაგეგმე, შეასრულე, შეამოწმე, განავითარე" (PDCA), რაც გამორიცხავს მმართველობითი გადაწყვეტილებების სტიქიურობას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მუდმივ სრულყოფას.

დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნული ციკლური მიდგომა პრაქტიკაში მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- **დაგეგმვა (Plan):** სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება სკოლის ხედვისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გათვალისწინებით;
- **შესრულება (Do):** საგანმანათლებლო და ორგანიზაციული პროცესების წარმართვა დამტკიცებული გეგმებისა და შიდა რეგულაციების მკაცრი დაცვით;
- **შემოწმება (Check):** ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ პროცესებისა და კურიკულუმების პერიოდული შეფასება, კითხვარების, ინტერვიუებისა და დაკვირვების მექანიზმების გამოყენებით;
- **განვითარება (Act):** შემოწმების ფაზაში გამოვლენილი მიგნებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე კონკრეტული განვითარების გეგმების დასახვა და ხარვეზების აღმოფხვრა.

ავტორიზაციის შეფასების მეთოდოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარე, ახლად დაფუძნებული სკოლის შემთხვევაში, ინდიკატორის შესაბამისობა დგინდება შემუშავებული სისტემების ქმედითუნარიანობითა და პროცედურული მზაობით. წარმოდგენილი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა" და თანმდევი მექანიზმები იძლევა მყარ გარანტიას, რომ ოპერირების დაწყებისთანავე სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა წარიმართება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის ციკლის მიხედვით.

ვინაიდან სკოლის შიდა მარეგულირებელი ბაზა სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, ხოლო მისი პრაქტიკული რეალიზება ბუნებრივად არის დაკავშირებული სკოლის ფუნქციონირების დაწყებასთან, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში ინსტიტუციური მოწყობის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის საფუძვლები უმაღლეს ნორმატიულ დონეზეა მოწესრიგებული. აღნიშნული საკითხები კომპლექსურად რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკითა“ და თანმდევი „თანამშრომელთა შეფასების დოკუმენტით“ (ადამიანური რესურსის შეფასების მექანიზმი), ასევე სკოლის „შინაგაგანაწესით“ და სხვა ორგანიზაციული აქტებით.

წარმოდგენილი ნორმატიული ბაზის ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში პროცესული მიდგომა სრულყოფილადაა რეალიზებული. სკოლის ერთიანი მმართველობითი სისტემა მკაფიოდ მიჯნავს და დეტალურად აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ სამ ფუნდამენტურ კატეგორიას:

- **მმართველობითი პროცესები:** მოიცავს სკოლის სტრატეგიულ და წლიურ დაგეგმვას, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ციკლის (PDCA) მართვას, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების ფუნქციონირებას, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მდგრადობასა და განვითარებას.
- **ძირითადი პროცესები:** ფოკუსირებულია უშუალოდ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო საქმიანობაზე, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე, საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაზე, სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიასა და მოსწავლეთა კომპლექსურ შეფასებაზე.
- **დამხმარე პროცესები:** უზრუნველყოფს სკოლის გამართულ და უსაფრთხო ფუნქციონირებას. მასში სტრუქტურირებულია ადამიანური რესურსების მართვა და „კარიერული განვითარება“, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საქმისწარმოების მართვა.

სასკოლო პროცესებისა და სტრუქტურული ერთეულების ურთიერთკავშირს, კოორდინაციასა და შრომით დისციპლინას დამატებით აწესრიგებს სკოლის „შინაგაგანაწესი“ და „თანამშრომელთა შეფასების დოკუმენტი“, სადაც თითოეული პროცესის მონაწილისთვის (დირექცია, კათედრის ხელმძღვანელები, მასწავლებლები, ექიმი, დამხმარე პერსონალი) განსაზღვრულია კონკრეტული როლები, პასუხისმგებლობები, საქმიანობის კრიტერიუმები და შეფასების ინსტრუმენტები.

ავტორიზაციის შეფასების მეთოდოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარე, ახლად დაფუძნებული სკოლის შემთხვევაში, ინდიკატორის შესაბამისობა დგინდება არა წარსული პრაქტიკით, არამედ დოკუმენტურად დადასტურებული სამართლებრივი მზაობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყოვლისმომცველი ნორმატიული ჩარჩო ადასტურებს, რომ ყველა მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესი წინასწარ არის იდენტიფიცირებული, აღწერილი და გამიჯნული, რაც იძლევა მყარ გარანტიას, რომ ოპერირების დაწყებისთანავე სკოლა იფუნქციონირებს გამართული, სისტემური მოდელით.

ვინაიდან წინასწარ შექმნილი ინსტიტუციური მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, ხოლო მათი პრაქტიკული რეალიზება ბუნებრივად არის დაკავშირებული სკოლის ოპერირების დაწყებასთან, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში დასაქმებული პირების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვა, სამართლიანი მიდგომებისა და მიუკერძოებელი დავების გადაწყვეტის მექანიზმები ინსტიტუციურ დონეზეა გარანტირებული. აღნიშნული სისტემა დეტალურად რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-06 ბრძანებით დამტკიცებული **„განცხადების/საჩივრის განხილვის წესით“**.

წარმოდგენილი დოკუმენტის ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი სისტემა. აღნიშნული წესის მოქმედება თანაბრად ვრცელდება ყველა დაინტერესებულ მხარეზე (დასაქმებულები, მოსწავლეები, მშობლები). დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს საპრეტენზიო წარმოების სრულ ციკლს, კერძოდ:

- **საჩივრის წარდგენის პროცედურა:** განსაზღვრულია საჩივრის ფორმა, რეკვიზიტები და რეგისტრაციის წესი, რაც უზრუნველყოფს პროცესის ფორმალურ გამართულობასა და ხელმისაწვდომობას.
- **განმხილველი დამოუკიდებელი ორგანო:** საჩივრების ობიექტური შესწავლის მიზნით, სკოლაში იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია სულ მცირე 3 წევრისგან (თავმჯდომარე, მდივანი და წევრები), რაც გამორიცხავს გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების რისკებს.
- **განხილვის მკაცრი ვადები:** კომისია ვალდებულია პრეტენზიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს საჩივრის წარდგენიდან გონივრულ და კანონით განსაზღვრულ ვადაში — არაუგვიანეს **10 კალენდარული დღისა**, რაც იცავს მხარეთა ინტერესებს გაჭიანურებული წარმოებისგან.
- **გადაწყვეტილების სახეები და აღსრულება:** კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის სრულად, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით და გონივრულ ვადაში (10 დღიანი პერიოდის დაურღვევლად) მიეწოდება სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

ავტორიზაციის შეფასების მეთოდოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარე, ახლად დაფუძნებული სკოლის შემთხვევაში სტანდარტთან შესაბამისობა დგინდება შემუშავებული სამართლებრივი ჩარჩოსა და პროცედურული მზაობის საფუძველზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი „განცხადების/საჩივრის განხილვის წესი“ არის სრულყოფილი, გამჭვირვალე და იძლევა მყარ გარანტიას, რომ ოპერირების დაწყებისთანავე ნებისმიერი სასკოლო დავა გადაწყდება სამართლიანობისა და ორმხრივი ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

ვინაიდან წინასწარ განსაზღვრული ინსტიტუციური მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, ხოლო მათი პრაქტიკული რეალიზება ბუნებრივად არის დაკავშირებული სკოლის ფუნქციონირების დაწყებასთან, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სამართლებრივი უსაფრთხოება, შრომითი და სამოქალაქო უფლებების რეალიზაცია და ინტერესების პროფესიული დაცვა ფუნდამენტურ ინსტიტუციურ დონეზეა გარანტირებული. აღნიშნული საკითხები კომპლექსურად რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-04 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით **„მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“**.

წარმოდგენილი დოკუმენტის ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მკაფიო და ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც დეტალურად აკონკრეტებს პერსონალისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებრივ გარანტიებს და მათი დარღვევის თავიდან აცილების გზებს:

- **მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებრივი გარანტიები:** დოკუმენტი იცავს მშობლის უფლებას, აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას სკოლის ბიუჯეტის, წლიური სამოქმედო გეგმისა და სასწავლო გეგმის შესახებ. ასევე, მათ აქვთ უფლება, კანონით დადგენილი წესით გაეცნონ შვილის აკადემიურ მოსწრებასა და ყოფაქცევასთან დაკავშირებულ მონაცემებს და დაცულნი იყვნენ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისა თუ მიკერძოებული მიდგომისგან.
- **პერსონალის (აკადემიური და დამხმარე) უფლებების დაცვა:** სამუშაო გარემოში დასაქმებულთა უფლებების რეალიზაციის მიზნით, დოკუმენტით გარანტირებულია პროფესიული დამოუკიდებლობა, აზრის გამოხატვის თავისუფლება და შრომის სამართლიანი პირობები. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი პირდაპირ ანიჭებს თითოეულ მასწავლებელსა თუ პერსონალს უფლებას, მათი შრომითსამართლებრივი ინტერესების დასაცავად მიმართონ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს ან სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, თუკი ადგილი ექნება ავტორიზაციის პირობების დარღვევას.

ამასთანავე, აღნიშნული უფლებების პრაქტიკული დაცვის უზრუნველსაყოფად, ეს დოკუმენტი მჭიდრო ფუნქციურ კავშირშია სკოლის სხვა მარეგულირებელ აქტებთან, კერძოდ, დირექტორის N2-06 ბრძანებით დამტკიცებულ „განცხადების/საჩივრის განხილვის წესთან“, რაც უფლების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში მხარეებს აძლევს დაცვის, დამოუკიდებელ კომისიაში საქმის განხილვისა და სამართლიანი რეაგირების მყარ, პროცედურულ მექანიზმს.
სკოლის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული ბაზა სრულად გამორიცხავს ფორმალურ მიდგომას, რეალისტურად ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესებს და იძლევა გარანტიას, რომ ოპერირების დაწყებისთანავე სკოლა უზრუნველყოფს პერსონალისა და მშობლების კანონიერი უფლებების ურღვევობას.

ვინაიდან წინასწარ განსაზღვრული ინსტიტუციური მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, ხოლო მათი პრაქტიკული რეალიზება ბუნებრივად არის დაკავშირებული სკოლის ფუნქციონირების დაწყებასთან, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სკოლის შინაგანაწესი;
- დირექტორის N2-06 ბრძანებით დამტკიცებულ „განცხადების/საჩივრის განხილვის წესთან“;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-04 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“.
- მშობლის/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

- სკოლის შინაგანაწესი;

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში მართვის პროცესების გამჭვირვალობა, სასკოლო საზოგადოების ორმხრივი კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა კომპლექსურად რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის ბრძანებებით დამტკიცებული ნორმატიული აქტებით, კერძოდ: „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით“ (ბრძანება N2-05), „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტით (ბრძანება N2-04) და „განცხადების/საჩივრის განხილვის წესით“ (ბრძანება N2-06).

წარმოდგენილი ნორმატიული ბაზის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების სამეტაპიანი, ურთიერთდაკავშირებული მექანიზმი:

- **სასკოლო საზოგადოების ინფორმირება:** შიდა რეგულაციებით გარანტირებულია, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია ან კლასის დამრიგებელი ელექტრონულად უგზავნის მოსწავლეებსა და მშობლებს ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ. ამასთანავე, პერსონალს, მოსწავლეებსა და მშობლებს უფლება აქვთ სრულყოფილად იცნობდნენ სკოლის ბიუჯეტს, წლიურ სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმას, რაც საჯაროდ თავსდება საინფორმაციო დაფაზე ან ხელმისაწვდომია ელექტრონული არხებით. ნებისმიერი ცვლილება შინაგანაწესში სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
- **უკუკავშირის მიღება:** „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ ფარგლებში, ხარისხის მართვის ციკლის (PDCA) „შემოწმების“ (Check) ეტაპზე, სკოლა პერიოდულად ახორციელებს კითხვარების, ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების ორგანიზებას. მოსწავლეებსა და მშობლებს უფლება აქვთ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, დააფიქსირონ პოზიცია არჩევით საგნებთან, უცხოურ ენებთან თუ დამატებით მომსახურებებთან დაკავშირებით და აქტიურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრების შეფასებაში.
- **უკუკავშირზე რეაგირება:** მიღებული შედეგებისა და გამოვლენილი საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაცია და ხარისხის სამსახური გეგმავენ მიზნობრივ განვითარების აქტივობებს. ფორმალური საჩივრებისა თუ უფლების სავარაუდო დარღვევის შემთხვევებისთვის კი მოქმედებს სპეციალური საგამოძიებო და საპრეტენზიო კომისიები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაინტერესებული მხარეების მოსმენასა და მკაცრად განსაზღვრულ ვადებში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული ბაზა იძლევა მყარ გარანტიას, რომ ოპერირების დაწყებისთანავე სკოლა უზრუნველყოფს გამჭვირვალე, ანგარიშვალდებულ და ორმხრივ კომუნიკაციაზე დაფუძნებულ მმართველობით პროცესს.

ვინაიდან წინასწარ განსაზღვრული ინსტიტუციური მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, ხოლო მათი პრაქტიკული რეალიზება ბუნებრივად არის დაკავშირებული სკოლის ფუნქციონირების დაწყებასთან, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების (პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების) ჩართულობა და კოლეგიური მართვის პრინციპები ინსტიტუციურ დონეზეა გარანტირებული. აღნიშნული მიმართულება კომპლექსურად რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის ბრძანებებით დამტკიცებული ნორმატიული აქტებით, მათ შორის: „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტითა (ბრძანება N2-04) და „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით“ (ბრძანება N2-05).

წარმოდგენილი შიდაორგანიზაციული დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში შექმნილია მყარი პლატფორმა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის პროცესებში საზოგადოების აქტიური მონაწილეობისთვის. კერძოდ, ჩართულობის მექანიზმები სტრუქტურირებულია შემდეგი მიმართულებებით:

- **მართვის კოლეგიალური ორგანოები და სტრუქტურები:** სკოლის უფლებების დაცვისა და მართვის ჩარჩო დოკუმენტი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და უფლებების რეალიზაციისთვის სკოლაში ფუნქციონირებს დამფუძნებელთა კრება და დისციპლინური კომიტეტი, სადაც უზრუნველყოფილია საკითხების კოლეგიური და მრავალმხრივი განხილვა.
- **მოსწავლეთა თვითორგანიზება და კლუბები:** მოსწავლეებს აქვთ კანონიერი უფლება, თავისუფლად შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, შექმნან სასკოლო კლუბები, მოსწავლეთა თვითმმართველობა ან სხვა სახის გაერთიანებები. მათ ასევე ეძლევათ უფლება, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, შეუზღუდავად ისარგებლონ სკოლის სივრცეებით (ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი) სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებისთვის.
- **გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა:** მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს (მეურვეებს) აქვთ უფლება, გაეცნონ სასკოლო სასწავლო გეგმას და ამ ფარგლებში აქტიურად დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია (არჩევანი) უცხოური ენებისა და არჩევითი საგნების სწავლებასთან დაკავშირებით. მათ ასევე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული დამატებითი საგანმანათლებლო თუ სააღმზრდელო მომსახურების მიღებაზე (დაეთანხმონ ან უარი განაცხადონ).
- **პერსონალის ჩართულობა:** დასაქმებულებს აქვთ უფლება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე და კათედრებისა თუ სხვა სამუშაო ჯგუფების ფორმატში მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მეთოდოლოგიურ განვითარებაში.

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული ბაზა იძლევა მყარ გარანტიას, რომ ოპერირების დაწყებისთანავე სკოლა უზრუნველყოფს დემოკრატიულ, ღია და კოლეგიურობაზე დაფუძნებულ სასკოლო გარემოს.

ვინაიდან წინასწარ განსაზღვრული ინსტიტუციური მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, ხოლო მათი პრაქტიკული რეალიზება ბუნებრივად არის დაკავშირებული სკოლის ფუნქციონირების დაწყებასთან, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სკოლის შინაგანაწესი;
- დირექტორის N2-06 ბრძანებით დამტკიცებულ „განცხადების/საჩივრის განხილვის წესთან“;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-04 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“.
- მშობლის/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

შპს „გია მურღულიას სკოლა“ სასკოლო საზოგადოებისათვის უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლაში განსაზღვრულია 4 დარაჯის შტატი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში აკონტროლებენ გარეშე პირთა გადაადგილებას. ასევე, განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და ფუნქციონირებს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა.

ვინაიდან სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, კომპეტენტური უწყების დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც ხარვეზების აღმოფხვრის საბოლოო ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 31 დეკემბერი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- **სკოლამ უზრუნველყოს** უფლებამოსილ ორგანოსთან მიმართვის გაკეთება, რათა მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა - შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა, რათა სრულად იქნეს თავიდან აცილებული მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები;
- **სკოლამ უზრუნველყოს** შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ აკრედიტებული ორგანოს დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა;

- **სკოლამ უზრუნველყოს** საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სრულყოფილი შემუშავება და მისი შეთანხმება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში — არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და პროცედურები სისტემურ და ნორმატიულ დონეზე სრულყოფილად არის მოწესრიგებული. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-24 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით **„შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტისა და დოკუმენტური შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა:** ავტორიზაციის პროცესის მიმდინარეობისას, სამედიცინო კაბინეტის სივრცეში ფიქსირდებოდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რის გამოც ადგილზე განთავსებული იყო მხოლოდ ონკანი და საკაცე. მიუხედავად ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური შესყიდვების დოკუმენტაციით თვალსაჩინოდ მტკიცდება, რომ დაწესებულებას სრულად აქვს შეძენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/5/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო მედიკამენტი და სამედიცინო ინვენტარი. კაბინეტი განთავსებულია პირველ სართულზე, აქვს საკმარისი სივრცე, ბუნებრივი და ხელოვნური განათება და ბუნებრივი ვენტილაციის შესაძლებლობა.
- **ადამიანური რესურსი და კვალიფიკაცია:** წესის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების გაწევას სათანადო ლიცენზიისა და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების (სახელმწიფო სერტიფიკატის) მქონე კვალიფიციური ექიმის მეშვეობით, სადაც პრიორიტეტი ენიჭება პედიატრიის, საოჯახო მედიცინის ან ზოგადი პროფილის პედიატრის სპეციალობის მქონე პირებს. სკოლას ჰყავს შესაბამისო კვალიფიკაციის ექიმი.
- **სამედიცინო პროტოკოლები და დოკუმენტაცია:** დამტკიცებული წესის დანართი N1-ის სახით შემუშავებულია პირველი დახმარების მკაფიო პროტოკოლები (გადაუდებელი სამსახურის 112-ის გამოძახება, მოქმედებები გულის წასვლისა და ხელოვნური სუნთქვის/გულის არაპირდაპირი მასაჟის დროს). გარდა ამისა, წესით განსაზღვრულია კონფიდენციალური სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების, შენახვისა და განადგურების მკაცრი ვადები, რაც მოიცავს:

    - სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმას (დანართი N1.1);
    - სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს (დანართი N1.1.1);
    - დახარჯული (დანართი N2.2) და ვადაგასული (დანართი №2.3) მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმებს.

ვინაიდან სკოლის შიდაორგანიზაციული რეგულაციები სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო მატერიალური აღჭურვილობის შესყიდვა დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

### 3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გეგმავს იხელმძღვანელოს სკოლის შინაგანაწესითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

### 4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ მიერ წარმოდგენილი „ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-24 ბრძანებით, სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დოკუმენტი მოიცავს ფსიქოსოციალური მომსახურების მიღებისა და გაწევის მკაფიო პროცედურებს, რაც სკოლის ფსიქოლოგის კოორდინირებულ მუშაობას გულისხმობს. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მხარდაჭერას რეფერირების მრავალფეროვანი არხების (სატელეფონო კონსულტაცია, ონლაინ პორტალი befriend.mes.gov.ge, მობილური აპლიკაცია) მეშვეობით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მექანიზმი ითვალისწინებს ანონიმურობის დაცვას და ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის გამოკვეთის შემთხვევაში, სახელმწიფო უწყებების (სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო) ოპერატიულ ინფორმირებას, რაც სამართლებრივად გამართულს ხდის რეაგირების პროცესს.

სკოლა ორიენტირებულია პრევენციულ აქტივობებზე, კერძოდ: სასწავლო პროგრამაში ემოციური ინტელექტის ინტეგრაციაზე, ბულინგის საწინააღმდეგო კამპანიებზე, ინკლუზიურ მიდგომებსა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების უნარების განვითარებაზე. ფიზიკური გარემოს კეთილმოწყობა (სპეციალური „უსაფრთხო/მშვიდი სივრცეების“ გამოყოფა დამამშვიდებელი ელემენტებით) და მშობელთა აქტიური ჩართულობა სკოლის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კიდევ უფრო აძლიერებს სასკოლო საზოგადოების ემოციურ კეთილდღეობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ შემუშავებული დაცვის მექანიზმი ითვლება ეფექტურ და ფუნქციურ დოკუმენტად, რომელიც სრულად პასუხობს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების სტანდარტებს და უზრუნველყოფს თავდაჯერებული, წარმატებული პიროვნებების ჩამოსაყალიბებლად საჭირო გარემოს.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

### 5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ მიერ წარმოდგენილი „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-24 ბრძანებით, სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს და ასახავს დაწესებულების მზაობას სწავლის დაწყებისთანავე უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო.

დოკუმენტის თანახმად, ფუნქციონირების დაწყების შემდგომ, სკოლა პერიოდულად განახორციელებს სასწავლო და სამუშაო სივრცეების ყოველდღიურ სველი წესით დასუფთავებასა და ყოველთვიურ სადეზინფექციო გენერალურ დალაგებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სანიტარიული კვანძებისა და სამედიცინო კაბინეტის ყოველდღიურ დეზინფექციას, ნარჩენების უსაფრთხო მართვასა და უწყვეტი წყალმომარაგების შენარჩუნებას (სპეციალური რეზერვუარების მეშვეობით). მექანიზმით განსაზღვრულია, რომ აღნიშნული ნორმების კონტროლს, პერსონალის ინსტრუქტაჟსა და სასკოლო თემში ჰიგიენური ცნობიერების ამაღლებას მომავალში სკოლის ექიმი უზრუნველყოფს.

მიუხედავად იმისა, რომ იგეგმება სკოლის ბუფეტის იჯარით გაცემა, დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და სწავლის დაწყებისთანავე დანერგავს მასზე მუდმივ კონტროლს. დირექტორი და ექიმი ორ კვირაში ერთხელ განახორციელებენ ობიექტის მონიტორინგს სპეციალური შეფასების აქტის (დანართი №1) საფუძველზე, რათა მკაცრად გაკონტროლდეს პროდუქტების ვარგისიანობა, შენახვის პირობები, პერსონალის ჰიგიენა და გამოირიცხოს კანონმდებლობით აკრძალული პროდუქტების რეალიზაცია. შესაბამისად, წარმოდგენილი მექანიზმი ადასტურებს, რომ სკოლას შექმნილი აქვს ყველა წინაპირობა მომავალში ჰიგიენური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესასრულებლად.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

### 6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

წარმოდგნილი დოკუმენტაციისა და სამართლებრივი აქტების კომპლექსური ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტორიზაციის ინდიკატორი - **„სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას“** - სრულად და სისტემურად არის დაკმაყოფილებული. სკოლაში ჩამოყალიბებულია მონაცემთა დაცვის მყარი ორგანიზაციული კულტურა, სადაც თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა (HR, ფინანსები, საქმისწარმოება, იურიდიული დეპარტამენტი) მკაცრად მიყვება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო (GDPR) სტანდარტების მოთხოვნებს.

ინფორმაციის დამუშავება, დაწყებული თანამშრომელთა შერჩევის ეტაპიდან, ფინანსური ოპერაციებისა და ყოველდღიური დოკუმენტბრუნვის ჩათვლით, მიმდინარეობს მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებით, მინიმიზაციისა და „საჭიროებისამებრ ცოდნის“ (Need-to-Know) პრინციპების უპირობო დაცვით. ციფრული ინფრასტრუქტურა - მართვის ელექტრონული სისტემები, კორპორატიული ელ-ფოსტა და დისტანციური მუშაობის არხები (VPN/Remote Desktop) -აღჭურვილია უსაფრთხოების თანამედროვე ტექნიკური მექანიზმებით (დაშიფვრა, HTTPS პროტოკოლი, რთული პაროლები, ლოგირება), რაც გამორიცხავს მონაცემებზე არაუფლებამოსილ წვდომას. ბეჭდური და ციფრული ფაილების შენახვისა და განადგურების (შრედირების) პროცედურები, ისევე როგორც ვიდეოთვალთვალის მკაცრად რეგლამენტირებული წესები, სრულად დაიცავს მოსწავლეთა, მშობელთა და პერსონალის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

სკოლაში მოქმედი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტი (ვალდებულება შეთავსებული აქვს სკოლის იურისტს - დირექტორის ბრძანება N1/კ-2 2026 წლის 15 მაისი), ინციდენტებზე რეაგირების ეფექტური პროტოკოლები და მონაცემთა სუბიექტების უფლებების რეალიზების გამართული მექანიზმები გარანტიას იძლევა, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესი წარიმართება უსაფრთხო, კანონშესაბამის და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე გარემოში.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

### 7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლა“ სრულად უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას, რაც დასტურდება სკოლის მიერ შემუშავებული ნორმატიული ბაზითა და ტექნიკური მექანიზმებით. ინფორმაციის უსაფრთხოების ფუნდამენტს წარმოადგენს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“, რომელიც „საჭიროებისამებრ ცოდნის“ პრინციპით არეგულირებს წვდომას მონაცემებზე.

სკოლა გამოიყენებს ინფორმაციის დაცვის მრავალშრიან სისტემას:

- **ადმინისტრაციული და სამართლებრივი:** ადამიანური რესურსების, ფინანსური და იურიდიული მიმართულებებისთვის, შემუშავებულია სპეციალიზებული პროტოკოლები, რომლებიც საქმისწარმოებისას მონაცემთა მაქსიმალურ კონფიდენციალურობას იცავს.
- **ფიზიკური დაცვა:** მოქმედებს „სუფთა მაგიდის“ პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს დოკუმენტების დაცულ საცავებში შენახვას და ინფორმაციის უსაფრთხო განადგურებას შრედერის საშუალებით.
- **ციფრული უსაფრთხოება:** ელექტრონული ინფორმაცია დაცულია თანამედროვე კიბერუსაფრთხოების სტანდარტებით, მათ შორის დაშიფვრის მექანიზმებით, VPN-არხებით, პაროლების მკაცრი კონტროლითა და სისტემური ლოგირებით, რაც გამორიცხავს ინფორმაციის არაუფლებამოსილ წვდომას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია მყარი მექანიზმები მის ხელთ არსებული ინფორმაციის დასაცავად და იგი სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის მოთხოვნებთან.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

შესაბამისად, ვინაიდან სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს და პროცესები პრაქტიკაში არ მიმდინარეობს, აღნიშნული მექანიზმების პერიოდული შეფასება ფიზიკურად ვერ განხორციელდებოდა. ამ ეტაპზე სკოლას შემუშავებული და გაწერილი აქვს ამ შეფასებების განხორციელების **სამომავლო გეგმა და პროცედურები** (რომლებიც ამოქმედდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე), თუმცა რეალური პრაქტიკის არარსებობის გამო, მიმდინარე მომენტში აღნიშნული ინდიკატორი **არ შეფასდება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სკოლის შინაგანაწესი;
- „ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-24 ბრძანებით;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-24 ბრძანებით;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-24 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“;
- შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები (დამტკიცებული დირექტორის N2-14 ბრძანებით);
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის პროტოკოლი ადამიანური რესურსების მართვისთვის;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის პროტოკოლი ფინანსური დეპარტამენტისთვის;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის პროტოკოლი იურისტისთვის;

- საქმისწარმოების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პროტოკოლი;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის პროტოკოლი დამლაგებლისთვის;
- „სუფთა მაგიდის“ პოლიტიკა (Clean Desk Policy);
- ციფრული პლატფორმების გამოყენების პროტოკოლი;
- სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის გამოყენებისა და მონიტორინგის ინსტრუქცია;
- დისტანციური მუშაობის პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- საშტატო განრიგი;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ხელშეკრულება;
- შესაბამისობის გეგმა.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის ინფრასტრუქტურული მართვისა და უძრავი ქონების ფლობის სამართლებრივი საფუძვლების ანალიზით დადგინდა შემდეგი გარემოებები:

- **სამართლებრივი საფუძველი და ფლობის ფორმა:** სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას გეგმავს ქ. თბილისში, ლისზე, ლაპლაპას მიწაზე მდებარე 5501.00 კვ.მ-ის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 72.16.21.761). აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, „გია მურღულიას უნივერსალურ სკოლასა“ და შპს „კესეფბერგ ინვესტმენტს“ შორის 2026 წლის 25 ივნისს გაფორმებულია წინარე იჯარის ხელშეკრულება. დოკუმენტის თანახმად, მხარეები იღებენ ვალდებულებას, იჯარის საგნის ექსპლუატაციაში მიღებისა და მშენებარე სტატუსის დასრულებისთანავე, გააფორმონ ძირითადი იჯარის ხელშეკრულება 12 წლის ვადით. ხელშეკრულების პირობების საბოლოო რედაქციით შეთანხმების ვადად განსაზღვრულია არაუგვიანეს 2026 წლის 15 ივლისი.

- **მშენებლობის სტატუსი და ნებართვები:** ობიექტზე მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს კანონმდებლობის სრული დაცვით. ბოლო სამშენებლო ნებართვა გაცემულია სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2026 წლის 29 იანვრის N7827747 ბრძანებით. ვინაიდან ვიზიტის პერიოდში შენობა-ნაგებობის მშენებლობა დასრულების სტადიაშია და ობიექტი ჯერ არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, სკოლის მიერ ამ ეტაპზე საჯარო რეესტრიდან შესაბამისი ამონაწერის წარმოდგენა ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელი იყო, რაც სრულად თავსდება ახლად დაფუძნებული სკოლის ავტორიზაციის შეფასების სპეციფიკაში.

- **შენობის არქიტექტურული და ფუნქციური მოწყობა:** პროექტის მიხედვით, საგანმანათლებლო სივრცე წარმოდგენილია სამსართულიანი კონსტრუქციით, რომელიც დაყოფილია 2 ფლიგელად და მოიცავს 5271 კვ.მ. საერთო ფართობს (აქედან სასარგებლო ფართია 4556.5 კვ.მ.). საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს ყველა საჭირო ფუნქციურ სივრცეს, ხოლო სააქტო და სპორტული დარბაზები (ამ უკანასკნელის ფართობია 232.0 კვ.მ.) წარმოდგენილია დამოუკიდებელი კონსტრუქციების სახით.

**სკოლის შენობაში განთავსებულია:**

1. 32 საკლასო ოთახი
2. 7 ლაბორატორია/კაბინეტი
    - ფიზიკის ლაბორატორია
    - ქიმიის ლაბორატორია
    - ბიოლოგიის ლაბორატორია (ორანჯერეათი)
    - ინჟინერია-ტექნოლოგიების ლაბორატორია
    - საზოგადოებრივ მეცნიერებათა კაბინეტი
    - ორი IT ლაბორატორია
3. დამატებითი საგანმანათლებლო სივრცეები
    - კოლაბორაციის ოთახი
    - ჭადრაკის ოთახი
    - ლეგო/რობოტიკის ოთახი
    - ხატვის ოთახი
    - ოთხი მუსიკის ოთახი
    - მცირე ტელესტუდია
4. შიდა სპორტული სივრცე
    - დიდი სპორტული დარბაზი
    - პატარა სპორტული დარბაზი
    - ორი გასახდელი (ორ-ორი შხაპით)
    - ინსტრუქტორის ოთახი
5. სააქტო დარბაზი (კულისებით)

6. ბიბლიოთეკა/მედიათეკა
7. კვების ბლოკი
    - კაფეტერია
    - სამზარეულო
    - სამზარეულოს ტექნიკური სივრცე
8. ორი სამასწავლებლო
9. ფსიქოლოგის ოთახი
10. ექიმის კაბინეტი
11. ოთხი ადმინისტრაციული ოთახი
12. შეხვედრების ოთახი
13. ხუთი ინტერაქტიული სივრცე/ფოიე
14. გარდერობი
15. შვიდი სველი წერტილის ბლოკი (ქალების, ვაჟებისა და შშმ პირების ტუალეტები)
16. ტექნიკური სივრცეები
17. სამი კიბის უჯრედი
18. ხუთი დერეფანი

წარმოდგენილი სამშენებლო ნებართვა, წინარე იჯარის ხელშეკრულება და შენობის არქიტექტურულ-ფუნქციური გეგმა იძლევა გარანტიას, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაწესებულება სრულად დაასრულებს ინფრასტრუქტურულ მოწყობას და უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის უსაფრთხო, თანამედროვე და სტანდარტების შესაბამის ფიზიკურ გარემოს, რასთან დაკავშირებითაც სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა და შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

- **სკოლამ უზრუნველყოს წინარე იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „კესეფბერგ ინვესტმენტთან“ ძირითადი იჯარის ხელშეკრულების საბოლოო რედაქციით გაფორმება 12 წლის ვადით და აღნიშნული უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არაუგვიანეს 2026 წლის 31 აგვისტოსა. მშენებლობის პროცესის მცირედით გაჭიანურების რისკის პრევენციისთვის, სკოლამ პროაქტიულად აკონტროლოს პარტნიორი კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება ობიექტის დროული ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.**

**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის (მოსწავლეები, მასწავლებლები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) შენობა-ნაგებობის, საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, რესურსების განაწილებისა და მათით უსაფრთხო სარგებლობის საკითხები მაღალ ნორმატიულ დონეზეა გარანტირებული. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება სკოლის

დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-11 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით **„შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“**.

წარმოდგენილი დოკუმენტის ნარატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია მატერიალური სიკეთეებითა და ინფრასტრუქტურით სარგებლობის ღია, სამართლიანი და ორგანიზებული სისტემა:

- **საგანმანათლებლო და ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობა:** წესი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სასწავლო პროცესში ჩართული პირებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, პრინტერები, სკანერები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა, გეოგრაფიული რუკები, თვალსაჩინოებები და ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმები.
- **საერთო სარგებლობის სივრცეების მართვა:** დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს სპეციფიკური და საერთო სივრცეებით სარგებლობის წესებს, როგორიცაა:
    - **კომპიუტერული კლასი და ლაბორატორია:** სადაც შესვლა და მუშაობა ხორციელდება წინასწარ გაწერილი ცხრილის/გრაფიკის მიხედვით, პასუხისმგებელი პირის (მასწავლებელი, ლაბორანტი) მეთვალყურეობით, რაც იცავს აპარატურას დაზიანებისგან.
    - **სპორტული დარბაზი და მოედანი:** ხელმისაწვდომია როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე არასაგაკვეთილო საათებში, შიდა სასკოლო ჩემპიონატებისა და სპორტული აქტივობების ფარგლებში, უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების მკაცრი დაცვით.
    - **ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი:** წესის მე-8 მუხლით გარანტირებულია წიგნადი ფონდისა და სამკითხველო სივრცის ღიაობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. განსაზღვრულია წიგნების ხელზე გატანის, რეგისტრაციისა და დროული დაბრუნების პროცედურები.
- **მატერიალური პასუხისმგებლობა და მონიტორინგი:** ინფრასტრუქტურის მდგრადობის მიზნით, წესი აწესებს მკაცრ რეგულაციებს ინვენტარის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევებზე (მუხლი 9). მასწავლებელი ან დამრიგებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვის სამსახურს/მატერიალური რესურსის მენეჯერს ნებისმიერი ხარვეზის შესახებ, რაც უზრუნველყოფს ფიზიკური გარემოს მყისიერ განახლებასა და გამართულობას.

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მიერ წარმოდგენილი „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ სრულად გამორიცხავს რესურსების ქაოტურ ან დისკრიმინაციულ განაწილებას, იცავს სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებას - ისარგებლონ სრულფასოვანი საგანმანათლებლო გარემოთი და იძლევა გარანტიას, რომ ოპერირების დაწყებისთანავე მთელი ინფრასტრუქტურა ფუნქციურად დაიტვირთება მოსწავლეთა და პერსონალის ინტერესების შესაბამისად.

ვინაიდან წინასწარ განსაზღვრული ინსტიტუციური მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, ხოლო მათი პრაქტიკული რეალიზება ბუნებრივად არის დაკავშირებული სკოლის ფუნქციონირების დაწყებასთან, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

### 3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების, წიგნადი ფონდის მართვის, მკითხველთა ორგანიზებული მომსახურებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსებით სარგებლობის სამართლებრივი ჩარჩო და ინსტიტუციური მექანიზმები სრულყოფილად

არის მოწესრიგებული. აღნიშნული სერვისების ფუნქციონირება ეფუძნება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-26 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს **„გია მურღულიას უნივერსალური სკოლის ბიბლიოთეკის დებულება“**.

დებულების თანახმად, სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ბიბლიოთეკარი, რომელიც ანგარიშვალდებულია სკოლის დირექტორის წინაშე და საქმიანობას ახორციელებს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ოპტიმალური და მკაფიო სამუშაო გრაფიკი: ყოველდღე (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, რაც სრულად ფარავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და არასაგაკვეთილო აქტივობების დროს. სკოლის ბიბლიოთეკა გააერთიანებს სახელმძღვანელოებს, დამხმარე და მეთოდურ ლიტერატურას, ბეჭდვით გამოცემებს, ელექტრონულ წიგნებს, მხატვრულ და შემეცნებით მასალებს.

დებულების ძირითადი პრინციპებია მკითხველთა თანასწორუფლებიანობა და ინფორმაციის ოპერატიული ხელმისაწვდომობა. სერვისებით სარგებლობის უფლება შეუზღუდავად აქვთ მოსწავლეებსა და თანამშრომლებს, ხოლო სტუმრებისთვის ღიაა სამკითხველო დარბაზი. წიგნები გაიცემა არაუმეტეს 2 კვირის ვადით (დამატებით 2 კვირით გახანგრძლივების უფლებით). ერთდროულად დაშვებულია მაქსიმუმ 3 საბიბლიოთეკო ერთეულის გატანა. დოკუმენტი მკაფიოდ საზღვრავს იმ იშვიათი/საცნობარო ფონდის (ენციკლოპედიები, ლექსიკონები, პერიოდიკა) ჩამონათვალს, რომელთა გატანაც აკრძალულია და მათი გამოყენება ხდება მხოლოდ ადგილზე. ბიბლიოთეკაში ინტეგრირებული იქნება IT და კომპიუტერული სერვისები, რომელთა სარგებლობაც რეგულირდება დროის ლიმიტით (45 წუთი სხვა მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში) და უსაფრთხოების წესებით. მასწავლებლებს აქვთ საგანმანათლებლო მასალების სკანირებისა და ასლების გადაღების უფლება ბიბლიოთეკარის დახმარებით.

დებულების მე-13 მუხლით დადგენილია წიგნების მკაცრი სისტემური აღრიცხვის წესი. თითოეულ ერთეულს ენიჭება საინვენტარო ნომერი, უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის (UDC) ინდექსი და ესმება სკოლის ბეჭედი (1-ელ და მე-17 გვერდებზე).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წიგნადი ფონდის რეგისტრაცია და ციფრული მართვა განხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სპეციალურ საბიბლიოთეკო პროგრამა **„Open Biblio“**-ში, რაც უზრუნველყოფს სერვისების თანამედროვე მართვის კულტურას. წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, დებულება აწესებს ადეკვატურ მექანიზმს (იმავე გამოცემის ჩანაცვლება ან სპეციალური სიიდან ალტერნატიული წიგნის წარმოდგენა 30 დღის ვადაში), რაც იცავს სკოლის მატერიალურ აქტივებს შემცირებისგან.

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მიერ შემუშავებული სამართლებრივი ბაზა, „Open Biblio“ პროგრამის დანერგვა, მკითხველთა ანკეტების წარმოების წესი და ბიბლიოთეკარის ფუნქციური აღწერილობა ქმნის მყარ გარანტიას, რომ ოპერირების დაწყებისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საბიბლიოთეკო მომსახურების მიწოდებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა დაათვალიერეს დიდი სივრცე, რომელიც გამოყოფილია ბიბლიოთეკისთვის. ის არის ხელოვნური და ბუნებრივი განათებებით აღჭურვილი, იზოლირებული, მშვიდი და სრულად ორიენტირებული მკითხველისთვის კომფორტული გარემოს შექმნაზე. სივრცე ფუნქციურად დაყოფილია წიგნსაცავის, სამკითხველო დარბაზისა და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ზონებად, რაც ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალურ მუშაობას, ისე ჯგუფურ საგანმანათლებლო აქტივობებს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ამ ეტაპზე ფუნქციონირებას გეგმავს ახალ შენობაში და ოპერირებას დაიწყებს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მატერიალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი „ბიბლიოთეკის დებულების“ ნარატიული ანალიზით დასტურდება, რომ საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა და სერვისების მიწოდების მოდელი სრულად პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს შერჩეული ბიბლიოთეკარი,

ვინაიდან წინასწარ განსაზღვრული ფიზიკური გარემო, მატერიალური რესურსი და ინსტიტუციური მექანიზმები სრულად თავსდება ავტორიზაციის მოთხოვნებში, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში თითოეული მოსწავლისთვის თანაბარი საგანმანათლებლო პირობების შექმნა, ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა და ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზება ინფრასტრუქტურულ დონეზე სრულყოფილადაა გათვალისწინებული.

არქიტექტურული პროექტის შესწავლითა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული მატერიალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლის ფიზიკური გარემო სრულად უზრუნველყოფს უბარიერო გადაადგილებასა და ხელმისაწვდომობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის. კერძოდ:

- **ფიზიკური მისაწვდომობა და შესასვლელი:** სკოლის ცენტრალურ შესასვლელში მოწყობილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს შენობაში დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ შესვლას.
- **ვერტიკალური გადაადგილება (ლიფტები):** სამსართულიან საგანმანათლებლო კორპუსში (ორივე ფლიგელის მასშტაბით) სართულებს შორის თავისუფალი მობილობისთვის დამონტაჟებულია შშმ პირებზე სრულად ადაპტირებული სპეციალური ლიფტი.
- **დამატებითი საადაპტაციო მექანიზმები:** სკოლის სივრცეებში დამატებით გათვალისწინებულია სპეციალური ლიფტი-ბაქანი, რაც სრულად გამორიცხავს ნებისმიერ არქიტექტურულ ბარიერს და უზრუნველყოფს შენობის ყველა ფუნქციური ზონის (საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საერთო სარგებლობის სივრცეები) აბსოლუტურ მისაწვდომობას.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მატერიალური რესურსებით სარგებლობის უფლებრივი გარანტიები დაცულია სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით, მათ შორის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-11 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით“, რაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის გარემოს თანაბარ ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიურობას სამართლებრივადაც განამტკიცებს.

ვინაიდან წარმოდგენილი სამშენებლო-არქიტექტურული გეგმა და საადაპტაციო ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, მოცემული მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში ფიზიკური გარემოს მოწყობა და არქიტექტურული კონცეფცია სცილდება სტანდარტული სასწავლო სივრცის ჩარჩოებს და მიმართულია სკოლის, როგორც ერთიანი სოციო-კულტურული ცენტრის ფორმირებაზე.

სკოლის შენობის არქიტექტურული გეგმის ანალიზითა და მატერიალური დათვალიერებით დასტურდება, რომ ინფრასტრუქტურა მოიცავს დამოუკიდებელი კონსტრუქციების სახით წარმოდგენილ, მრავალფუნქციურ სივრცეებს, რომლებიც პირდაპირ უზრუნველყოფს კულტურულ-შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას:

- **სააქტო დარბაზი** - სკოლის ტერიტორიაზე არსებული სააქტო დარბაზი წარმოადგენს კულტურული ღონისძიებების, კონფერენციების, თეატრალური და შემოქმედებითი წარმოდგენების, საჯარო ლექციებისა და სასკოლო ფორუმების მასპინძელ მთავარ პლატფორმას. სივრცე იძლევა შესაძლებლობას, სკოლამ აქტიურად ითანამშრომლოს გარე კულტურულ და საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან.
- **სპორტული ინფრასტრუქტურა (232.0 კვ.მ. ფართობის დარბაზი):** დამოუკიდებელი სპორტული დარბაზის შენობა (გასახდელებით) და მიმდებარე სპორტული მოედნები ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ეს სივრცეები გამიზნულია არა მხოლოდ შიდასასკოლო ტურნირებისთვის, არამედ მოსწავლეთა, პერსონალისა და მშობლების ჩართულობით მასშტაბური სპორტული და რეკრეაციული აქტივობების ორგანიზებისთვის.

- **ბიბლიოთეკა და დიდი სამკითხველო სივრცე:** ექსპერტთა მიერ ნანახი დიდი, ბუნებრივი და ხელოვნური განათებებით ნათელი, იზოლირებული საბიბლიოთეკო სივრცე, რომელიც ფუნქციურად არის დაყოფილი სხვადასხვა ზონებად, ასრულებს ინტელექტუალური და კულტურული ცენტრის როლს. იგი ხელს უწყობს საზროვნო და სადისკუსიო კლუბების მუშაობას, ლიტერატურულ საღამოებსა და მოსწავლეთა დამოუკიდებელ შემოქმედებით ძიებებს.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სივრცეების ხელმისაწვდომობა და სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები) მიერ მათი თავისუფლად გამოყენების უფლებრივი გარანტიები სამართლებრივად არის გამყარებული სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის ბრძანებებით დამტკიცებული შიდა რეგულაციებით:

- **„მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით“ (ბრძანება N2-11):** რომელიც უზრუნველყოფს საერთო სივრცეების (დარბაზები, ბიბლიოთეკა) ღიაობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას;
- **„მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტით (ბრძანება N2-04):** რომელიც პირდაპირ ანიჭებს მოსწავლეებს უფლებას, თავისუფლად შეიკრიბონ, შექმნან სასკოლო კლუბები, თვითმმართველობის გაერთიანებები და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ამ მიზნებისთვის შეუზღუდავად გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა.

ვინაიდან წარმოდგენილი არქიტექტურულ-ფუნქციური გეგმა და შიდასასკოლო რეგულაციები სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- „გია მურღულიას უნივერსალურ სკოლასა“ და შპს „კესეფბერგ ინვესტმენტს“ შორის 2026 წლის 25 ივნისს გაფორმებულია წინარე იჯარის ხელშეკრულება;
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2026 წლის 29 იანვრის N7827747 ბრძანებით გაცემული ბოლო სამშენებლო ნებართვა;
- მშენებლობის პროექტი;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-11 ბრძანებით დამტკიცებული „შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-26 ბრძანებით დამტკიცებული - „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის ბიბლიოთეკის დებულება“;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის ბრძანებებით დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი (ბრძანება N2-04);
- ინვოისები.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტებს და მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით უზრუნველყოფს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებას.

სკოლის ტექნოლოგიური ბაზა, წარმოდგენილი ინვოისების თანახმად, მოიცავს შემდეგ რესურსებს:

- **კომპიუტერული ტექნიკა:** სკოლის საკუთრებაშია **120 ლეპტოპი** და **42 სტაციონარული კომპიუტერი**, რომლებიც ფუნქციურად განაწილდება **3 კომპიუტერულ კლასში**, რაც სრულად აკმაყოფილებს როგორც მოსწავლეთა, ისე პედაგოგებისა და ადმინისტრაციის საჭიროებებს.
- **მულტიმედიური და პერიფერიული მოწყობილობები:** სასწავლო პროცესის ინტერაქტიულად წარმართვისთვის კლასები აღიჭურვება **ჭკვიანი დაფებით**, ხოლო ადმინისტრაციული საქმისწარმოებისთვის უზრუნველყოფილია **პრინტერ-სკანერები**.
- **ქსელური ინფრასტრუქტურა:** მთელი სკოლის მასშტაბით ხელმისაწვდომი იქნება გამართული **უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi)**, რაც აუცილებელია ციფრული რესურსების შეუფერხებელი გამოყენებისთვის.
- **საინფორმაციო სივრცე:** სკოლის ინფორმაციული ეკოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია **ოფიციალური ვებგვერდი**, რომელიც ხელს უწყობს გამჭვირვალობას, გარე კომუნიკაციასა და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურ მართვას.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ) ხელმისაწვდომობასა და მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო თუ ადმინისტრაციული პროცესისთვის.

ტექნიკური ინფრასტრუქტურის ორგანიზებულ და უსაფრთხო გამოყენებას მოსწავლეებისა და პერსონალის მიერ განსაზღვრავს სპეციალური შიდა ნორმატიული აქტები: **„ციფრული პლატფორმების გამოყენების პროტოკოლი“**, **„სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის გამოყენებისა და მონიტორინგის ინსტრუქცია“** და **„დისტანციური მუშაობის პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი“**.

შესაბამისად, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იქნება და სრულად უზრუნვეყოფს მოსწავლეებისა და პერსონალის მოთხოვნებს.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- „ციფრული პლატფორმების გამოყენების პროტოკოლი";
- „სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის გამოყენებისა და მონიტორინგის ინსტრუქცია";
- „დისტანციური მუშაობის პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი".

### 3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში საქმისწარმოების პროცესი, დოკუმენტბრუნვის სისტემა, სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვა-რეგისტრაცია სამართლებრივ და ორგანიზაციულ დონეზე სრულყოფილად არის მოწესრიგებული. აღნიშნული მიმართულება კომპლექსურად რეგულირდება სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის №01-03/21 ბრძანებით დამტკიცებული **„საქმისწარმოების წესით"**, ასევე 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით" (საქმისწარმოების დამხმარე პროცესი).

ვინაიდან დაწესებულება წარმოადგენს ახლად დაფუძნებულ (მაძიებელ) სკოლას, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობას ფაქტობრივად დაიწყებს ავტორიზაციის მიღების შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა საქმისწარმოების არსებული პრაქტიკა, ადმინისტრაციული რესურსი და ტექნოლოგიური მზაობა:

- **ადმინისტრაციული უზრუნველყოფა და პასუხისმგებლობა:** სკოლაში საქმისწარმოების გამართულ ფუნქციონირებაზე, სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციაზე, ასევე შემდგომში მოსწავლეებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ქვეპროცესების სათანადო წარმართვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და განსაზღვრულია მისი ფუნქციონალური მოვალეობები. დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეების ფორმირება და შენახვა დამტკიცებული წესის მიხედვით განხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული ვადებისა და კონფიდენციალობის პრინციპების მკაცრი დაცვით.
- **მიმდინარე საქმისწარმოების პრაქტიკა (სამზადისის ეტაპი):** ავტორიზაციის მოსამზადებელ ეტაპზე დაწესებულებაში საქმისწარმოება ორგანიზებულია სტრუქტურირებულ ელექტრონულ ღრუბლოვან საცავში (Google Drive). მოცემულ პლატფორმაზე სისტემატიზებული და ატვირთულია სკოლის დაფუძნებისა და ავტორიზაციისთვის საჭირო ყველა ძირითადი დოკუმენტი, კერძოდ: დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (ბრძანებები), პერსონალის შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები, შემოსული და გასული კორესპონდენცია (წერილები) და დასაქმებულთა პირადი საქმეების ციფრული ასლები.
- **ტექნოლოგიური მოდერნიზაცია და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა:** საქმისწარმოების პროცესის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობისა და სრულად გაციფრულების მიზნით, სკოლას 2026 წლის 21 მაისს გაფორმებული აქვს ოფიციალური ხელშეკრულება (DOC-301299-224) კომპანია **„SCHOOL.MS" (School Management Systems)**-თან სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შიდა სასკოლო დოკუმენტების ელექტრონულად წარმოება (დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემა). აღნიშნული ლიცენზია, შეთანხმების თანახმად, ავტომატურად ამოქმედდება 2026 წლის სექტემბერში, სწავლის დაწყებამდე, რაც სრულად თავსდება „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით" განსაზღვრულ ვადებში.

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (Google Drive-ის სტრუქტურა, SCHOOL.MS ხელშეკრულება, საქმისწარმოების წესი) ადასტურებს, რომ დაწესებულება მზად არის კანონმდებლობის სრული დაცვით აწარმოოს საქმისწარმოება.
ვინაიდან წინასწარ განსაზღვრული ადმინისტრაციული და ელექტრონული მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო სრულფასოვანი ელექტრონული პლატფორმის ამოქმედება დროში ემთხვევა სასწავლო პროცესის რეალურ სტარტს, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია, საქმისწარმოების მოდერნიზაცია და მონაცემთა ბაზების მართვა მაღალ ტექნოლოგიურ დონეზეა ორგანიზებული. აღნიშნული საკითხები კომპლექსურად რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით“ (საქმისწარმოების, კომუნიკაციისა და IT მხარდაჭერის ქვეპროცესები), „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესითა“ და სხვა შიდაორგანიზაციული აქტებით.
წარმოდგენილი ნარატიული მტკიცებულებებისა და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების მართვისთვის ინერგება მრავალფუნქციური, თანამედროვე ციფრული ეკოსისტემა:

- **დოკუმენტბრუნვისა და სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა (EduPage):** სკოლის შიდა მართვაში, ორგანიზაციულ კომუნიკაციასა და დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფის მიზნით ინტეგრირებული იქნება საერთაშორისო პლატფორმა **EduPage** (https://www.edupage.org/). აღნიშნული სისტემა აერთიანებს ელექტრონულ ჟურნალს, საგაკვეთილო ცხრილების მართვას, დავალებებისა და სასწავლო მასალების გაზიარების ფუნქციებს, ადმინისტრაციულ შეტყობინებებსა და შიდა დოკუმენტბრუნვის ციფრულ არხებს, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ბიუროკრატიულ პროცესებს.
- **ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool):** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დეტალური, სისტემური ასახვა მოხდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (**eSchool**). მოცემულ სახელმწიფო ბაზაში სრულად არის ადმინისტრირებული ისეთი კრიტიკული ქვეპროცესები, როგორიცაა: მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და პერსონალის პროფილები. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილებისთანავე უზრუნველყოფილი იქნება ამ პროფილის საბოლოო აქტივაცია.
- **გარე კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის არხები:** სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლები, პარტნიორები, საზოგადოება) ოპერატიული, გამჭვირვალე და ორმხრივი კავშირის უზრუნველსაყოფად სკოლას გამართული აქვს ელექტრონული ფოსტის ერთიანი სისტემა, ფუნქციური ვებგვერდი და ოფიციალური სოციალური ქსელის (Facebook) გვერდი, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის მიღება-გავრცელების მაღალ სტანდარტს.

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მიერ შერჩეული პლატფორმები (EduPage, Open Biblio ბიბლიოთეკისთვის, eSchool-თან თავსებადობა) ადასტურებს, რომ დაწესებულება ფლობს სრულყოფილ ინსტრუმენტებს თანამედროვე, ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობის განსახორციელებლად.
ვინაიდან წინასწარ ინტეგრირებული ტექნოლოგიური მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, ხოლო მათი სრული ფუნქციური დატვირთვა ბუნებრივად არის დაკავშირებული სკოლის ოპერირების დაწყებასთან, მოცემული **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვინაიდან შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლა წარმოადგენს ახლად დაფუძნებულ (მაძიებელ) დაწესებულებას, რომელსაც ჯერ არ აქვს მიღებული ავტორიზაცია და ფაქტობრივად არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, მას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად **ამ ეტაპზე არ აქვს და ობიექტურად ვერ ექნება აქტიური, სრულყოფილი პროფილი** ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) წესების თანახმად, სკოლის ბაზაში რეგისტრაცია და წვდომების გააქტიურება პირდაპირ დამოუკიდებულია ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებასა და ავტორიზებული სკოლის სტატუსის მინიჭებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბაზა ჯერ აქტიური არ არის, სკოლამ წინასწარ დანერგა სასწავლო პროცესისა და შიდა მართვის ელექტრონული პლატფორმა **EduPage** (https://www.edupage.org/), რომელიც ტექნიკურად სრულად თავსებადია eSchool-ის საინფორმაციო სისტემასთან. სკოლის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციით მკაფიოდ არის გაწერილი მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვისა თუ პერსონალის მონაცემების eSchool-ის ბაზაში ასახვის პროცედურული მზაობა.

აღნიშნული საკითხი სკოლას პროაქტიულად აქვს გათვალისწინებული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ (ინდიკატორი 3.6.2.3), სადაც აქტივობის დასრულების საბოლოო ვადად განსაზღვრულია **2026 წლის 31 აგვისტო**. შესაბამისად სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - **რეკომენდაცია: სკოლამ, ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებისთანავე, უზრუნველყოს საკუთარი პროფილის შექმნა და გააქტიურება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (echool.emis.ge) არაუგვიანეს 2026 წლის 31 აგვისტოსა, მოსწავლეთა და პერსონალის ბაზების ოფიციალური და დროული ადმინისტრირებისთვის.**

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი**

**4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა — EMIS) ინსტიტუციური თანამშრომლობის, ანგარიშგებისა და ინფორმაციის დროული გაცვლის მექანიზმები სისტემურ დონეზე სრულყოფილად არის მოწესრიგებული. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-05 ბრძანებით დამტკიცებული **„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით“** (გარე შეფასებისა და ანგარიშგების ქვეპროცესები), „საქმისწარმოების წესითა“ და სკოლის დებულებით.

სკოლის შიდა რეგულაციებით მკაფიოდ არის განსაზღვრული მარეგულირებელ ორგანოებთან ოფიციალურ კორესპონდენციაზე, ანგარიშების მომზადებასა და ვადების კონტროლზე პასუხისმგებელი პირები. წესის თანახმად, სკოლის დირექტორი და საქმისმწარმოებელი პირადად უზრუნველყოფენ უწყებებიდან შემოსული წერილების, მოთხოვნებისა და მიწერილობების დროულ დამუშავებას, შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემასა და უკუკავშირის წარდგენას.

სკოლა სრულად იაზრებს და მზად არის შეასრულოს კანონმდებლობით დაკისრებული ანგარიშგების ვალდებულებები. ამის დასტურია ის, რომ მიუხედავად მაძიებლის სტატუსისა, სკოლას უკვე გაწერილი აქვს „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ (ინდიკატორი 3.6.2.3) ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილებისთანავე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (**eSchool**) პროფილის საბოლოო გააქტიურება.

აღნიშნული ბაზის მეშვეობით სკოლა უზრუნველყოფს მარეგულირებელი უწყებებისთვის სტატისტიკური ანგარიშების, მოსწავლეთა კონტინგენტის მოძრაობისა (ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება) და პერსონალის მონაცემების უწყვეტ და დროულ მიწოდებას.

სკოლის მხრიდან მარეგულირებელ უწყებებთან კონსტრუქციული თანამშრომლობისა და გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს თავად მიმდინარე ავტორიზაციის მოსამზადებელი პროცესი. დაწესებულებამ ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში სრულყოფილად წარადგინა საავტორიზაციო განაცხადი, თვითშეფასების კითხვარი და შესაბამისი მტკიცებულებები. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას, სკოლის ადმინისტრაციამ და დამფუძნებლებმა უზრუნველყვეს აბსოლუტურად ღია, კოლეგიური და პროფესიული გარემო, ოპერატიულად მიაწოდეს ჯგუფს ყველა მოთხოვნილი შიდაორგანიზაციული დოკუმენტი და გამოხატეს სრული მზაობა ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებაზე (რაც ასახულია კიდეც შესაბამისობის გეგმის კორექტირებაში). სკოლის მიერ წინასწარ განსაზღვრული ადმინისტრაციული მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, მაგრამ რამდენადაც სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებსს **ინდიკატორი ვერ შეფასდება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის №01-03/21 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
- ელექტრონულ სასწავლო პლატფორმა **EduPage**-ში (https://www.edupage.org/) სკოლის შექმნილი სამუშაო გარემო და ადმინისტრაციული პროფილი;
- ღრუბლოვან საცავში (**Google Drive**) ორგანიზებული ელექტრონული საქმისწარმოების სტრუქტურა (ბრძანებები, ოქმები, ხელშეკრულებები, კორესპონდენცია, პერსონალის პირადი საქმეები);
- სკოლასა და კომპანია „SCHOOL.MS“-ს შორის 2026 წლის 21 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება №DOC-301299-224 (სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ);
- სკოლის ოფიციალური ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტის ერთიანი დომენი და სოციალური ქსელის (Facebook) გვერდი;
- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“ (სადაც გაწერილია eSchool-ისა და SCHOOL.MS-ის საბოლოო აქტივაციის ვადები - 2026 წლის 31 აგვისტო).

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ მიერ წარმოდგენილი ნორმატიული ბაზის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს საზოგადოებასთან ეფექტური, გამჭვირვალე და ორმხრივი კომუნიკაციის მნიშვნელობა. ვინაიდან სკოლა ახლადდაფუძნებულია და ემზადება ფუნქციონირების დასაწყებად, მას წინსწრებად აქვს შემუშავებული კომუნიკაციის მართვის გამართული სისტემა.
სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-19 ბრძანებით დამტკიცებულია **„საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი“**, რომელიც სრულად აწესრიგებს გარე და შიდა საინფორმაციო ნაკადებს. დოკუმენტის მიხედვით, საზოგადოებისთვის ინფორმაციის ოპერატიულად და ხელმისაწვდომად გაზიარების ძირითად არხებად განსაზღვრულია:

1. სკოლის ოფიციალური ვებგვერდი;
2. ელექტრონული ფოსტა;
3. სოციალური ქსელები;
4. სკოლის ფიზიკური საინფორმაციო დაფა.

აღნიშნულ სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს სკოლის ვებგვერდს, რომელიც ასრულებს ორ უმნიშვნელოვანეს - **საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას**, რაც ხელს უწყობს როგორც დაწესებულების საქმიანობის შესახებ საზოგადოების დროულ ინფორმირებას, ისე აქტიურ ინტერაქციას.

კომუნიკაციის პროცესის ორგანიზებულობისა და უკუკავშირის მექანიზმების ეფექტიანობის მიზნით, მკაფიოდ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობები. კერძოდ, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში შემოსულ შეკითხვებზე დროული პასუხის გაცემის, დამუშავებისა და საჭიროებისამებრ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გადამისამართების ექსკლუზიური პრეროგატივა და ვალდებულება აკისრია **საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს**.

პარალელურად, სკოლას შემუშავებული აქვს **„მოსწავლის მშობლის ინფორმირების წესი“**, რაც ადასტურებს, რომ მომავალში (სწავლის დაწყებისთანავე) სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა მუდმივ ჩართულობას, მათთან პარტნიორული და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას და რეგულარული საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებების წარმოებას.

წარმოდგენილი რეგულაციებით დასტურდება, რომ სკოლას შექმნილი აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და უკუკავშირის მიღების ყველა საჭირო ნორმატიული წინაპირობა. შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროცესის სამართავად კომპეტენტური პერსონალის ჩართულობას, რაც სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს მომავალი ფუნქციონირების ჭრილში.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლა“ სრულად უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.
ინფორმაციის სიზუსტე დაცულია შემდეგი მექანიზმებით:

- **სამართლებრივი ვალდებულება:** სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი“ პირდაპირ ავალდებულებს დაწესებულებას, რომ საჯარო სივრცეში განთავსებული ნებისმიერი მონაცემი იყოს გადამოწმებული და უტყუარი.
- **ცენტრალიზებული კონტროლი:** ნებისმიერი სიახლის, პროგრამის თუ ადმინისტრაციული მასალის გამოქვეყნება ვებგვერდსა (gmus.edu.ge) და სოციალურ ქსელებში ხდება ექსკლუზიურად საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით, რაც გამორიცხავს არასანქცირებული ან მცდარი ინფორმაციის გავრცელებას.
- **კომუნიკაციის ფილტრი:** საინფორმაციო არხებზე შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და ვერიფიკაციის პრეროგატივა აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის ოფიციალური პირველწყაროს მიწოდებას.

შესაბამისად, მკაფიო ადმინისტრაციული ფილტრებისა და პასუხისმგებლობების წყალობით, სკოლა სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს და გადის პირველად ავტორიზაციას. შესაბამისად **ინდიკატორი ვერ შეფასდება**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ საინფორმაციო ვებგვერდი (https://gmus.edu.ge/) არის მოქმედი, საჯაროდ ხელმისაწვდომი და მასზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე,

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ ოფიციალური ვებგვერდის (**https://gmus.edu.ge/**) ფაქტობრივი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პლატფორმა არის სრულად ფუნქციური, საჯარო და მასზე ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო (ქართულ) ენაზე.

ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაციის მოცულობა და შინაარსი სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. პლატფორმა უზრუნველყოფს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციების გამართულ შესრულებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სკოლა ახლადდაფუძნებულია და იმყოფება ავტორიზაციის პროცესში, წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის ატვირთვა ობიექტური მიზეზების გამო დაგეგმილია მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს (სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე).

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ფეისბუკ-გვერდი;
- ელექტრონულ ფოსტა;
- სკოლის ვებგვერდი.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციისა და დამტკიცებული საპროგნოზო ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულება ფლობს მყარ ფინანსურ საფუძველს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობის შეუფერხებლად წარსამართავად.
სკოლის ბიუჯეტი სტრუქტურირებულია სტრატეგიული მიზნებისა და წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მიზნობრივ განაწილებას შემდეგი მიმართულებებით:
დამტკიცებული ფინანსური გეგმა არის რეალისტური, დაბალანსებული და სრულად ორიენტირებული სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე. არსებული რესურსები იძლევა მყარ გარანტიას, რომ სკოლა შეძლებს დასახული მიზნების ეფექტურად მიღწევას, რის გამოც ინდიკატორი აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტს, რომელიც შეთანხმებულია დამფუძნებლებთან, ამტკიცებს სკოლის დირექტორი. ბიუჯეტის განკარგვა ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ და/ან მისი ზედამხედველობით, ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით დირექტორი ანგარიშს აბარებს დამფუძნებლებს, რომლებისც ამავდროულად ითვლებიან მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოდ.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ბიუჯეტი
- ინვოისები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

კანონით გათვალისწინებული მოსწავლის უფლებების დაცვის მიზნით სკოლამ შეიმუშავა „სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი, დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-04 ბრძანებით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა და მათ მშობელთა უფლებების დაცვის მიზნით სკოლაში შემუშავებულია შემდეგი დოკუმენტები:
ა) შინაგანაწესი;
ბ) სასკოლო სასწავლო გეგმა.
გ) მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
დ) დისციპლინური კომიტეტის დებულება;
ე) მოსწავლის ადაპტაციის წესი
ე) რემედიაციის წესი
**ამავე მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს:**
ა) დამფუძნებელთა კრება;
მოსწავლეთა და მათ მშობელთა უფლებების დაცვისათვის სკოლას ჰყავს:
ა) უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
ბ) ექიმი/ექთანი;

გ) დამრიგებლები თითოეული კლასისთვის;

შემუშავებული დოკუმენტაცია წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური კონტროლისა და პრევენციის მიმართულებით ღონისძიებების ერთობლიობას. დოკუმენტებში გაწერილი რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის უფლებების დაცვა და უზრუნველყოფილია გარანტიები.

სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტის მიხედვით, თითოეული მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები; მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები გააცნობენ შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში; თოთოეულ მოსწავლეს ან მის მშობელს უფლება აქვს, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

**წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში მოსწავლის, მისი მშობლის უფლებაა:** ხელშეუხებელი იყოს მისი რელიგიური თავისუფლება;

დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;

დასაბუთებულად უარი თქვას სკოლის მიერ დაწესებული სასკოლო ფორმის ტარებაზე, ან შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში, მოითხოვოს სკოლისგან მისი შეძენა;

არ გაამჟღავნოს ინფორმაცია თავისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ;

არ გაამჟღავნოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას ან მოსწავლის სიცოცხლეს;

ფლობდეს ინფორმაციას სკოლის მიერ მოსწავლის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;

სკოლის დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის პერსონალის 2 ან სხვა მოსწავლის ან სხვა მოსწავლის მეურვის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

ყველა მოსწავლესა და მის მეურვეს აქვს უფლება, იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;

დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;

სკოლის მიერ დადგენილი წესების დაცვით შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლის ბიბლიოთეკით; სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით სკოლის მიერ დადგენილი წესით ისარგებლოს სკოლის სხვა სივრცეებით: სპორტული მოედნით, სააქტო დარბაზით და სხვა;

თავისუფლად შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით სკოლის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, ასევე ამ შეკრებაზე მიიწვიონ სხვა პირი;

მოითხოვოს სკოლის შენობაში შესვლა სკოლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ან განსხვავებულ პერიოდში სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

მოითხოვოს ინდივიდუალური შეხვედრა მასწავლებელთან, სკოლის დირექციის წარმომადგენელთან, ისარგებლობს სამედიცინო მომსახურებით-საჭიროების შემთხვევაში-მიმართოს სკოლის ექიმს/ექთანს; ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომების შესახებ; იცნობდეს სკოლის ბიუჯეტს და წლიურ გეგმას;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლისგან დამოუკიდებლად მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს;

მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ.

**თვითმმართველობის დებულების თანახმად, სკოლის მოსწავლეთა** თვითმმართველობის, როგორც კოლეგიური ორგანოს უფლებაა, შეიმუშაოს და სკოლის დირექციას წარუდგინოს მნიშვნელოვანი მოსაზრებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით; ხელი შეუწყოს სკოლაში არსებული კლუბების

აქტიურ მუშაობას; მონაწილეობა მიიღოს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში; შუამდგომლობა დააყენოს სკოლის დირექტორთან გამორჩეული მოსწავლეების წახალისების საკითხთან დაკავშირებით; დაგეგმოს გამოფენები სკოლის ტერიტორიაზე სკოლის დირექტორთან შეთანხმებით.

სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმადაც, სკოლა იცავს მოსწავლეთა უფლებებს, კერძოდ:

სკოლა მოსწავლეს აძლევს გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის შესაძლებლობას. გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის თარიღი ინიშნება მოსწავლესთან/მშობელთან შეთანხმებით სემესტრის დასრულებამდე.

მოსწავლეს უფლება აქვს, აიმაღლოს სემესტრული ქულა. ამ მიზნით სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად ჩატარებისთვის.

სკოლა ასევე ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა იმ შემთხვევაში, თუ მას რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5-ზე ნაკლები.

საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, სკოლა ქმნის რემედიაციის პროგრამას თითოეული მოსწავლისათვის. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს გონივრული ვადა რემედიაციის პროგრამის დაძლევისთვის. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს შინ სწავლების მექანიზმსაც.

სკოლაში შემუშავებულია სასკოლო გარემოსთან **მოსწავლის ადაპტაციის წესი.** მისი მიზანია მოსწავლის დახმარება და მხარდაჭერა სასწავლო პროცესთან და სასკოლო ცხოვრებასთან ადაპტაციისათვის.

სკოლაში შემუშავებული დისციპლინური კომიტეტის დებულების გარკვეულ მუხლებში იკვეთება, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა, მათ მშობელთა უფლებების დაცვა, მაგალითად, დისციპლინურ კომიტეტში 6 წევრიდან ორი მშობელია და ერთი კი საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია, განიხილოს მასწავლებელთა გადაცდომების შემთხვევები. ამის საფუძველი კი შეიძლება იყოს მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვა დისციპლინური კომიტეტის მიმართ.

სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის, სკოლის დაცვის, მთავარი ფუნქციაა დაიცვას მოსწავლეთა და სხვათა უსაფრთხოება, კერძოდ, ამ მიზნისათვის შეასრულოს შემდეგი ქმედებები: დაიცვას სკოლის ტერიტორია უცხო პირთა შემოსვლისაგან (გარდა დირექციასთან შეთანხმებული შეხვედრებისა); განახორციელოს სკოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ვიდეო კონტროლი; აღკვეთოს სკოლის ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების ფაქტი და ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამისი სამართალდამცავ ორგანოებს დაიცვას საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირები და ხელი შეუწყოს მათ ევაკუაციას; **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამდენად, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ვერ იქნებოდა გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების: „საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტის“, „მშობელთა ინფორმირების წესისა“ და „დამრიგებლის დებულების“ მიხედვით, სკოლა მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის სასკოლო საზოგადოებას-მოსწავლეს, მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, კერძოდ: თითოეული კლასის დამრიგებელი გააცნობს მოსწავლეებს მათ უფლებებსა და სკოლის მიერ დადგენილ წესებს, მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით: ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით; ინფორმაცია მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად გაეგზავნება ყველა მოსწავლეს; **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

**3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ წარმოადგინა მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა, რომელშიც ასახულია მხარეთა (ერთი მხრივ, სკოლისა და, მეორე მხრივ, მოსწავლის/მშობლის) უფლება-მოვალეობები, სწავლის საფასურის განსაზღვრის ზოგადი წესები, სკოლიდან მოსწავლის გადაყვანის წესები და გაფრთხილების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, ფორსმაჟორი, დავის გადაწყვეტა, დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ მასზე ხელმოწერით მშობელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს და თანხმობას აცხადებს სრულად დაიცვას სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დებულებები.

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-04 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი;
- მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- მოსწავლის რემედიაციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები;
- ექიმის ფუნქციები;
- დამრიგებლის დებულება.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლამ წარმოდგინა დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-13 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რომლის მიზანია უზრუნველყოს ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის. წარმოდგენილი წესი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ, 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ და 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ-ის ბრძანებებს.

„მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის წესში“ გაწერილია შემდეგი საკითხები:

ა) პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა
ბ) დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე მოსწავლეთა ჩარიცხვა-მობილობის გზით
გ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვა
დ) მოსწავლის სტატუსის შეჩერება
ე) მოსწავლისთვის სტატუსის შეწყვეტა
ვ) მოსწავლისთვის სტატუსი აღდგენა
ზ) კლასისა და საფეხურის დაძლევა
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

ინდიკატორი არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციი გამო.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურეობის სახეები, პროგრამები საჯაროა და განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. ასევე ვრცელდება სოციალური ქსელის მეშვეობით. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის ან მობილობის შემთხვევაში, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლისგან მიიღებს ინფორმაციას სკოლის შესახებ. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ სწავლა ფასიანია, გადახდის პირობები მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშია გაწერილი, რომელსაც მშობელი წინასწარ ეცნობა. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სკოლა გეგმავს შეხვედრებს მშობლებთან, მათთვის სკოლაში არსებული სხვადასხა რეგულაციის, მომსახურების პირობებისა და სახეების გაცნობას.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული და შეესაბამება სკოლის შინაგანაწესს.
მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებს არ გაავრცელებს მშობლის ნებართვის გარეშე, ითვალისწინებს კანონს პერსონალის პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ, აიღებს მშობლის თანხმობას მისი შვილის ფოტო/ვიდეო მასალის გამოქვეყნებისთვის. არ გაავრცელებს გადაუმოწმებელ, არასაჭირო ინფორმაციას. სკოლაში მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რომელიც განახლდება პერიოდულად, საჭიროებისამებრ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სკოლის შინაგანაწესი;

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.
- სკოლის ვებგვერდი.
- მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლამ წარმოდგინა დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-12 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ადაპტაციის წესი. ამ დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, ასევე მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს დეზადაპტაციის პროცესის ნიშნებსა და ამ პროცესის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

ა) მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი;

ბ) უფროსი და-ძმის გამოცდილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) სასწავლო დატვირთვის ინტენსივობა და საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე – ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლე ვერ ახერხებს სასწავლო პროგრამის წარმატებით დაძლევას. განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე. აღნიშნულმა არ უნდა დააზიანოს მოსწავლის თვითშეფასება და არ უნდა უბიძგოს მას ისეთი ქმედებებისკენ, რომელიც ხელს შეუშლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისას;

დ) იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც გააჩნიათ ენობრივი ბარიერი ან კულტურული განსხვავებულობა, აუცილებელია, მასწავლებელმა მიმართოს განსაკუთრებულ ღონისძიებებს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად. ამ დროს, განსაკუთრებით დიდია კლასის დამრიგებლის/დამრიგებლების როლი. მან უნდა სცადოს, რომ თუნდაც თანამედროვე თარგმნის საშუალებების გამოყენებით, გააცნოს მოსწავლეებს კონკრეტული კულტურის ზოგადი მახასიათებლები მათთვის საინტერესო კუთხით, გამოხატოს პატივისცემა იმ კონკრეტული კულტურის მიმართ, დაამყაროს მარტივი კომუნიკაცია მოსწავლესთან და წაახალისოს სხვა თანაკლასელებიც, ჩართონ იგი საერთო აქტივობებში, როგორიცაა ჯგუფური დავალებები, სხვადასხვა სახის თამაშები და ა.შ.

ე) დამრიგებლის როლი – იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს წარმატებით ადაპტაციას, სწორედ კლასის დამრიგებელმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყარონ კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს

ჯგუფურ დავალებებს, თამაშებს და სხვა ისეთ აქტივობებს, სადაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია.

ვ) მშობლის ფაქტორი – მოსწავლის სკოლაში ადაპტაციისათვის უმნიშვნელოვანესია მშობლის ჩართულობა. უმეტესად, მოსწავლის დეადაპტაციის ნიშნები სახლში უფრო შესამჩნევია, ვიდრე სკოლაში. ამდენად, მოსწავლის მშობელი მყისიერად უნდა იქნეს ინფორმირებული მოსწავლის ადაპტაციისა თუ დეადაპტაციის ტემპების შესახებ, რათა დროულად იქნას დეადაპტაციის ნიშნები გამოვლენილი და მოსწავლეს გაეწიოს შესაბამისი დახმარება;

ზ) ფსიქოლოგის როლი – იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გამოუვლინდება დეადაპტაციის ნიშნები, სასურველია მოსწავლეზე ფსიქოლოგის დაკვირვება და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა;

თ) საორიენტაციო ვიზიტი – სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველივე დღეს უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს დათვალიერება, გაცნობა, მოსწავლისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

**2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

ინდიკატორი არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

**3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით სკოლაში დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-12 ბრძანებით დამტკიცებულია რემედიაციის მექანიზმი, რომლის მიზანია სკოლაში მოსწავლეთა ხელშეწყობა სწავლის ფუნდამენტური უნარების ათვისების კუთხით არსებული სირთულეების აღმოფხვრა და რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლეების მიერ სასწავლო პროგრამის დაძლევა. პროცესში ჩართული მხარეები არიან: კონკრეტული კლასის მოსწავლე, რომელიც საჭიროებს რემედიაციულ მხარდაჭერას; რემედიატორი მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია.

დოკუმენტის მიხედვით, რემედიაცია მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) მოსწავლეთა სკრინინგი და შედეგების ანალიზი; ტესტირება, ტესტების შემოწმება, მშობელთან შეხვედრა და გეგმის შეთანხმება, ფოკუსირებული ტესტირება და შემოწმება,

ბ) სამიზნე ჯგუფის დიაგნოსტირება და შედეგების ანალიზი;

გ) სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტება;

დ) სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილის გეგმების შედგენა;

ე) სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება;

შერჩეულ მოსწავლეთა მშობელთან და დირექტორთან ერთად რემედიატორი მასწავლებელი ადგენს რემედიაციის გრაფიკს, სკრინინგული და ფოკუსირებული ტესტირებისა და ზეპირი დიაგნოსტიკური ინტერვიუს შედეგების საფუძველზე მასწავლებელი და დირექტორი შეიმუშავებენ სარემედიაციო პროგრამას და ჩასატარებელ სასწავლო აქტივობებს.

პროგრესის მონიტორინტისა და შუალედური შეფასების მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს აკვირდება გაკვეთილის მსვლელობისას და აღრიცხავს თითოეული მოსწავლის წინსვლასა თუ შეფერხებებს სპეციალურად შედგენილი ცხრილის გამოყენებით. ქმნის ინდივიდუალურ პორტფოლიოებს, აქვს კომუნიკაცია მშობლებთან და მოსწავლის ძირითად საგნობრივ მასწავლებლებთან, დირექტორი ესწრება სარემედიაციო გაკვეთილებს და აძლევს უკუკავშირს. რემედიატორი მასწავლებელი ანგარიშვალდებულია დირექციის წინაშე.

ინტერვენციების შედეგების ანალიზი 6-კვირიანი პროგრამის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლის მიერ მიღწეულ პროგრესს სამიზნე უნარებში. რისთვისაც იყენებს პრეტესტსა და პოსტესტსს, მასწავლებელი ამოწმებს ნაშრომებს და ანალიზებს შედეგებს.

ინტერვენციის პროგრამისა და მისი შედეგების ანალიზის შემდეგ ჩატარდება შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც კოლეგა მასწავლებლებს ჯგუფი გაუზიარებს დასკვნებს რემედიაციის პროგრამასთან და შედეგებთან დაკავშირებით. დიაგნოსტიკის ფაზაში ასევე შედის შედეგების ანალიზი, მშობლებთან გასაუბრება სარემედიაციო პროგრამაში ჩართვისთვის ნებართვის მისაღებად და მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნა. დეტალური მონაცემების შეგროვება და სიღრმისეული ანალიზი ასევე აადვილებს რელევანტური მეთოდების/აქტივობების შერჩევას და ეფექტური გაკვეთილების დაგეგმვას.

სარემედიაციო პროგრამა თითოეულ საგანში გაითვალისწინებს 18 გაკვეთილს (გაკვეთილის ხანგრძლივობა 40-45 წთ.), რომელიც ჩატარდება 6 კვირის განმავლობაში (კვირაში 3 გაკვეთილი). გაკვეთილები ჩატარდება არასაგაკვეთილო დროს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

სკოლა მოსწავლეებს გაუწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მათი უფლებების რეალიზების მიზნით. რეგულაციები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში, გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესში. თვითმმართველობის დებულებაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში.

აღსანიშნავია ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოსწავლეთა ისეთი უფლებების გასახორციელებლად, როგორებიცაა: კლუბების შექმნის უფლება. ადმინისტრაცია აქტიურად ითანამშრომლებს მოსწავლეთა თვითთმართველობასთან. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს, მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნობენ მათი უფლებების და მოვალეობების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მზადაა განახორციელოს შინ სწავლების პროცედურები იმ ტიპის მოსწავლეებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის გამო ვერ მოახერხებს სკოლაში გამოცხადებას; ასევე მოსწავლეთა უფლებების რეალიზაციას უკავშირდება ასაკობრივი ექსტერნის გამოცდები, რომლის ჩატარებაც (საჭიროების შემთხვევაში) ადმინისტრაციული მხარდაჭერის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან შეხვედრაზე განიხილავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, მათი განხორციელების მექანიზმებს. მოსწავლეებსა და მშობლებს ექნებათ დროულად ინფორმაცია სემესტრულ შეფასებასთან დაკავშირებით. დისციპლინური გადაცდომის შესახებ ინფორმაციის მიღება, სკოლაში ადმინისტრაციული პროცესები წარიმართება კანონმდებლობის შესაბამისად: გამოიცემა მოსწავლეთა საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადაყვანის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლაში მოსწავლეთა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-12 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი“, ხოლო 2026 წლის 20 აპრილის №2-23 ბრძანებით - სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმების მიხედვით, სკოლა მოსწავლეთა ინიციატივების მხარდასაჭერად სასწავლო წლის ნებისმიერ დროს განახორციელებს განაცხადების მიღებას მოსწავლის/მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფების მხრიდან. დაწესებულება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა

ნებისმიერი ინიციატივის განხორციელებას, მათ შორის ისეთს, რაც მოითხოვს ფინანსურ მხარდაჭერას. ასეთ შემთხვევაში სკოლა წლიურად დააფინანსებს არანაკლებ 3 საუკეთესო ინიციატივას.
მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების მიხედვით, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა შეიმუშავებს და სკოლის დირექციას წარუდგენს მნიშვნელოვან მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით; ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების აქტიურ მუშაობას; მონაწილეობას მიიღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში; შუამდგომლობას დააყენებს სკოლის დირექტორთან გამორჩეული მოსწავლეების წახალისების საკითხთან დაკავშირებით; დაგეგმავს გამოფენებს სკოლის ტერიტორიაზე სკოლის დირექტორთან.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**
ინდიკატორი არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციი გამო.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-12 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-12 ბრძანებით დამტკიცებული რემედიაციის მექანიზმი
- სკოლის შინაგანაწესი
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-12 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი“
- დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-23 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

სკოლას დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-18 ბრძანებით დამტკიცებული აქვს დამრიგებლის დებულება, რომლის მიხედვით, საბაზო საფეხურის დამამთავრებელი კლასებისა და საშუალო საფეხურის დამრიგებლები ვალდებულნი არიან მოსწავლეებს ესაუბრონ პროფესიული ორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით, გააცნონ სიახლეები და მოთხოვნები მათთვის საინტერესო პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების შესახებ.
გარდა ამისა, სკოლას ჰყავს საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და აკადემიურ დაწესებულებებთან ურთიერთობის მენეჯერი, რომლის ფუნქციებია:
ა) საერთაშორისო და ადგილობრივი აკადემიური პარტნიორების მოძიება;
ბ) გაცვლითი პროგრამების ორგანიზება;

გ) საერთაშორისო პროექტებში ჩართვა;
დ) უცხოურ პროგრამებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
ე) ვიზიტების და დელეგაციების კოორდინაცია;
ინტერვიუს დროს, საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და აკადემიურ დაწესებულებებთან ურთიერთობის მენეჯერმა აღნიშნა, რომ იგი მოსწავლეებს დაეხმარება მათი ინტერესებისა და შესაძლებელობების შესაბამისად სხვადასხვა უნივერსიტეტში შესაბამისი პროგრამების მოძიებაში, კონტაქტების დამყარებასა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

სკოლა დამრიგებლებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და აკადემიურ დაწესებულებებთან ურთიერთობის მენეჯერის საშუალებით შესთავაზებს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და გააცნობს მათ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

ინდიკატორი არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-18 ბრძანებით დამტკიცებული დამრიგებლის დებულება
- სკოლის დებულება
- საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და აკადემიურ დაწესებულებებთან ურთიერთობის მენეჯერთან დადებული ხელშეკრულება

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სასკოლო სასწავლო გეგმაში, ინკლუზიური განათლების თავში, გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. მასში აღნიშნულია, რომ სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი თანაბრად ხელმისაწვდომია. ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება
დოკუმენტის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე, რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. დოკუმენტში განსაზღვრულია, თუ ვინ შეიძლება განისაზღვროს სსსმ მოსწავლედ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს

ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება.

სსსმ მოსწავლისთვის სკოლა იღება პასუხისმგებლობას უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციაზე, სასწავლო გარემოს აკომოდაციასა და, საჭიროების შემთხვევაში, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებაზე.

სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ის ჯგუფი მონაწილეობას მიიღებს ისგ-ის შიდა მონიტორინგში და მასალას წარუდგინს სკოლის დირექტორს. ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.

სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს. სსსმ მოსწავლე ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება შესაბამისი ქულით.

სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე შეიძლება სკოლამ დაუშვას შემდეგი გამონაკლისი: ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში; ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება შესაძლებელია:

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მისცემს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლია უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება;
2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლია დაადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი სკოლიის მიერ შერჩეული ფორმატით;
4. შინ სწავლების პროცესში ჩართული იქნება სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში;
5. შინ სწავლების პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინტერნეტი და ვიდეო კონფერენციები

**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სკოლას გაწერილი აქვს სსსმ მოსწავლისათვის მისაწოდებელი სერვისების უზრუნველყოფის მექანიზმები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარებისთვის. თანამშრომლობის თვალსაზრისით სკოლა კლასის მშობლებთან წინასწარ ატარებს შეხვედრებს სსსმ მოსწავლის მიმღებლობის მიზნით. მოსწავლეებისა და მათი მშობლების ჩართულობა ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლის ადაპტაციას გარემოსთან და ისგ დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-17 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა-ინკლუზიური განათლება.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***
**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

არასავალდებულო მომსახურების სახით სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს სასკოლო კვებას შენობაში არსებულ კვების ობიექტში. აღნიშნული გაწერილია მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმაში. ფუნქციონირების დაწყებიდან 1 თვეში სკოლა აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს. ხოლო დაწესებულებაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის N1601881 ბრძანების - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“- მე-7 მუხლის მიხედვით, შეიქმენა კვების ობიექტის შიდა მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

შპს „გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროექტებისა და სახელშეკრულებო ბაზის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულებას დაგეგმილი და შემუშავებული აქვს დამატებითი მომსახურების (კვების) გამართული, სამართლებრივად დარეგულირებული სისტემა, რომელიც სრულად დაეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს.
მოდელის მიხედვით, სერვისი ხელმისაწვდომი იქნება როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პერსონალისთვის, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი გარემოს შექმნას. მშობელთა წინასწარი ინფორმირება და ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, ხოლო დაგეგმილი უკუკავშირის მექანიზმები საშუალებას მისცემს სკოლას, მაქსიმალურად გაითვალისწინოს ინდივიდუალური საჭიროებები.
**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

**3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

ინდიკატორი არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება**

**I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**საბაზო საფეხური** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**საშუალო საფეხური** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. მასში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავების ეტაპი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, ხოლო მისი განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი

ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა და შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის განვითარების მეთოლოგიის მიხედვით, სკოლის მუშაობის ერთ-ერთი პრინციპი სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან სხვადასხვა ფორმით კომუნიკაციაა, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ კურიკულუმში აისახოს მათი ინტერესები საგნობრივი პროგრამების დაგეგმვის/შემუშავების დროს. კურიკულუმები სკოლის მასწავლებელთა და დირექციის თანამშრომლობის პროდუქტია. მასში ასახულია სკოლის მასწავლებლებისა და სკოლის დირექციის/ადმინისტრაციის ინტერესები. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს, არ ჰყავს მოსწავლეები და მათი მშობლები, კურიკულუმებში ვერ აისახებოდა მათი ინტერსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე, კათედრების ხელმძღვანელების, მასწავლებლების, დირექციის ჩართულობით. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს, არ ჰყავს მოსწავლეები და მათი მშობლები, ისინი, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე: https://gmus.edu.ge, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა დაინტერესებული პირი გაეცნოს მას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-10 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისი დანართებით- კურიკულუმები

### 2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი, მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებები (დაწყებით საფეხურზე: „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია - საბაზო და საშუალო საფეხურებზე) და მათში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები ძირითადად არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სკოლას შემუშავებული აქვს პირველი უცხოური ენის (I-XII კლასების) და მეორე უცხოური ენის (გერმანული/ფრანგული ენები) (V-XII კლასების) სამივე საფეხურის კურიკულუმები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). კათედრებზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ დაგეგმილ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. უცხოური ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეები, კონტექსტმაგალითები, რესურსები, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს განხორციელების გამოცდილებაზე. სწორი აქცენტები გააკეთეს შემოქმედებითი ტიპის დავალების, როგორც შუალედური მიზნის, მნიშვნელობაზე და ასევე გრძელვადიანი მიზანზე გასვლის საშუალებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნება შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. დოკუმენტში ასახულია მოსწავლეებისთვის აქტუალური და საინტერესო თემები, აქტივობები და რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ კათედრის პედაგოგებს მკაფიო მზაობა აქვთ, დაგეგმონ და |

| | |
|---|---|
| | განახორციელონ მოსწავლეზე მორგებული სწავლება. ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელობას, რომელიც ხელს უწყობს მოქნილ, კომპეტენციებზე დაფუძნებულ და შემოქმედებით მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი არის „ცოცხალი დოკუმენტი“, რომელსაც მუდმივად სჭირდება გადახედვა და განახლება. მათ გამოხატეს მზადყოფნა, მომავალშიც განავითარონ და დახვეწონ კურიკულუმები, რათა ის კიდევ უფრო მეტად პასუხობდეს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.<br>განსაკუთრებით აღსანიშნავია არაფორმალური სწავლების მიმართულებით დაგეგმილი პროექტები - „მცირე პროზა“ (მსოფლიო ლიტერატურა მოთხრობებში), სასკოლო ჰუმანიტარული განათლების პროექტი „ფილმი“ და პიროვნების განვითარების სტრატეგიული თემატური ხედვა საფეხურებისა და კლასების მიხედვით. აღნიშნული აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, თვითგამოხატვისა და ანალიტიკური უნარების განვითარებას სამივე საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დავალებების დაგეგმვისას გაითვალისწინეს მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და თავისებურებები. სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია. გათვალისწინებულია სტანდარტის შედეგები და სამიზნე ცნებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნათა შესაბამისად. მათემატიკის საგნის მასწავლებლებმა წარმოადგინეს ყველა კლასის კურიკულუმი, რომელთა რეალიზება და დანერგვაც მოხდება სასწავლო პროცესში. როგორც გასაუბრებაზე აღინიშნა, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, მიმდინარე წლის სექტემბრამდე, დოკუმენტებში განხორციელდება გარკვეული სახის კორექტირება და შინაარსობრივი დაზუსტება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის ყველა კლასისათვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომლებიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და, შესაბამისად, მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდატებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, |

| | |
|---|---|
| | მე-5, მე-6 კლასები) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების იდეები შემოქმედებითი ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განსახორციელებელი სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვთ მზაობა, სწორად დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილი და შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განვითარებას. კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ისინი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

**2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, გათვალისწინებულია ისეთი შემოქმედებითი დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა და სხვ.), რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**<br>**რჩევა:**<br>სასურველია **საბაზო და საშუალო საფეხურებზე** კურიკულუმებში დეტალურად ჩანდეს, თუ რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით დამუშავდება;· მნიშვნელოვანია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს;<br>სასურველია, **დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომელიც რეალურად განხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში; მაგალითად: დაწყებითი საფეხურის მე-3 კლასში 6 შემოქმედებითი პროდუქტია. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება გამორჩენილია და მისაღწევი შედეგი არ იკითხება კონკრეტულ ცნებასთან შესაბამისობაში. ასევე გადასახედია და შესაბამისობაშია მოსაყვანი სავალდებულო თემები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა:**<br>● დაწყებითი საფეხური: საგანი „მე და საზოგადოება” III_IV კლასში თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br>● საგან „ჩვენი საქართველოს” ფარგლებში V-VI კლასის სავალდებულო თემები გადიხედოს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. არსებულ კურიკულუმში ჩაემატოს შემოქმედებითი დავალებების იდეები. კურიკულუმში წარმოდგენილ სვეტს „მოსწავლეთა პერფომანსს” მიეცეს შესაბამისი განმარტება, მასში არსებული აქტივობების შინაარსი ვერ ანაცვლებს შემოქმედებითი დავალების იდეას.<br>● მოცემული საგნების (გეოგრაფიის VII VIII IX X, ისტორიის VII VIII IX X XI XII, საქართველოს იტორიის X XI XII, სამოქალაქო განათლების VII,X ) კურიკულუმებში ჩასწორედეს ცნებები და მასში მისაღწევი შედეგები მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br>● მოცემული საგნების (გეოგრაფიის IX X, ისტორიის VII VIII IX XI XII, საქართველოს იტორიის XII, სამოქალაქო განათლების VII,VIII IX X ) კურიკულუმებში სავალდებულო თემები უნდა ჩასწორდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br>● სასურველია, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება<br>● ·კათედრაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემუშავდეს ერთი ფორმა კურიკულუმის, რომელიც მარტივად წასაკითხი, აღსაქმელი და დასანერგი იქნება სამუშაო პროცესში. აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები(ცნებები) და შესაბამისი შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეა/პირობა. |
| უცხოური ენები | შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი შემოქმედებითი დავალებებით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი მიზნები და ამოცანები შეესაბამება ესგ-ის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებს. ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში. კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე დაყრდნობით. ყველა დავალება დაფუძნებულია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ლექსიკური და გრამატიკული მასალის ფუნქციურად გამოყენებაზე. კურიკულუმები იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/სწავლის შედეგების |

| | |
|---|---|
| | გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე. კურიკულუმებში განსაზღვრული სამიზნე ცნებები და სწავლის შედეგები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ახალი ცოდნა და უნარები საკუთარი გამოცდილების საფუძველზე აითვისონ, გააანალიზონ და განმარტონ.<br>მასწავლებლების შეფასებით, „კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტზე მუშაობა ცოცხალი პროცესია“, რომელიც საჭიროებს მუდმივ ანალიზს, შეფასებასა და გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის უწყვეტ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა:**<br>სასურველია, V-VI კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმebის ჩარჩოებში არსებული სამიზნე ცნებების დასახელებები შესაბამისობაში მოვიდეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის სტანდარტთან.<br>სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმებისთვის სამივე საფეხურზე შემუშავდეს ერთიანი ჩარჩო დოკუმენტი. |
| სახელმწიფო ენა | საგნობრივი კურიკულუმები, ისევე როგორც მათში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები, ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. დავალებები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. დასამუშავებელი საკითხები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც აკავშირებინებს მას ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სამივე საფეხურზე **მათემატიკის კათედრის** წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე. მასში გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: მათემატიკური მოდელის შექმნა, კვლევითი/პრაქტიკული პროექტები, მონაცემთა ანალიზი და სხვ.), რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს ლოგიკური მსჯელობა-დასაბუთების, აბსტრაქტული და სივრცითი აზროვნების, პრობლემის (ამოცანის) გადაჭრისა და რეალურ კონტექსტში მათემატიკის გამოყენების უნარებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებთან დაკავშირებით:** |

| | |
|---|---|
| | **რეალისტური დაგეგმვა:** სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში (მაგალითად: დაწყებითი საფეხურის კონკრეტულ კლასში განსაზღვრული იყოს მათემატიკური კომპლექსური დავალებების ოპტიმალური რაოდენობა).<br>• **ცნებების სრული დაფარვა:** სასწავლო თემების ფარგლებში, მაქსიმალურად მოხდეს შესაბამისი სამიზნე ცნებების დამუშავება, რათა უზრუნველყოფილ იქნას გრძელვადიან პერიოდზე საგნობრივი საკითხებთან მიმართებით ეფექტური ხედვა.<br>• თითოეულ მათემატიკურ სამიზნე ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები და ქვეცნებები. |
| სპორტი | წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში, პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზნის მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასებები) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. შემოქმედებითი ბუნების დავალების იდეებში ჩანს, რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**<br>**რჩევა:**<br>მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები.<br>**რჩევა:**<br>სასურველია, ქართული ენის საგნობრივი კურიკულუმებისთვის შემუშავდეს ერთიანი ჩარჩო (მე-3 კლასის კურიკულუმი განსხვავებულია), თემაში აისახოს ყველა სამიზნე ცნება. შემოქმედებითი დავალების პირობა და კრიტერიუმები შესაბამისობაში იყოს, კრიტერიუმები - მკაფიო, ადვილად აღქმადი.<br>სასურველია, „მე და საზოგადოების“ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები ჩასწორდეს 2023 წლის ესგ-ის სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

**3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმით გათვალისწინებული და დაგეგმილი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლა ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად იყენებს ელექტრონულ რესურსებს: www.ck12.edu.ge, ტელესკოლის, ან სხვა ელექტრონულ რესურსებს. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. ასევე, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის სრულყოფილად აღჭურვილი ლაბორატორიები უსაფრთხოების წესების დაცვით, ყველა სტანდარტის შესაბამისობაშია (რაც ჩანს გადაღებულ ფოტომასალაში). აღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა:**<br>სასურველია, ბიოლოგიის მე-10 და მე-11 კლასებში სასწავლო რესურსებში არის კონკრეტულად მითითებული მასალა ბმულების სახით. უნდა გამოიყენოთ ელექტრონული რესურსი, რასაც დამატებით იყენებთ სასწავლო პროცესში შესაბამისი ბმულების მითითებით, რომელიც იხსნება |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | პირველი და მეორე უცხოური ენების ძირითად სასწავლო რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელოები. გარდა ამისა, უცხოური ენების მასწავლებლები გეგმავენ გამოიყენონ როგორც მატერიალური, ისე ციფრული რესურსები. ამას ადასტურებს კურიკულუმების ჩარჩოში არსებული ვიდეო თუ აუდიო მასალა. აღნიშნული ძირითადი და დამატებითი რესურსები უზრუნველყოფენ თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების სიღრმისეულ გააზრებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები ასევე თავად ქმნიან საინტერესო სასწავლო რესურსებს. პედაგოგებმა მზაობა გამოთქვეს, ხშირად გამოიყენონ გაკვეთილებზე ონლაინპლატფორმები, ასევე ინტერაქციული მასალები, საგანმანათლებლო პორტალები, რომლებიც გრამატიკის, ლექსიკისა და სასაუბრო უნარების გაუმჯობესებაში დაეხმარება მოსწავლეებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო, ვიზუალური, აუდიო და პრაქტიკული რესურსები - სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას. შერჩეული მასალები ადეკვატურად შეესაბამება საგნობრივ მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და ქმნის პირობებს, რომ მოსწავლეებმა ეფექტურად გამოიყენონ კურიკულუმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | ძირითად სასწავლო რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელოები. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის მასწავლებლები გეგმავენ გამოიყენონ როგორც მატერიალური, ისე ციფრული რესურსები. ეს თავად აღნიშნეს საუბრისას. ძირითადი და დამატებითი რესურსები უზრუნველყოფენ თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების სიღრმისეულ გააზრებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ, ხშირად გამოიყენონ გაკვეთილებზე ონლაინპლატფორმები, ასევე ინტერაქციული მასალები, საგანმანათლებლო პორტალები, რომლებიც სხვადასხვა უნარის გაუმჯობესებაში დაეხმარება მოსწავლეებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>გათვალისწინებული რესურსები — მათ შორის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ციფრული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები (მაგ: GeoGebra, ვირტუალური ლაბორატორიები), თვალსაჩინოებები (გეომეტრიული მოდელები, სქემები) და პრაქტიკული/საძიებო ამოცანების კრებულები — უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | ვიზიტის დროს გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგს აქვს გამოცდილება სკოლაში მუშაობის. შესაბამისად, მისი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლეთა განსხვავებულ ხედვებზე, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიებაზე. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები გაკეთდება ისეთი რესურსების გამოყენებასა და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული იქნებიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე- დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმების ბმულები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე გაეცნობა სასწავლო საკითხს და შეძლებს მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br><br>**რჩევა:** სასურველია, ყველა საგნობრივი მიმართულებით, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები. |

4.**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მოცემულ ეტაპზე სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სკოლას აქვს მზაობა სსსმ, ინკლუზიური, დიფერენცირებული მიდგომების განსახორციელებლად. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა:**<br>სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურებზე კურიკულუმებში შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის დროს გაითვალისწინონ საგანთა შორის ინტეგრირება, რაც უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს გახდის შემოქმედებით პროდუქტს |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. მასწავლებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში ისინი საჭიროებისამებრ გამოიყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს: დავალებების სირთულის დონის მორგებას, დავალების |

| | |
|---|---|
| | პირობების ადაპტირებასა და რესურსების შერჩევას თითოეული მოსწავლის უნარებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.<br>შემოქმედებითი ტიპის დავალებების შერჩევისას, მაქსიმალურად გაითვალისწინებენ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმის გათვალისწინებით, რომ იყოს ინკლუზიური და ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. იგეგმება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეთა სურვილებისა და მზაობის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები იყოს გათვალისწინებული შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, შესაბამის აქტივობებში **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში ნათლად ჩანს შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ხასიათი, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მრავალფეროვანი და მათთვის ეფექტური გზებით გამოხატონ.<br><br>მასწავლებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში ისინი საჭიროებისამებრ გამოიყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს: დავალებების სირთულის დონის მორგებას, დავალების პირობების ადაპტირებასა და რესურსების შერჩევას თითოეული მოსწავლის უნარებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.<br>ასეთი მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს გააზრებულ სწავლებას - მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ, რატომ სწავლობენ და როგორ გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში.<br>განსაკუთრებით აღსანიშნავია არაფორმალური სწავლების მიმართულებით დაგეგმილი პროექტები - „მცირე პროზა“, სასკოლო ჰუმანიტარული განათლების პროექტი „ფილმი“ და პიროვნების განვითარების სტრატეგიული თემატური ხედვა, რომლებიც ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლას აქვს მზაობა სსსმ, ინკლუზიური, დიფერენცირებული მიდგომების განსახორციელებლად. განსხვავებული შინაარსის შემოქმედებითი დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, მოსწავლეებისთვის შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა შემოქმედებითი |

| | |
|---|---|
| | პროდუქტის შექმნა სწორედ დიფერენცირებულ მიდგომებს ითვალისწინებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის კურიკულუმში დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების რეალიზებას უზრუნველყოფს:<br>● **მრავალდონიანი კომპლექსური დავალებები და ამოცანები**, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული მათემატიკური მზაობა (სირთულის საფეხურები, ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციები და სხვადასხვა ტიპის მინიშნებები სსსმ და სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის);<br>● **მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები**, რაც მოიცავს როგორც აბსტრაქტულ, ისე თვალსაჩინო/ვიზუალური გზებით მათემატიკური ცნებების ახსნასა და მოდელირებას;<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | სკოლას აქვს მზაობა სამივე საფეხურზე უზრუნველყოს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგს აქვს მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მათ საჭიროებებზე მორგებისა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრებით მოყვანილ იქნა კონკრეტულად სასწავლო პროცესში როგორ ხდება მოსწავლეთა ინდივიდალური საჭიროებების გათვალისწინება, დიფემნცირება საგაკვეთილო პროცესში, იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**<br>**რჩევა:**<br>სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპიური განვითარების მოსწავლეებისთვის, (რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას აქვს მზაობა, სწავლების პროცესში განახორციელოს ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები. ვიზიტის დროს წარმოადგინეს დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები. გატვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, გაწერილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. წარმოდგენილია ადაპტირებული დავალებები.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

**5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლამ დოკუმენტაციის სახით წარადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. პროექტის შეფასების რუბრიკები. საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის შეფასების რუბრიკა, წყვილებში მუშაობის შეფასების რუბრიკა. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების სქემა. ლაბორატორიული სამუშაოს შეფასების რუბრიკები. სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა:**<br>● სასურველია სამივე საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.<br>● ასევე, კურიკულუმს თან უნდა ახლდეს შესაბამისი შემოქმედებითი პროდუქტის/პროდუქტების შეფასების რუბრიკა, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. საბაზო და საშუალო საფეხურზე დაკონკრეტდეს შეფასების რუბრიკები და არ იყოს ზოგადი სახით წარმოდგენილი |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით,სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს, როგორც მასწავლებელს, დაინახოს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს, რომ დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. რაც შეეხება სადიაგნოსტიკო წერებს, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, მოიაზრებენ ჩატარებას წელიწადში სამჯერ, პირველი სემესტრის დასაწყისში პირველი სემესტრის ბოლოსა და მეორე სემესტრის ბოლოს.<br>დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კლასების ფარგლებში წარმოდგენილია რუბრიკები სოლო ტაქსონომიის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია შეფასებაში ჩანდეს ცნებებში მსიაღწევი შედეგები რომელსაც შემოქმედებითი პროდუქტი ამუშავებს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა:** სამივე საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, საგნების მიხედვით აწყობილი იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. |
| უცხოური ენები | შეფასება მიმართულია მოსწავლის უნარებისა და ცოდნის განვითარებაზე. სამივე საფეხურზე მოქმედებს განმავითარებელი და სამკომპონენტიანი განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები ფასდებიან წინასწარ შემუშავებული რუბრიკებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს სამივე საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც ადასტურებს, რომ მათ გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შეფასების სისტემის დაგეგმვის მნიშვნელობა. წარმოდგენილი მასალები ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს და ორიენტირებულია მოსწავლეთა პროგრესის მხარდაჭერაზე.<br>ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოთქვეს მზადყოფნა, შეფასების ინსტრუმენტები სასწავლო პროცესში ეტაპობრივად დანერგონ და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე კიდევ უფრო დახვეწონ.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლეთა უნარებისა და ცოდნის განვითარებაზე. სამივე საფეხურზე მოქმედებს განმავითარებელი და სამკომპონენტიანი განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. საუბრისას აღინიშნა და დოკუმენტურადაც დასტურდება, რომ მოსწავლეები წინასწარ შემუშავებული რუბრიკებით შეფასდებიან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის მათემატიკური უნარებისა და ცოდნის ეტაპობრივ განვითარებაზე. სამივე საფეხურზე მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც მეტ ნაკლებად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. **მათემატიკის კათედრის** მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კომპლექსური დავალებების შეფასებისას გამოიყენება წინასწარ შემუშავებული SOLO ტაქსონომია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** სასურველია შემუშავდეს მათემატიკის გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე (მაგ: *მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა*) ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.<br>მნიშვნელოვანია, რომ შეფასების ინდიკატორები დეტალურად დამუშავდეს თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში და ასახავდეს, თუ როგორ ავლენს მოსწავლე მათემატიკურ მსჯელობას, მოდელირებასა და პრობლემის გადაჭრის უნარს კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. |
| სპორტი | სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ანმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და |

| | |
|---|---|
| | შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა**: სასურველია, კათედრამ ცალკე შეიმუშაოს ტექნოლოგიების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასება სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის (პროგრამირება, ციკლის ცნება). ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა.<br>ასევე, გასათვალისწინებულია, თუ რას ამოწმებს დავალება და შემუშავდეს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ძირითადად შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა, მეტწილად წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები SOLO ტაქსონომიის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br><br>**რჩევა**: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმებში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით. |

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრლი შეფასების რუბრიკები

**შეფასება:**

| | | |
|---|---|---|
| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |

| | | |
|---|---|---|
| ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიმართულებასა და დახვეწაზე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწევთ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ეს შეიძლება იყოს ცვლილებები კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობებთან, შინაარსთან, დავალების პირობის გამარტივებასა და დაზუსტებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. შემოქმედებითი ტიპის დავალებები არის მრავალფეროვანი და ისინი მიმართულია როგორც ზეპირი, ასევე წერითი უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღწერეს დაგეგმილი სასწავლო აქტივობები და შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც მიზანმიმართულად უკავშირდება კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებსა და მიზნებს. წარმოდგენილი მასალები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ორიენტირებულია მოსწავლეთა აქტიურ და მრავალმხრივ ჩართულობაზე, შესაბამისად, სწავლა-სწავლების პროცესი დაეყრდნობა შემუშავებულ კურიკულუმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | დაგეგმილი სასწავლო პროცესი (აქტივობებისა და შემოქმედებითი დავალებების ჩათვლით) მიზანმიმართულად უკავშირდება კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებსა და მიზნებს. წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს და საუბრისასაც აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ორიენტირებულია მოსწავლეთა აქტიურ და მრავალმხრივ ჩართულობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტაცია (მათემატიკის კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების ბარათები) გვაძლევს იმის დასკვნის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და სამართლებრივად თუ შინაარსობრივად ხორციელდება უშუალოდ მათემატიკის სასკოლო კურიკულუმის დოკუმენტის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები, სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალი არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმების შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს მზაობა, გააკეთოს მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით, დაგეგმილია კურიკულუმებში გაწერილი საკითხები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ. |

**2.სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშნელოვანია, სასწავლო პროცესში გამოვლენილ საჭიროებებზე მოქნილი და დროული რეაგირება. სასწავლო-საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული თემატური საკითხების გასაუმჯობესებლად დაიგეგმება და განხორციელდება სხვადასხვა აქტივობა როგორც შემოქმედებითი, ასევე სხვადასხვა უნარის განსავითარებელი. გადაწყვეტილებები მიიღება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, მასწავლებელთა დაკვირვების, მშობელთა უკუკავშირისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა განახორციელებს მეთოდებისა და სტრატეგიების შეცვლას, დაიგეგმება დამატებითი მხარდაჭერები და ინდივიდუალური მიდგომები მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების დროს სკოლა სრულად გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ შემუშავებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაცია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. შეფასებას სკოლა სამი კომპონენტით განახორციელებს: საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა გაანალიზოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა:**<br>საბაზო და საშუალო საფეხურებზე სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. შემუშავდეს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ გამოიყენებენ GOOGLE FORMს და მასში ღია და გამჭირვალედ ჩააშენებენ შეფასებას. ასევე აღნიშნეს შეფასების გამჭრვალობა რუბრიკების დახმარებით თუ როგორ იქნება გამჭირვალე მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**<br>**რჩევა:** საბაზო და საშუალო საფეხურებზე სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. |
| უცხოური ენები | სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვალიდურობაზე, გამჭვირვალობაზე, სანდოობასა და ობიექტურობაზე. უცხოური ენების კათედრის წევრებს დაგეგმილი აქვთ გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პედაგოგები გეგმავენ მოსწავლეებს კარგად გააცნონ წარმოდგენილი განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც მოიცავს შემაჯამებელი დავალებების ვერიფიკაციას, ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. შეფასება დაგეგმილია სამი კომპონენტის მიხედვით: საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებები.<br>ესთეტიკის კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს დაგეგმილი აქტივობებისა და მიღწეული შედეგების ანალიზისა და შეფასების მნიშვნელობა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობასა და ობიექტურობას. დაგეგმილია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება, რომელთა შესახებაც მოსწავლეების ინფორმირებას წინასწარ გეგმავენ.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის გადმოგზავნილი შეფასების სისტემა მეტწილად პასუხობს **ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის** პრინციპებს, ვინაიდან იგი ძირითადად მიემართება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ხოლო კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ეცნობებათ მოსწავლეებს, რაც ხელს უწყობს სუბიექტურობის შემცირებას და სასწავლო პროცესში მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | შეფასებების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. ისინი იძლევა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასებების საფუძველს. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, შექმნან ერთიანი შეფასებების სისტემა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**<br>**რჩევა**: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმებში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით. |

**4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტის თანახმად, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. დოკუმენტი მოიცავს: ვერიფიკაციის პროცესის მიზანს; ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის ჯგუფი თავის საქმიანობას წარმართავს სასწავლო წლის დასაწყისში შედგენილი ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად. სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს ვერიფიკაციის ჯგუფი შეიმუშავებს დასკვნას განხორციელებული საქმიანობის შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირება შედის ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სასკოლო რეგულაციის მიხედვით, მოსწავლის განმსაზღვრელ თუ განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს: საშინაო, საკლასო, შემაჯამებელ და შემოქმედებით დავალებებს, კომენტარებითა და შეფასებებით, ექსტერნატის გამოცდის შედეგებს, ასევე დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, როგორც მატერიალური ან/და ელექტრონული სახით, სკოლა შეინახავს არანაკლებ 3 წლის ვადით, არქივში. პირადი საქმეები შეინახება მატერიალური სახით, კონფიდენციალობის დაცვით. სკოლის ელექტრონული ჟურნალის მონაცემები ინახება 3 წელზე მეტი ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №2-10 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.<br>სკოლა კურიკულუმით განსაზღვრული რესურსების სახით იყენებს სახელმძღვანელოს, ელ. რესურსებს, ასევე, სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები. **ინდიკატორის მოთხონები დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხონები დაკმაყოფილებულია**<br>**რჩევა:**<br>• ჩვენი საქართველოს V-VI კლასების კურიკულუმებში მიეთითოს ძირითადი რესურსის გრიფირებული სახელმძღვანელოს დასახელება.<br>○ კურიკულუმის სტრუქტურაში სასურველი სრულყოფილად იკითხებოდეს ძირითადი სახელმძღვანელოს სრული დასახელებ.ა გამომცემლობა, ავტორები და შესაბამისობაში იყოს იმ რესურსებთან, რომლებიც მუშავდება. |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში ჩანს, რომ პედაგოგებს სტანდარტით გათვალისწინებულ თემებთან მიმართებით აქვთ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც საშუალებას იძლევა თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები უკეთ და სიღრმიოსეულად იყოს აღქმული |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეების მიერ. სასწავლო რესურსები რელევანტურია ყველა ასაკობრივი ჯგუფისა და თემატური ბლოკისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულიმში ჩაშენებულია სასწავლო რესურსები, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს ასევე დამატებით რესურსების სახით, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმებში იკვეთება და განსაკუთრებით მკაფიოდ საუბრისას აღინიშნა, რომ სკოლაში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება, რის საშუალებასაც იძლევა სკოლის ინფრასტრუქტურა და პედაგოგთა კვალიფიკაცია. ისინი გეგმავენ, გამოიყენონ როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე მასალა, სტანდარტისა და სასწავლო თემების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ კურიკულუმში ძირითად სასწავლო რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**<br>**რჩევა: დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურებზე** სასწავლო პროცესის კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვისთვის, სასურველია დამხმარე რესურსებთან (მაგ: დამატებითი სავარჯიშოების კრებულები, ციფრული პლატფორმები, ვიზუალური მასალები) მიმართებით კათედრამ შეიქმნას ერთიანი, მოქნილი მექანიზმი. ეს მექანიზმი საშუალებას მისცემს პედაგოგს, კათედრასთან შეთანხმებითა და სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეარჩიოს და სასწავლო პრაქტიკაში გამოიყენოს მრავალფეროვანი დამხმარე მასალები. |
| სპორტი | სამივე საფეხურზე კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად - სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასები) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმით განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა:** სასურველია, საგნობრივი კურიკულუმები გამდიდრდეს მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსებით. |

2.**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მოცემულ ეტაპზე სკოლას აქვს დამხმარე ელექტრონული რესურსების ვალიდაციის მექანიზმი. დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს მოიაზრებს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენის კათედრა დამხმარე რესურსების შერჩევისას ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებითა და საგნობრივი სტანდარტებით, რაც უზრუნველყოფს შერჩეული მასალების შესაბამისობას სასწავლო შედეგებთან. რესურსების შერჩევის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი და კოგნიტური თავისებურებები, რათა გამოყენებული მასალა იყოს მათთვის ადეკვატური, გასაგები და ეფექტიანი. ციფრული და აუდიო რესურსების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის სანდოობასა და სიზუსტეს, ასევე წყაროს საიმედოობას.<br>დამხმარე რესურსები წინასწარ მოწმდება ხარისხის, სანდოობისა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის კრიტერიუმების მიხედვით, რათა მათი გამოყენება ეფექტიანად უწყობდეს ხელს მოსწავლეთა ენობრივი და ზოგადი კომპეტენციების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ მასწავლებლები ყურადღებით იკვლევენ დამხმარე სასწავლო მასალებს და არჩევენ მხოლოდ მიზნობრივ და ეფექტურ რესურსებს. ვალიდაციის |

| | |
|---|---|
| | პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესურსების შესაბამისობას კურიკულუმთან, სასწავლო მიზნებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების მიზანმიმართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლა დამხმარე რესურსების შერჩევისას ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებითა და საგნობრივი სტანდარტებით, ასევე ითვალისწინებს თემების საჭიროებას. რესურსების შერჩევის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, რათა შერჩეული მასალა იყოს მათთვის ადეკვატური, ეფექტიანი. ციფრული და აუდიო რესურსების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის სანდოობასა და სიზუსტეს, სრულადაა გათვალისწინებული თანამედროვე მიდგომები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლაში განსაზღვრულია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი. პედაგოგების მიერ შერჩეული დამატებითი მასალები გადის განხილვას საგნობრივ კათედრაზე, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას კურიკულუმის მიზნებთან და სასწავლო პროცესში მიზანმიმართულ გამოყენებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასები) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რაც შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | ვალიდაციის პროცესში, დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა შეთანხმებულად, დაწყებითი კლასების კათედრაზე.<br>სკოლას აქვს მზაობა, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით განაახლოს რესურსები, მათ შორის - ადაპტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |

**3.კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | ძირითადი და დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორი, ელექტრონული რესურსები. მიმდინარე ეტაპზე სკოლაში დამონტაჟებულია სრულყოფილად აღჭურვილი საბუნებიმეტყველო ლაბორატორიები.<br>საბაზო და საშუალო საფეხურებზე ექსპერიმენტული ნაწილი მნიშვნელოვანია სრულყოფილი სასწავლო რეჟიმის განხორციელებისა და კურიკულუმით განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად. აღჭურვილი ლაბორატორია ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესის გაზრდას და შემოქმედებითი პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. არსებული რესურსები ერგება მოსწავლეთა მაქსიმალურად დასაშვებ რაოდენობას, რათა სასწავლო პროცესის ხარისხი არ დაზარალდეს და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სკოლა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყოს შესაბამისი მატერიალური რესურსების მეშვეობით. არსებული რესურსები ადეკვატურად ერგება მოსწავლეთა მაქსიმალურად დასაშვებ რაოდენობას, რათა სასწავლო პროცესის ხარისხი არ დაზარალდეს და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | დოკუმენტაციისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სწავლების ეფექტიანობას ხელს შეუწყობს შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური ბაზა. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იქნება კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში. აღნიშნული გარემო ხელს შეუწყობს როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სასწავლო მიზნების სრულფასოვნად მისაღწევად სკოლა გეგმავს, გამოიყენოს შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური ბაზა. არსებული რესურსები სრულად ერგება მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლა გეგმავს ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო განვითარებას. ეს უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის პირობებშიც, მატერიალური რესურსი სრულად პასუხობდეს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | გასაუბრების დროს მასწავლებლმა აღნიშნა, რომ ყველა მოსწავლე დატვირთული იქნება მრავალფეროვანი აქტივობებით, საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს კოლეგებს და მათგან მიღებულ რჩევებს გაითვალისწინებს სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | შესყიდვის დოკუმენტაციით ვლინდება, რომ სკოლამ შეიძინა სწავლა-სწავლების პროცესისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა, ასევე როგორ ადგილზე დათვალიერებით, ფოტომასალით დგინდება, რომ კომპიუტერული ლაბორატორიებისთვის გამოყოფილია სამი საკლასო ოთახი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა:<br>სკოლამ შეიმუშაოს ციფრული განვითარების გეგმა, რათა უკეთ განისაზღვროს ტექნოლოგის გამოყენების ხედვა სკოლის მასშტაბით, სასწავლო პროცესში ინტეგრირებული ციფრული რესურსის გამოყენებისთვის. ასვე შემუშავდეს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები და განრიგი სხვა საგნებისთვის. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ძირითადად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |

**4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას კონკურსის წესით სრულად ჰყავს აყვანილი კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი.

დასკვნის პროექტის ეტაპზე იდენტიფიცირებული გარემოება, რომ მასწავლებელთა შერჩევის პროცესი დასრულებული არ იყო და ვაკანსიები რჩებოდა კომპიუტერული ტექნოლოგიების, სპორტისა და დაწყებითი კლასების მასწავლებლის პოზიციებზე, სრულად აღმოფხვრილია.
დაწესებულებამ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები (შრომითი ხელშეკრულებები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები), რომლებითაც დასტურდება, რომ დასახელებულ ვაკანსიებზე კონკურსის წესით უკვე აყვანილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები. შესაბამისად, ადამიანური რესურსის მობილიზების პროცესი სასწავლო წლის დაწყებამდე სრულფასოვნად დასრულდა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- საგნობრივი კურიკულუმები
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

**შეფასება:**

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმების შეფასების პროცესზე. მათ აღნიშნეს, რომ სკოლაში საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია აღნიშნული პროცესი და აღნიშნულია, რომ მონიტორინგი/ შეფასება პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის პროცესს დაემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები დააკვირდებიან დანერგვის პროცესს: შეაგროვებენ მონაცემებს; გააანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. ამ გამოცდილების საფუძველზე სასწავლო წლის დასრულებისთანავე დაიწყებენ მუშაობას მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის განვითარების მეთოლოდიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება პირდაპირ განსაზღვრავს პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებს. როგორც აღინიშნა, მთელი წლის განმავლობაში მასწავლებლები დააკვირდებიან დანერგვის პროცესს, შეაგროვებენ მონაცემებს და გააანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე. ამ ანალიზის საფუძველზე ისინი განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას პრობლემების გადასაჭრელად. სკოლის დირექცია კი უხელმძღვანელებს სამუშაო შეხვედრებს. კათედრის ხელმძღვანელებთან შეხვედრებზე განიხილავენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მასწავლებლები ითანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით დაადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი საკითხები დაექვემდებარება ანალიზს, რომლის საფუძველზე გახორციელდება და შეფასდება პრობლემის გადაჭრის შესაბამისი ღონისძიებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მშობლებთან, მოსწავლეებთან, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას, ჩაერთონ კურიკულუმის განვითარების პროცესში. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია დაეხმარება სკოლას, მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც დაეფუძნება სასწავლო პროცესის საჭიროებებს. ეს პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის ყოველწლიურ განახლებას და დასამტკიცებლად მომზადებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და დირექციამ აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება დაეფუძნება მოსწავლეთა შედეგების ანალიზს. მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის - ტესტები, პროექტები, პრაქტიკულ საქმიანობები, პრეზენტაციები - საფუძველზე შეფასდება

მოსწავლეთა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, ხოლო მიღებული შედეგები გამოიყენება სწავლის პროცესის გასავითარებლად და სასწავლო მიზნების მიღწევის ეფექტიანობისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ფოკუსირებული იქნება მოსწავლეთა მიღწევების შედეგებზე, საგაკვეთილო პროცესის შეფასებაზე, სასწავლო პროცესის დაგეგმვის ხარისხზე, სასკოლო გარემოზე, სასკოლო საზოგადოების — მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა — გამოკითხვებზე. ამგვარი ინფორმაცია სკოლას საშუალებას მისცემს უფრო სრულყოფილი და ობიექტური შეფასების, რაც ერთმნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება შეფასების შემდეგი მეთოდები: მოსწავლეთა მიღწევების შედეგები, საგაკვეთილო პროცესის ანალიზი ფოკუსჯგუფები და ინტერვიუები, რათა პროცესის მონიტორინგისათვის გამოყენებულ იქნეს სანდო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასება მოსწავლეთა შედეგების ანალიზით ხდება, რომელიც აჩვენებს რამდენად აკმაყოფილებენ სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო საგაკვეთილო პროცესი ფასდება უშუალოდ გაკვეთილზე დასწრებით, ურთიერთშეფასებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

**შეფასება:**

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | | |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარების მეთოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია და ექსპერტებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა სკოლის პოზიცია, რომ კურიკულუმების შექმნა, დახვეწა, შეფასება, განვითარება მუდმივია პროცესია. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები გაანალიზებენ კურიკულუმიმს დანერგვის პროცესს: შეაგროვებენ მონაცემებს, გაანალიზებენ კათედრის ფარგლებში, პრობლემის გადასაჭრელად ერთობლივად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას, მიღებული გამოცდილების საფუძველზე კი, სასწავლო წლის დასრულებისთანავე, დაიწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ინტერიუს დროს სხვადასხვა კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ ახალი კურიკულუმის შედგენა-შემუშავებისას ისინი დაეყრდნობიან და გაითვალისწინებენ გასული სასწავლო წლის კურიკულუმის შედეგებს, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგებსა და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კურიკულუმის განვითარების მეთოლოგია

**შეფასება:**

| | | |
|---|---|---|
| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |

| | | |
|---|---|---|
| ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

**თარიღი 07.07.2026**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

ქეთევან ბოტკოველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

1. ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ანა კოკოჩაშვილი - ახვლედიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

5. ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

6. დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

7. ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

8. შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

9. ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

10. ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).